პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 2 თებერვალი № 2

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1946



ბოლშევიკი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის ყოველთვიური თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVII წელი

№ 2 თებერვალი 1946

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟორესის, № 5 ტელეფონი № 3-73-05

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს 1

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა № 8, 1946 წლის 23 თებერვალი ქ. მოსკოვი 13

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სიტყვა თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს 16

კ. ჩარკვიანი—საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავი 26

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესია

ამხანაგ **ნ. მ. შვერნიკის** სიტყვა 34

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** მოხსენება—მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან 38

მ. დელბა—საუკუნის მეოთხედი 61

თ. კუნჭულია—ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის 71

ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს.**

(ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას ამომრჩევლები ხვდებიან მქუხარე ოვაციით, რაც რამდენიმე წუთს გრძელდება. დიდი თეატრის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს. დარბაზში განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!“, „შრომბლიურ სტალინს ვაშა!“).

ამხანაგი სტალინი:

ამხანაგებო!

უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი არჩევნების დროიდან განვლო რვა წელმა. ეს იყო გადამწყვეტი ხასიათის მოვლენებით მდიდარი პერიოდი. პირველმა ოთხმა წელმა განვლო საბჭოთა ადამიანების დაძაბულ მუშაობაში მე-

Музей Академии наук СССР

სამე ხუთწლედის განსახორციელებლად. მეორე ოთხი წელი მოიცავს გერმანელი და იაპონელი აგრესორების წინააღმდეგ ომის მოვლენებს, — მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს. უეჭველია, რომ ომი განვლილი პერიოდის მთავარი მომენტია.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, რომ მეორე მსოფლიო ომი წარმოიშვა შემთხვევით, ან ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის შეცდომების შედეგად, თუმცა შეცდომებს უთუოდ ჰქონდა ადგილი. ნამდვილად ომი წარმოიშვა როგორც გარდუვალი შედეგი მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური ძალების განვითარებისა თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბაზაზე. მარქსისტებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა შეიცავს საერთო კრიზისისა და სამხედრო შეტაკებათა ელემენტებს, რომ ამის გამო მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარება ჩვენს დროში ხდება არა თანდათანი და თანაბარი წინსვლის სახით, არამედ კრიზისებისა და სამხედრო კატასტროფების გზით. საქმე ისაა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობა დროთა მსვლელობაში ჩვეულებრივ იწვევს წონასწორობის მკვეთრ დარღვევას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში, ამასთან კაპიტალისტური ქვეყნების ის ჯგუფი, რომელსაც თავისი თავი ნედლეულითა და გასაღების ბაზრებით უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილად მიაჩნია, ჩვეულებრივ ცდილობს შესცვალოს მდგომარეობა და „გავლენის სფეროები“ გადაანაწილოს თავის სასარგებლოდ—შეიარაღებული ძალის გამოყენების გზით. ამის შედეგად წარმოიშობა კაპიტალისტური სამყაროს გათიშვა ორ მტრულ ბანაკად და ომი მათ შორის.

თითქოს, შეიძლებოდა სამხედრო კატასტროფების თავიდან აცილება, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ნედლეულისა და გასაღების ბაზრების პერიოდული გადანაწილება ქვეყნებს შორის მათი ეკონომიური წონის შესაბამისად — შეთანხმებულ და მშვიდობიან გადაწყვეტილებათა მიღების წესით. მაგრამ ეს შეუძლებელია განხორციელდეს მსოფლიო მეურნეობის განვითარების ახლანდელ კაპიტალისტურ პირობებში.

ამრიგად, მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის პირველი კრიზისის შედეგად წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი, ხოლო მეორე კრიზისის შედეგად წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომი.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომი პირველის განმეორებაა. პირიქით, მეორე მსოფლიო ომი არსებითად განსხვავდება პირველისაგან თავისი ხასიათით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მთავარმა ფაშისტურმა სახელმწიფოებმა — გერმანიამ, იაპონიამ, იტალიამ — სანამ თავს დაესხმოდნენ მოკავშირე ქვეყნებს, მოსპეს თავიანთ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა უკანასკნელი ნაშთები, დაამყარეს სასტიკი ტერორისტული რეჟიმი, ფეხქვეშ გასთელეს მცირე ქვეყნების სუვერენიტეტისა და თავისუფალი განვითარების პრინციპი, სხვათა მიწა-წყლის დაპყრობის პოლიტიკა გამოაცხადეს თავის საკუთარ პოლიტიკად და წაქვეყნოდ განაცხადეს, რომ ისინი იბრძვიან მსოფლიო ბატონობისათვის და ფაშისტური რეჟიმის გავრცელებისათვის მთელ მსოფლიოში, ამასთან ჩეხოსლოვაკიისა და ჩინეთის ცენტრალური რაიონების დაპყრობით ღერძის სახელმწიფოებმა ცხადჰყვეს, რომ ისინი მზად არიან განახორციელონ თავიანთი მუქარა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დამონების შესახებ. ამის გამო, მეორე მსოფლიო ომმა ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ, პირველი

მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, თავიდანვე მიიღო ანტიფაშისტური, განმათავისუფლებელი ომის ხასიათი, რომლის ერთერთი ამოცანა იყო აგრეთვე დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენა. ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმას შეეძლო მხოლოდ გაეძლიერებინა, — და ნამდვილად გააძლიერა, — მეორე მსოფლიო ომის ანტიფაშისტური და განმათავისუფლებელი ხასიათი.

სწორედ ამ ნიადაგზე შეიქმნა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა ანტიფაშისტური კოალიცია, რომელმაც შემდეგ გადამწყვეტი როლი შეასრულა ღერძის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების განადგურების საქმეში.

ასეთია საქმის ვითარება მეორე მსოფლიო ომის წარმოშობისა და ხასიათის საკითხში.

ახლა, თითქოს, ყველა აღიარებს, რომ ომი მართლაც არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო შემთხვევითობა ხალხთა ცხოვრებაში, რომ იგი ნამდვილად გადაიქცა ხალხთა ომად მათი არსებობისათვის, რომ სწორედ ამიტომ იგი არ შეიძლება ყოფილიყო სწრაფმდინარი, ელვისებური.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ეს ომი მისთვის იყო უსასტიკესი და უმძიმესი ყველა ომთაგან, რომლებიც ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს თავის ისტორიაში.

მაგრამ ომი მარტო უბედურება როდი იყო, იგი ამასთანავე იყო ხალხის მთელი ძალების გამოცდისა და შემოწმების დიდი სკოლა. ომმა გამოააშკარავა ყველა ფაქტი და მოვლენა ზურგში და ფრონტზე, მან ულმობლად ჩამოჰგლიჯა ყველა ნიღაბი და საბურველი, რაც ჰფარავდა სახელმწიფოების, მთავრობების, პარტიების ნამდვილ სახეს, და გამოაჩინა ისინი სცენაზე, უნიღბოდ, შეულამაზებლად, მთელი მათი ნაკლოვანებებითა და ღირსებებით. ომმა გამოცდის მსგავსი რამ მოუწყო ჩვენს საბჭოთა წყობილებას, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას და შეაჯამა მათი მუშაობა, თითქოს გვეუბნებოდა: აი ისინი, თქვენი ადამიანები და ორგანიზაციები, მათი საქმენი და დღენი,—კარგად დააკვირდით მათ და ჯეროვანი მიუზღეთ მათი საქმეების მიხედვითო.

ეს არის ომის ერთ-ერთი დადებითი მხარე.

ჩვენთვის, ამომრჩევლებისათვის, ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გვეხმარება იმაში, რომ სწრაფად და ობიექტურად შევაფასოთ პარტიისა და მისი ადამიანების საქმიანობა და გავაკეთოთ სწორი დასკვნები. სხვა დროს მოგვიხდებოდა პარტიის წარმომადგენლების გამოსვლებისა და მოხსენებების შესწავლა, მათთვის ანალიზის გაკეთება, მათი სიტყვების შედარება მათ საქმეებთან, შეჯამება და სხვა ამგვარი. ეს მოითხოვს რთულ და ძნელ მუშაობას, ამასთან არ არის გარანტია, რომ დაშვებული არ იქნება შეცდომები. სულ სხვაა ახლა, როცა ომი დამთავრებულია, როცა ომმა თვითონ შეაჯამა ჩვენი ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელების მუშაობა და შეაჯამა მისი შედეგები. ახლა ჩვენ გაცილებით უფრო ადვილად შეგვიძლია გავერკვიოთ და გავაკეთოთ სწორი დასკვნები.

ამრიგად, როგორია ომის შედეგები?

არსებობს ერთი მთავარი შედეგი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ყველა სხვა შედეგი. ეს შედეგი იმაში მდგომარეობას, რომ ომის დასასრუ-

ლისათვის მტრები დამარცხდნენ, ხოლო ჩვენ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად გამარჯვებულნი აღმოვჩნდით. ჩვენ დავამთავრეთ ომი მტრებზე სრული გამარჯვებით,—ეს არის ომის მთავარი შედეგი. მაგრამ ეს მეტად ზოგადი შედეგია, და ჩვენ არ შეგვიძლია აქ წერტილი დავსვათ. რა თქმა უნდა, მტრების დამარცხება ისეთ ომში, როგორიცაა მეორე მსოფლიო ომი, რომლის მსგავსიც ჯერ კიდევ არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში, ნიშნავს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვებას. ყოველივე ეს მართალია. მაგრამ ეს მაინც ზოგადი შედეგია და არ შეიძლება ამას დავჯერდეთ. ჩვენი გამარჯვების დიდი ისტორიული მნიშვნელობა რომ შევიგნოთ, საჭიროა ამ საქმეში უფრო კონკრეტულად გავერკვიოთ.

ამრიგად, როგორ უნდა გვესმოდეს მტრებზე ჩვენი გამარჯვება, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალების მდგომარეობისა და განვითარების თვალსაზრისით?

ჩვენი გამარჯვება ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, რომ გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა **საზოგადოებრივმა** წყობილებამ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმატებით გაუძლო ომის ცეცხლში გამოცდას და დაამტკიცა თავისი სრული სიცოცხლისუნარიანობა.

როგორც ცნობილია, უცხოეთის პრესაში არაერთხელ გამოუთქვამთ მტკიცება, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება წარმოადგენს „სარისკო ექსპერიმენტს“, რომელიც განწირულია ჩახაფუშავად, რომ საბჭოთა წყობილება წარმოადგენს „ხუხულას“, რომელსაც ფესვები არა აქვს ცხოვრებაში და რომელიც ხალხს თავს მოახვიეს საგანგებო კომისიის ორგანოებმა, რომ საკმარისია მცირე ბიძგი გარედან, რათა ეს „ხუხულა“ გაცამტვერდეს.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომმა გააქარწყლა უცხოეთის პრესის ყველა ეს მტკიცება, როგორც უნიადაგო. ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება არის ნამდვილად ხალხური წყობილება, რომელიც აღმოცენდა ხალხის წიაღიდან და სარგებლობს მისი მძლავრი მხარდაჭერით, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება არის საზოგადოების ორგანიზაციის სავსებით სიცოცხლისუნარიანი და მყარი ფორმა.

უფრო მეტიც. ახლა საქმე ეხება უკვე არა იმას, სიცოცხლისუნარიანია თუ არა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება, რადგან ომის თვალსაჩინო გაკვეთილების შემდეგ ვერც ერთი სკეპტიკოსი ვეღარ ბედავს ეჭვის გამოთქმას საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. ახლა საქმე ეხება იმას, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება უფრო სიცოცხლისუნარიანი და მყარი აღმოჩნდა, ვიდრე არასაბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის უკეთესი ფორმაა, ვიდრე რომელიმე არასაბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება.

მეორე, ჩვენი გამარჯვება ნიშნავს, რომ გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა **სახელმწიფოებრივმა** წყობილებამ, რომ ჩვენმა მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს და დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

როგორც ცნობილია, უცხოეთის პრესის თვალსაჩინო მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი, რომ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო წარმოადგენს „ხელოვნურ და სასიცოცხლო უნარს მოკლებულ ნაგებობას“,

რომ რაიმე გართულების შემთხვევაში საბჭოთა კავშირის დაშლა გარდუვალია, რომ საბჭოთა კავშირს ავსტრია-უნგრეთის ბედი მოელის.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომმა გააქარწყლა უცხოეთის პრესის ეს განცხადებანი, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულნი. ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა მრავალეროვანმა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ წარმატებით გაუძლო განსაცდელს, კიდევ უფრო განმტკიცდა ომის განმავლობაში და სავსებით სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა. ამ ვაუბატონებმა ვერ შეიგნეს, რომ ავსტრია-უნგრეთთან ანალოგია უსაფუძვლოა, რადგან ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფო აღმოცენდა არა ბურჟუაზიულ საფუძველზე, რომელიც სტიმულს აძლევს ეროვნული უნდობლობისა და ეროვნული შუღლის გრძნობებს, არამედ საბჭოთა საფუძველზე, რომელიც, პირიქით, ნერგავს ჩვენი სახელმწიფოს ხალხებს შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის გრძნობებს.

თუმცა, ომის გაკვეთილების შემდეგ ეს ვაუბატონები ველარ ბედავენ გამოვიდნენ და უარჰყონ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობა. ახლა უკვე საქმე ეხება არა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან მისი სიცოცხლისუნარიანობა ეჭვს არ იწვევს. ახლა საქმე ეხება იმას, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუში, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისეთ სისტემას, სადაც ეროვნული საკითხი და ერების თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში.

მესამე, ჩვენი გამარჯვება ნიშნავს იმას, რომ გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა ჩვენმა წითელმა არმიამ, რომ წითელმა არმიამ გმირულად გადაიტანა ომის ყველა გაჭირვება, სასტიკად დაამარცხა ჩვენი მტრების არმიები და გამარჯვებული გამოვიდა ომიდან. (შეძახილი ადგილიდან: „ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით!“. ყველანი ფეხზე დგებიან. მძუხარე, ხანგრძლივი ტაში, რაც ოვაციად იქცევა).

ახლა ყველანი, როგორც მეგობრები, ისე მტრებიც აღიარებენ, რომ წითელი არმია თავისი დიადი ამოცანების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მაგრამ საქმე ასე როდი იყო ექვსიოდე წლის წინათ, ომისწინაპერიოდში. როგორც ცნობილია, უცხოეთის პრესის თვალსაჩინო მოღვაწეებსა და სამხედრო საქმის ბევრ აღიარებულ ავტორიტეტს საზღვარგარეთ არაერთგზის განუცხადებიათ, რომ წითელი არმიის მდგომარეობა დიდ ეჭვს იწვევს, რომ წითელი არმია ცუდად არის შეიარაღებული და არა ჰყავს ნამდვილი მეთაურთა შემადგენლობა, რომ მისი მორალური მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რომ იგი შეიძლება თავდაცვისათვის კიდევაც გამოდგეს, მაგრამ შეტევისათვის გამოუსადეგარია, რომ გერმანიის ჯარების მხრივ დარტყმის შემთხვევაში წითელი არმია „თიხის ფეხებიანი ბუმბერაზივით“ უნდა დაიმსხვრესო. ასე აცხადებდნენ არა მარტო გერმანიაში, არამედ საფრანგეთშიც, ინგლისშიც, ამერიკაშიც.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომმა გააქარწყლა ყველა ეს განცხადება, როგორც უნიადაგო და სასაცილო. ომმა გვიჩვენა, რომ წითელი არმია „თიხის ფეხებიანი ბუმბერაზი“ კი არ არის, არამედ ჩვენი დროის პირველ-

ხარისხოვანი არმიაა, რომელსაც სავსებით თანამედროვე შეიარაღება აქვს, უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა ჰყავს და მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებანი აქვს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წითელი არმია სწორედ ის არმიაა, რომელმაც სასტიკად დაამარცხა გერმანიის არმია, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ შიშის ზარსა სცემდა ევროპის სახელმწიფოთა არმიებს.

უნდა აღინიშნოს, რომ წითელი არმიის „კრიტიკოსთა" რიცხვი სულ უფრო და უფრო კლებულობს. უფრო მეტიც, საზღვარგარეთულ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად იბეჭდება წერილები, რომლებიც აღნიშნავენ წითელი არმიის მაღალ თვისებებს, მისი მებრძოლებისა და მეთაურების ოსტატობას, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის სრულყოფილობას. ეს გასაგებიც არის. წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ მოსკოვთან და სტალინგრადთან, კურსკთან და ბელგოროდთან, კიევთან და კიროვოგრადთან, მინსკთან და ბობრუისკთან, ლენინგრადთან და ტალინთან, იასასთან და ლვოვთან, ვისლასა და ნემანზე, დუნაისა და ოდერზე, ვენასთან და ბერლინთან, — ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება აღიარებულ არ იქნას, რომ წითელი არმია პირველხარისხოვანი არმიაა, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. (მძუხარე ტაში).

ასე გვესმის კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის გამარჯვება მის მტრებზე. ძირითადად ასეთია ომის შედეგები.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ასეთი ისტორიული გამარჯვების მიღწევა შეიძლება აქტიური თავდაცვისათვის მთელი ქვეყნის წინასწარ მოუმზადებლად. არანაკლები შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ასეთი მომზადების ჩატარება შეიძლება მოკლე ვადაში, რაღაც სამი-ოთხი წლის განმავლობაში. კიდევ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჩვენ გამარჯვებას მივაღწიეთ მხოლოდ ჩვენი ჯარების მამაცობის მეოხებით. მამაცობის გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია გამარჯვების მიღწევა. მაგრამ მარტო მამაცობა საკმარისი როდია იმისათვის, რომ სძლიო მტერს, რომელსაც მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს, პირველხარისხოვანი შეიარაღება აქვს. კარგად გაწვრთნილი ოფიცერთა კადრები ჰყავს და საკმაოდ კარგად დაყენებული მომარაგება აქვს. ასეთი მტრის დარტყმას რომ გავმკლავებოდით, უკუგვეგდო იგი, შემდეგ კი სავსებით დაგვემარცხებინა, ამისათვის საჭირო იყო, ჩვენი ჯარების უმაგალითო მამაცობის გარდა, გვქონოდა სავსებით თანამედროვე შეიარაღება, ამასთან საკმაო რაოდენობით, და კარგად დაყენებული მომარაგება—ისიც საკმაო რაოდენობით. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო გვქონოდა და ამასთან საკმაო რაოდენობით ისეთი ელემენტარული საგნები, როგორიცაა: ლითონი—შეიარაღების, საჭურვლის, საწარმოთათვის მოწყობილობის დასამზადებლად; სათბობი—საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობის უზრუნველსაყოფად; ბამბა—ტანსაცმლის საწარმოებლად; პური — არმიის მოსამარაგებლად.

შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის წინ ჩვენს ქვეყანას უკვე ჰქონდა მინიმალურად აუცილებელი მატერიალური შესაძლებლობანი, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ძირითადად დაგვეკმაყოფილებინა ეს საჭიროებანი? მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ამის მტკიცება. ამ გრანდიოზული საქმის მომზადებას დასჭირდა სახალხო მეურნეობის განვითარების სამი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება. სწორედ ეს სამი

ხუთწლედი დაგვეხმარა ამ მატერიალურ შესაძლებლობათა შექმნაში. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ამ მხრივ მეორე მსოფლიო ომის წინ, 1940 წელს, გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს.

რა მატერიალური შესაძლებლობანი ჰქონდა ჩვენს ქვეყანას მეორე მსოფლიო ომის წინ?

რომ დაგეხმაროთ გაერკვეთ ამ საქმეში, მე მომიხდება მოვიყვანო აქ მოკლე ანგარიში კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ აქტიური თავდაცვისათვის ჩვენი ქვეყნის მზადების დარგში.

თუ ავიღებთ 1940 წლის,—მეორე მსოფლიო ომის წინა დროის,—მონაცემებს და შევადარებთ მათ 1913 წლის,—პირველი მსოფლიო ომის წინა დროის, — მონაცემებს, ასეთ სურათს მივიღებთ.

1913 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამზადდა: 4 მილიონ 220 ათასი ტონა თუჯი, 4 მილიონ 230 ათასი ტონა ფოლადი, 29 მილიონი ტონა ქვანახშირი, 9 მილიონი ტონა ნავთი, 21 მილიონ 600 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, 740 ათასი ტონა ბამბის ნედლეული.

ასეთი იყო ჩვენი ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობანი, რითაც იგი ჩაება პირველ მსოფლიო ომში.

ეს იყო ძველი რუსეთის ეკონომიური ბაზა, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა ომის საწარმოებლად.

რაც შეეხება 1940 წელს, ამ წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამზადდა: 15 მილიონი ტონა თუჯი, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 18 მილიონ 300 ათასი ტონა ფოლადი, ე. ი. ოთხნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 166 მილიონი ტონა ქვანახშირი, ე. ი. ხუთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 31 მილიონი ტონა ნავთი, ე. ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 38 მილიონ 300 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, ე. ი. 17 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს; 2 მილიონ 700 ათასი ტონა ბამბის ნედლეული, ე. ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

ასეთი იყო ჩვენი ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობანი, რითაც იგი ჩაება მეორე მსოფლიო ომში.

ეს იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბაზა, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა ომის საწარმოებლად.

განსხვავება, როგორც ხედავთ, კოლოსალურია.

წარმოების ასეთი უმაგალითო ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგარარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა.

ეს ისტორიული გარდაქმნა განხორციელდა სამი ხუთწლედის განმავლობაში, დაწყებული 1928 წლიდან,—პირველი ხუთწლედის პირველი წლიდან. ამ წლამდე ჩვენ მოგვიხდა მუშაობა დანგრეული მრეწველობის აღსადგენად და პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად მოყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პირველი ხუთწლედი შესრულებულ იქნა ოთხი წლის განმავლობაში, ხოლო მესამე ხუთწლედის განხორციელება შესწყვიტა

ომმა მისი შესრულების მეოთხე წელს, გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნას სულ დაახლოებით 13 წელი დასჭირდა.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ცამეტი წლის ვადა წარმოუდგენლად მოკლე ვადაა ასეთი გრანდიოზული საქმის განხორციელებისათვის.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ ციფრების გამოქვეყნებამ თავის დროზე აზრთა მძაფრი სხვადასხვაობა გამოიწვია უცხოეთის პრესაში. მეგობრებმა გადასწყვიტეს, რომ მოხდა „სასწაული". არაკეთილმოსურნეებმა კი გამოაცხადეს, რომ ხუთწლედები „ბოლშევიკურ პროპაგანდას" და „საგანგებო კომისიის ფოკუსებს" წარმოადგენენო. მაგრამ ვინაიდან ქვეყნად სასწაულები არ ხდება, ხოლო საგანგებო კომისია ისე ძლიერი არ არის, რომ გააუქმოს საზოგადოებრივი განვითარების კანონები, საზღვარგარეთის „საზოგადოებრივ აზრს" მოუხდა შერიგებოდა ფაქტებს.

რა პოლიტიკის მეოხებით შესძლო კომუნისტურმა პარტიამ უზრუნველეყო ეს მატერიალური შესაძლებლობანი ჩვენს ქვეყანაში ასეთ მოკლე ვადაში?

უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა პოლიტიკის მეოხებით.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა მეთოდი ძირეულად განსხვავდება ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაცია ჩვეულებრივ მსუბუქი მრეწველობიდან იწყება. ვინაიდან მსუბუქ მრეწველობაში საჭიროა ნაკლები დაბანდებანი და კაპიტალის ბრუნვა უფრო სწრაფად ხდება, ამასთან მოგების მიღება უფრო იოლი საქმეა, ვიდრე მძიმე მრეწველობაში, მსუბუქი მრეწველობა იქ ხდება ინდუსტრიალიზაციის პირველი ობიექტი. მხოლოდ ხანგრძლივი ვადის განვლის შემდეგ, რომლის მანძილზე მსუბუქი მრეწველობა აგროვებს მოგებას და თავს უყრის მას ბანკებში, მხოლოდ ამის შემდეგ დგება მძიმე მრეწველობის ჯერი და იწყება დაგროვებათა თანდათანობითი გადაჩაჩვა მძიმე ინდუსტრიაში, რათა შეიქმნას პირობები მის განსავითარებლად. მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც დიდ დროს—რამდენიმე ათეულ წელს მოითხოვს, რომლის განმავლობაში უნდა ელოდო მსუბუქი მრეწველობის განვითარებას და იცოდვილო მძიმე მრეწველობის უქონლად. გასაგებია, რომ კომუნისტური პარტია ამ გზას ვერ დაადგებოდა. პარტიამ იცოდა, რომ ომი ახლოვდებოდა, რომ ქვეყნის დაცვა მძიმე ინდუსტრიის უქონლად შეუძლებელია. რომ საჭირო იყო რაც შეიძლება მალე მოგვეკიდნა ხელი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, რომ ამ საქმეში დაგვიანება წაგებას ნიშნავდა. პარტიას ახსოვდა ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მძიმე ინდუსტრიის უქონლად შეუძლებელია ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა, რომ მის უქონლად შეიძლება დაიღუპოს საბჭოთა წყობილება. ამიტომ ჩვენი ქვეყნის კომუნისტურმა პარტიამ უარჰყო ინდუსტრიალიზაციის „ჩვეულებრივი" გზა და დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მძიმე ინდუსტრიის გაშლით. ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ დასაძლევი. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციამ, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სწრაფად შეგვეგროვებინა სახსრები და გამოგვეყენებინა ისინი მძიმე ინდუსტრიისათვის.

უეჭველია, რომ უამისოდ შეუძლებელი იყო ასეთ მოკლე ვადაში მიგვეღწია ჩვენი ქვეყნის გარდაქმნისათვის ინდუსტრიულ ქვეყნად.

მეორე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის მეოხებით. თავი რომ დაგვეღწია ჩვენი ჩამორჩენილობისათვის სოფლის მეურნეობის დარგში და ქვეყნისათვის მიგვეცა მეტი სასაქონლო პური, მეტი ბამბა და სხვა, საჭირო იყო წვრილი გლეხური მეურნეობიდან გადასვლა მსხვილ მეურნეობაზე, ვინაიდან მხოლოდ მსხვილ მეურნეობას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ახალი ტექნიკა, გამოიყენოს ყველა აგრონომიული მიღწევანი და დაამზადოს მეტი სასაქონლო პროდუქცია. მაგრამ მსხვილი მეურნეობა არის ორგვარი, კაპიტალისტური და კოლექტიური. კომუნისტური პარტია ვერ დაადგებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების კაპიტალისტურ გზას არა მარტო პრინციპულ მოსაზრებათა გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი გულისხმობს განვითარების ერთობ ხანგრძლივ გზას და მოითხოვს გლეხების წინასწარ გალატაკებას, მათ გადაქცევას მოჯამაგირეებად. ამიტომ კომუნისტური პარტია დაადგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზას, სოფლის მეურნეობის გამსხვილების გზას გლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებად გაერთიანების გზით, კოლექტივიზაციის მეთოდი უაღრესად პროგრესული მეთოდი აღმოჩნდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი არ მოითხოვდა გლეხების გალატაკებას, არამედ განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მან შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა მოგვეფინა მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც საშუალება აქვთ გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გამოიყენონ ყველა აგრონომიული მიღწევანი და მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი სასაქონლო პროდუქცია.

უეჭველია, რომ კოლექტივიზაციის პოლიტიკის გარეშე ჩვენ ასე მოკლე ვადაში ვერ დავაღწევდით თავს ჩვენი სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას.

არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის პოლიტიკას არ ხვდებოდა წინააღმდეგობა. არა მარტო ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებიც მუდამ გაურბიან ყოველივე სიახლეს, არამედ პარტიის ბევრი თვალსაჩინო წევრიც სისტემატურად ეწეოდა პარტიას უკან და ცდილობდა ყოველგვარი საშუალებით დაეყენებინა იგი განვითარების „ჩვეულებრივ“ კაპიტალისტურ გზაზე. ტროცკისტებისა და მემარჯვენეების ყველა ანტიპარტიული ფანდები, მთელი მათი „მუშაობა“ ჩვენი მთავრობის ღონისძიებათა საბოტაჟის დარგში, ისახავდა ერთ მიზანს: ჩაეფუშათ პარტიის პოლიტიკა და შეეფერხებინათ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საქმე. მაგრამ პარტია არ აჰყვა არც ერთთა მუქარას, არც მეორეთა გოდებას და მტკიცედ მიდიოდა წინ, მიუხედავად ყველაფრისა. პარტიის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ შეჰგუებია ჩამორჩენილებს, არ ეშინოდა ევლო დინების წინააღმდეგ და მუდამ ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას. უეჭველია, რომ ასეთი სიმტკიცისა და გამძლეობის გარეშე კომუნისტური პარტია ვერ შესძლებდა დაეცვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა.

შესძლო თუ არა კომუნისტურმა პარტიამ სწორად გამოეყენებინა ამ გზით შექმნილი მატერიალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ გაეფართოებინა სამხედრო წარმოება და მოემარაგებინა წითელი არმია საჭირო ხალხურ ლითონ?

მე ვფიქრობ, მან შესძლო ამის გაკეთება, ამასთან შესძლო უდიდესი წარმატებით.

თუ არ ჩავთვლით ომის პირველ წელს, როცა აღმოსავლეთში მრეწველობის ევაკუაციამ შეაფერხა სამხედრო წარმოების გაფართოება, ომის დანარჩენი სამი წლის განმავლობაში პარტიამ შესძლო მიეღწია ისეთი წარმატებებისათვის, რომლებმაც საშუალება მისცეს მას არა მარტო მოემარაგებინა ფრონტი არტილერიის, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების, თვითმფრინავების, ტანკების, საომარი მასალის საკმაო რაოდენობით, არამედ რეზერვებიც დაეგროვებინა. ამასთან ცნობილია, რომ ჩვენი საჭურველი ხარისხით არათუ არ ჩამოუვარდებოდა გერმანულს, არამედ საერთოდ კიდევაც სჯობდა მას.

ცნობილია, რომ ჩვენი სატანკო მრეწველობა ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ამზადებდა საშუალოდ 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალ ქვემეხს და ჯავშნიან მანქანას. (მძუხარე ტაში).

შემდეგ ცნობილია, რომ ჩვენი საავიაციო მრეწველობა იმავე პერიოდში ამზადებდა ყოველწლიურად 40 ათასამდე თვითმფრინავს. (მძუხარე ტაში).

ცნობილია აგრეთვე, რომ ჩვენი საარტილერიო მრეწველობა იმავე პერიოდში ყოველწლიურად ამზადებდა ყველა ყალიბის 120 ათასამდე ქვემეხს (მძუხარე ტაში), 450 ათასამდე ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევს (მძუხარე ტაში), 3 მილიონზე მეტ შაშხანას (ტაში) და 2 მილიონამდე ავტომატს. (ტაში).

ბოლოს, ცნობილია, რომ ჩვენი სანაღმმტყორცნო მრეწველობა 1942-1944 წლების პერიოდში ყოველწლიურად ამზადებდა საშუალოდ 100 ათასამდე ნაღმსატყორცნს. (მძუხარე ტაში).

გასაგებია, რომ ამავე დროს სათანადო რაოდენობით მზადდებოდა საარტილერიო ჭურმბარები, სხვადასხვაგვარი ნაღმები, საავიაციო ბომბები, შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ვაზნები.

ცნობილია, მაგალითად, რომ მარტო 1944 წელს დამზადებულ იქნა 240 მილიონზე მეტი ჭურმბარა, ბომბი და ნაღმი (ტაში) და 7 მილიარდ 400 მილიონი ვაზნა (მძუხარე ტაში).

ასეთია ზოგადად საჭურვლითა და საომარი მასალებით წითელი არმიის მომარაგების სურათი.

როგორც ხედავთ, იგი არა ჰგავს იმ სურათს, როგორსაც წარმოადგენდა ჩვენი არმიის მომარაგება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ფრონტი განიცდიდა არტილერიისა და ჭურმბარების ქრონიკულ ნაკლებობას, როცა არმია იბრძოდა უტანკებოდ და უავიაციოდ, როცა ყოველ სამ ჯარისკაცს ერთი შაშხანა ეძლეოდა.

რაც შეეხება წითელი არმიის მომარაგებას სურსათითა და ტანსაცმლით, ყველასათვის ცნობილია, რომ ფრონტი არა თუ არ განიცდიდა ამ მხრივ რაიმე ნაკლებობას, არამედ თან ჰქონდა საჭირო რეზერვებიც.

ასეთია ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის მუშაობა ომის დაწყების წინა პერიოდში და თვით ომის განმავლობაში.

ახლა რამდენიმე სიტყვა კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმების შესახებ უახლოესი მომავლისათვის. როგორც ცნობილია, ეს გეგმები ჩამოყალიბებულია ახალ ხუთწლიან გეგმაში, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას უახლოეს დროში. ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის

არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. თუ ალარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში გაუქმებული იქნება საბარათო სისტემა (მძუხარე, ხანგრძლივი ტაში), განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრობითი შემცირების გზით (მძუხარე, ხანგრძლივი ტაში) და ყოველგვარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ფართო მშენებლობას (ტაში), რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მეცნიერებას გაშალოს თავისი ძალები. (მძუხარე ტაში).

ეჭვი არ მეპარება, რომ თუ ჯეროვან დახმარებას გავუწევთ ჩვენს მეცნიერებს, ისინი შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ხანგრძლივი ტაში).

რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, პარტიას განზრახვა აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი (ხანგრძლივი ტაში), 60 მილიონამდე ტონა ფოლადი (ხანგრძლივი ტაში), 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი (ხანგრძლივი ტაში), 60 მილიონამდე ტონა ნავთი (ხანგრძლივი ტაში). მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან (მძუხარე ტაში). ამას, ალბათ, სამი ახალი ხუთწლედი დასჭირდება, თუ მეტი არა. მაგრამ ამ საქმის გაკეთება შეიძლება, და ჩვენ იგი უნდა გავაკეთოთ. (მძუხარე ტაში).

ასეთია ჩემი მოკლე ანგარიში კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ ახლო წარსულში და მისი მუშაობის გეგმების შესახებ მომავალი დროისათვის. (მძუხარე, ხანგრძლივი ტაში).

თქვენი საქმეა განსაჯოთ, რამდენად სწორად მუშაობდა და მუშაობს პარტია (ტაში) და შეეძლო თუ არა მას უკეთესად ემუშავნა. (სიცილი, ტაში).

ამბობენ, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ (სიცილი, ტაში), რომ ისინი არ უნდა გავაკრიტიკოთ, არ უნდა შევამოწმოთ. ეს არ არის სწორი. გამარჯვებულთა გასამართლება შეიძლება და საჭიროც არის (სიცილი, ტაში), შეიძლება და საჭიროც არის გაკრიტიკება და შემოწმება. ეს სასარგებლოა არა მარტო საქმისათვის, არამედ თვით გამარჯვებულთათვისაც (სიცილი, ტაში): ნაკლები იქნება ყოყოჩობა, მეტი იქნება თავმდაბლობა. (სიცილი, ტაში). მე ვფიქრობ, რომ საარჩევნო კამპანია არის ამომრჩეველთა მიერ კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის გასამართლება. ხოლო არჩევნების შედეგები ამომრჩეველთა განაჩენი იქნება (სიცილი, ტაში). დიდ რამედ არ ეღირებოდა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია, მას რომ კრიტიკის, შემოწმების ეშინოდეს. კომუნისტური პარტია მზად არის მიიღოს ამომრჩეველთა განაჩენი (მძუხარე ტაში).

საარჩევნო ბრძოლაში კომუნისტური პარტია მარტო როდი გამოდის.

იგი არჩევნებზე მიდის უპარტიოებთან ბლოკით. წინათ კომუნისტები უპარტიოებს და უპარტიობას ერთგვარი უნდობლობით ეპყრობოდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ უპარტიობის დროშით ხშირად თავს იფარავდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ იყო უნიღბოდ გამოსულიყვნენ ამომრჩეველთა წინაშე. ასე იყო წარსულში. მაგრამ ახლა ჩვენში სხვა დროა. ახლა უპარტიოებს ბურჟუაზიისაგან ბარიერი ჰყოფს, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება ეწოდება. იგივე ბარიერი აერთიანებს უპარტიოებს კომუნისტებთან საბჭოთა ადამიანების ერთ საერთო კოლექტივად. ცხოვრობენ რა საერთო კოლექტივში, ისინი ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, ერთად ომობდნენ და სისხლს ღვრიდნენ ფრონტებზე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და სიდიადისათვის, ერთად სჭედდნენ და გამოსჭედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთნი პარტიაში არიან, მეორენი კი არა. მაგრამ ეს განსხვავება ფორმალურია. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთნიც და მეორენიც ჰქმნიან ერთ საერთო საქმეს. ამიტომ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი ბუნებრივი და სასიცოცხლო საქმეა. (მძუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ ნება მიბოძეთ მადლობა გიძღვნათ იმ ნდობისათვის, რომელიც ჩემდამი გამოიჩინეთ (ხანგრძლივი ტაში, რომელიც დიდხანს არ ცხრება. შეძახილი ადგილიდან: „ველა გამარჯვებათა დიდ მხედართმთავარს, ამხანაგ სტალინს, ვაშა!“), წამოაყენეთ რა ჩემი კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, რომ შევეცდები გავამართლო თქვენი ნდობა. (ველანი ფეხზე დგებიან. მძუხარე, ხანგრძლივი ტაში, რაც ოვაციად იქცევა. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!“. „ხალხთა დიდ გელადს, ვაშა!“. „დიდება დიდ სტალინს!“. „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს — საყოველთაო-სახალხო კანდიდატს!“. „ველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედს ამხანაგ სტალინს — დიდება!“).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 8

1946 წლის 23 თებერვალი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის არსებობის 28 წლისთავს.

28 წლისთავს წითელი არმია ხვდება თავისი ძალების გაფურჩქვნის ხანაში, გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტებზე გამარჯვებათა დიდებით გარემოსილი. ხანგრძლივი და მძიმე ომიდან წითელი არმია გამოვიდა მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებების მქონე პირველხარისხოვან არმიად, რომელსაც სავსებით თანამედროვე შეიარაღება აქვს და უაღრესად გამოცდილი და ნაწრთობი მეთაურები ჰყავს.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში წითელი არმია აღმოჩნდა თავის დიად ამოცანათა სიმაღლეზე, მან თავი გვიჩვენა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების ერთგულ და საიმედო დამცველად. ჩვენმა მებრძოლებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა გაამართლეს ხალხის ნდობა და ღირსეულად შეასრულეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. საბჭოთა ადამიანები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ მათ თამამად შეუძლიათ დაენდონ წითელ არმიას. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი არმიით, მისი გამარჯვებებით და წმიდად ინახავს სამშობლოსათვის ბრძოლებში მამაცთა სიკვდილით დაცემულ გმირთა ხსოვნას.

წითელი არმიის შესანიშნავი გამარჯვებანი აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ იგი ჭეშმარიტად სახალხო არმიაა და თავისი ხალხის ინტერესებს იცავს. საბჭოთა ადამიანებს მხურვალედ უყვართ თავისი არმია და მუდამ ზრუნავენ მისი ძლიერების განმტკიცებისათვის. ეს მზრუნველობა განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. მთელი ჩვენი ხალხი დაუღალავად, დღედაღამ შრომობდა ფრონტისათვის, გამარჯვებისათვის. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თავდადებული შრომის გარეშე, მათი მატერიალური და მორალური მხარდაჭერის გარეშე წითელი არმია ვერ დასძლევდა მტერს.

წითელი არმიის გამარჯვებანი აიხსნება შემდეგ იმით, რომ მისთვის ზრუნავს და მას ზრდის კომუნისტური პარტია.

ასრულებდა რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. ამით შე-

ქმნილ იქნა მთელი საჭირო მატერიალური შესაძლებლობანი მტრების წინააღმდეგ წითელი არმიის წარმატებითი ბრძოლისათვის.

დიდი სამამულო ომის წლებში კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად დააზმა და ხალხისა და არმიის მთელი ღონისძიებანი წარმართა ერთი საერთო მიზნისაკენ — მტრის განადგურებისაკენ. კომუნისტური პარტია განუმარტავდა საბჭოთა მეომრებს ომის აზრსა და მიზნებს, უნერგავდა მათ სამშობლოსადმი სიყვარულს, განუმტკიცებდა საბრძოლო სულისკვეთებას, უნერგავდა უშიშროებასა და დისციპლინას. ყველაფერი ეს ჩვენი გამარჯვების დიდმნიშვნელოვანი პირობა იყო.

დაამთავრა რა ომი მტრებზე გამარჯვებით, საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი სამეურნეო განვითარების ახალ, მშვიდობიან პერიოდში. ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა—განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ. ჩვენ არ შეგვიძლია დავუჯერდეთ ამ პოზიციების განმტკიცებას, ვინაიდან ეს ერთ ადგილზე შეჩერებამდე მიგვიყვანდა, — ჩვენ უნდა გავწიოთ წინ, რათა შევქმნათ პირობები სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება.

ახალ პირობებში წითელი არმია ფხიზლად უნდა იცავდეს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საიმედოდ უზრუნველჰყოფდეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მტრებისათვის მიუვალი გახადოს ჩვენი სამშობლოს საზღვრები.

ომის დროს წითელი არმიის მებრძოლების, ოფიცრებისა და გენერლების მთავარი ამოცანა იყო გამარჯვების მოპოვება, თავისი ძალებისა და ცოდნის უნარიანად გამოყენება მტრის სრული განადგურებისათვის. მშვიდობიან დროს უკლებლივ ყველა მებრძოლის, ოფიცრისა და გენერლის პირველხარისხოვანი ამოცანაა განუწყვეტლივ სრულჰყოს თავისი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა. ყველა წითელარმიელი და სერჟანტი დაუღალავად უნდა სწავლობდეს სამხედრო საქმეს, იცოდეს თავისი იარაღი და უნაკლოდ ასრულებდეს თავის სამსახურებრივ მოვალეობებს. ოფიცერთა შემადგენლობას ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, მოეთხოვება ხელქვეითთა კარგად სწავლებისა და აღზრდის ცოდნა. ომის წლებში წითელი არმიის ოფიცრები და გენერლები კარგად დაეუფლნენ ბრძოლის ველზე ჯარების გაძღოლის ოსტატობას. ახლა ყველა ოფიცერი და გენერალი სრულყოფილად უნდა დაეუფლოს მშვიდობიან გარემოებაში ჯარების სწავლებისა და აღზრდის ოსტატობას.

დიდმა სამამულო ომმა სამხედრო საქმეში ბევრი რამ ახალი შეიტანა. ბრძოლის ველებზე მოპოვებული საბრძოლო გამოცდილება უმდიდრესი საგანძურია ჯარების სწავლებისა და აღზრდისათვის. ამიტომ არმიის მთელი მომზადება უნდა სწარმოებდეს წარსული ომის გამოცდილების უნარიანი ათვისების საფუძველზე. საჭიროა აგრეთვე ეს გამოცდილება ყოველმხრივ იქნას გამოყენებული ოფიცერთა კადრების თეორიული განათლებისა და საბჭოთა

სამხედრო მეცნიერების შემდგომი ზრდისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო საქმე განუწყვეტლივ და სწრაფად ვითარდება. წითელი არმია მოვალეა არა მარტო კვალდაკვალ მიჰყვებოდეს სამხედრო საქმის განვითარებას, არამედ აგრეთვე წინ წასწიოს იგი.

წითელი არმია აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, რომელიც მისი საბრძოლო ძლიერების საფუძველს შეადგენს. ამოცანა ის არის, რომ ჩინებულად ვიცოდეთ ეს ტექნიკა, უნარიანად ვფლობდეთ მას და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ.

ჯარების სწავლებასა და აღზრდაში წარმატებანი წარმოუდგენელია მტკიცე დისციპლინისა და მკაცრი სამხედრო წესრიგის გარეშე, რომელთა დაცვა არმიის მთელი შემადგენლობის უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს. დისციპლინისა და წესრიგის დასაყრდენს, პირველ რიგში, უნდა წარმოადგენდნენ ჩვენი მეთაურთა კადრები, მათ შორის ზემდეგები და სერჟანტები— წითელარმიელთა უახლოესი და უშუალო უფროსები და აღმზრდელები.

წითელი არმიის მებრძოლებს, ოფიცრებსა და გენერლებს დიდი დამსახურება აქვთ ხალხისა და სამშობლოს წინაშე. მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს ამპარტავნობასა და უდარდელობას. არა თავისი დამსახურებით ყოყოჩობა, არამედ თავის პოსტზე კეთილსინდისიერად შრომა, მთელი ძალებისა და ცოდნის მოხმარება წითელი არმიის სარგებლობისათვის — აი რა მოეთხოვება თვითეულ საბჭოთა მეომარს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი კომუნისტური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ წითელი არმიის 28 წლისთავს.

წითელი არმიის დღის აღსანიშნავად — **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით: ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში—ლენინგრადსა, სტალინგრადსა, სევასტოპოლსა და ოდესაში.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!
გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!
გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!
გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. სტალინი

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს

ამხანაგებო! აქ გამოსულმა ორატორებმა ძლიერ ბევრი რამ მომაწერეს და მეტად შემაქეს.

რა თქმა უნდა, არ მაეჭვებს მათი გრძნობებისა და აზრების გულწრფელობა, მაგრამ მე, რომლისადმიც მომართულია ეს ქება-დიდება, როგორღაც უხერხულად ვგრძნობ თავს. სჩანს, ასეთ კრებებზე მიღებულია ქება და ამას უნდა შევურიგდე. (დარბაზში გამოცოცხლებაა. ტაში).

ამხანაგებო! თქვენ ყველანი, უეჭველია, წაიკითხავდით საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში შეჯამებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების დროიდან განვლილი რვა წლის მანძილზე წარმოებული ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის შედეგები და მოცემულია პროგრამა, რომლითაც ბოლშევიკური პარტია უპარტიოებთან ბლოკით გამოდის არჩევნებში.

ამიტომ მე ცოტა რამ დამრჩენია გითხრათ თქვენ, ჩემს ამომრჩევლებს. თვითეული ჩვენგანი გრძნობს და ესმის, რომ მთავარი შედეგი, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ არჩევნებს ეგებება, არის საბჭოთა ხალხის მიერ დიდ სამამულო ომში მოპოვებული გამარჯვება.

არჩევნებზე მიმავალი ჩვენი სამშობლოს მოქალაქეები თავიანთ პირველ ფიქრს მიაპყრობენ ჩვენი გამარჯვების დიდ ორგანიზატორს — ამხანაგ **სტალინს** (მქუხარე ტაში), უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით ატარებენ გულში მის სახელს.

თუ ომმა ჩვენს ქვეყანას მოუმზადებელს არ მოუსწრო, თუ ჩვენმა სახელმწიფომ კაცობრიობის მთელ ისტორიაში ყველაზე მძიმე განსაცდელს გაუძლო, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს ბრძენ ბელადს ამხანაგ **სტალინს**. (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

* * *

ლენინი და **სტალინი** წინასწარ სჭვრეტდნენ ომს ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სახავდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გეგმას.

ამხანაგ **სტალინს** არასოდეს არ გაუშვია მხედველობიდან, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა სახელმწიფოს მოუხდებოდა გამკლავება მტრული იმპერიალისტური სახელმწიფოების შემოტევისათვის, პარტიასა და ხალხს ასწავ-

ლიდა არ დაევიწყნათ ომის საფრთხე და მომზადებულიყვნენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ აღჭურვილნი შეხვედროდნენ მტერს.

„თანამედროვეობის ძირითადი საკითხია,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის საკითხი. საქმე ეხება ომის არა რომელიმე გაურკვეველ და უსხეულო „საშიშროებას“, საქმე ეხება საერთოდ ომის, განსაკუთრებით კი სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის რეალურსა და ნამდვილ საფრთხეს“.

საბჭოთა კავშირი განუხრელად და თანმიმდევრულად იბრძოდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ ჩაუფუშავს ზრახვები იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ პროვოკაციულად გამოეწვიათ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩაეშალათ სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში.

სტალინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით შესძლო საბჭოთა კავშირმა თავიდან აეცილებინა ომი მთელი რიგი წლების მანძილზე.

„ჩვენ არ შეგვიძლია და არ უნდა მივყვეთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ნებას,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, დავიცვათ მშვიდობის საქმე, ცხადვყოთ ჩვენი ნებისყოფა მშვიდობისა, ვამხილოთ ჩვენი მტრების მძარცველური ზრახვები და გამოვააშკარავოთ ისინი, როგორც ომის წამომწყებნი. ვინაიდან მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია მოგვცეს შესაძლებლობა დავრაზმოთ სსრ კავშირის მშრომელთა მასები ერთიან საბრძოლო ბანაკად, თუ მტერი თავს მოგვახვევს ან, უფრო სწორად, როცა მტერი თავს მოგვახვევს ომს“.

ომის საფრთხე განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრში, გერმანიაში, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ფაშისტები, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში იაპონია აშკარა აგრესიაზე გადავიდა.

საბჭოთა მთავრობის ბრძოლა კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციისა და ომის თავიდან აცილებისათვის წარმატებით არ დაგვირგვინდა, რადგან სხვა სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, შეუწყნარებელი დამთმობელობა გამოიჩინეს აგრესიულ სახელმწიფოთა მიმართ.

„ჩაურევლობისა“ და „ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკის სახით ზოგიერთი ვინმე ბურჟუაზიულ-დამოკრატიული ქვეყნების ხელმძღვანელი წრეებიდან ცდილობდა ფაშისტი აგრესორები წაექეზებინა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის.

ევროპაში გამწვავებული სამხედრო ატმოსფეროს პირობებში, საბჭოთა კავშირს, თავის სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულს, არ შეუწყვეტნია ომის თავიდან აცილების ცდები, მაგრამ დასავლეთ ევროპის წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს აგრესორისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის ორგანიზაციის შესახებ.

შემდგომმა ამბებმა დაადასტურეს, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ერთადერთი სწორი პოზიცია იყო.

* * *

ცნობილია, რომ ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს არა რაიმე კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით, არამედ იმ განზრახვით, რომ დაემხო საბჭოთა წყობილება და დაემონებინა საბჭოთა ხალხი.

ისტორიამ არ იცის მაგალითი ისეთი სიმტკიცისა და უშიშარობისა, როგორიც ჩვენმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** გამოიჩინა იმ მომენტში, როცა უბოროტესი მტრის უეცარმა თავდასხმამ და მისმა პირველმა წარმატებებმა სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს ჩვენს სახელმწიფოსა და ხალხს, როცა მრავალი საუკუნით წყდებოდა ჩვენი თაობების ბედ-იღბალი.

ომის დაწყებისთანავე ამხანაგმა **სტალინმა** დაიკავა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის პოსტი და იკისრა უშუალო პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს და მტკიცედ და გაბედულად წარუძღვა მათ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯერ კიდევ ომის პირველ დღეებში, როცა მტერი, უეცარი თავდასხმის უპირატესობათა მეოხებით, სწრაფად მოიწევდა წინ, ცდილობდა პანიკა და რწმენის უქონლობა შეეტანა ჩვენს რიგებში, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ, რომლებსაც სათავეში ამხანაგი **სტალინი** ედგა, არ გამოიჩინეს თუნდაც ოდნავი დაბნეულობა და მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ჩვენი ქვეყნის, მთელი ხალხის ყველა ძალთა მობილიზაციას მტრის განადგურებლად.

1941 წლის 30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი „შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო და იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნას სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს“.

როცა გერმანელთა ჯარები მოსკოვის მისადგომებთან გამოიჭრნენ და მთავრობის დაწესებულებანი სიფრთხილის მიზნით მოსკოვიდან აღმოსავლეთში იქნენ ევაკუირებულნი, ამხანაგი **სტალინი** მოსკოვში დარჩა (მჭიდროდ ტაში). რათა პირადად ეხელმძღვანელა დედაქალაქის დაცვისათვის და მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების ოპერაციებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ყველაზე მძიმე მომენტში, როცა საზღვარგარეთ მეგობრებსაც და მტრებსაც ეგონათ, საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილიაო, როცა ჩვენი სამშობლოს მშრომელები დაძაბულნი ელოდნენ ცნობებს დედაქალაქის ბედის შესახებ, მოსკოვიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა **სტალინის** მშვიდი, ურყევი რწმენით აღსავსე სიტყვები გერმანელი იმპერიალისტებისა და მათი არმიების გარდუვალი განადგურების შესახებ. (ტაში).

როცა გერმანელი დამპყრობლები საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ, მოსკოვი განწირულიაო, იგი უკვე ჩვენს ხელთ არისო, როცა მოწინააღმდეგის ცალკეულმა ჯგუფებმა მოახერხეს მოახლოებოდნენ დედაქალაქს საარტილერიო ცეცხლის მანძილზე, 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიულ დღეს მოსკოვის წითელ მოედანზე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა **სტალინმა** მიიღო წითელი არმიის ჯარების პარადი და გზა დაულოცა ჩვენს არმიას—დაუსახა ეჩვენებინა გათავხედებული მტრისათვის საბჭოთა იარაღის ძალა და ძლიერება, გაენადგურებინა და მოესპო მტრის ურდოები.

გერმანელთა განადგურება მოსკოვთან, რაც მოასწავებდა ჩვენი ქვეყ-

ნის დაპყრობის ჰიტლერული წამოწყების ჩაფუშვას, გატარდა ამხანაგ სტალინის გეგმითა და უშუალო ხელმძღვანელობით. (ხანგრძლივი ტაში).

იმისათვის, რომ გაგვემარჯვნა თანამედროვე ომში, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ურთულესია, საჭირო იყო სამხედრო მეცნიერება აგვეყვანა ახალ უმაღლეს საფეხურზე. ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციები მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიაში, კურსკთან და ორიოლთან და მრავალი სხვა, ლენინგრადის გმირული დაცვა, გერმანელთა თავდაცვის შემუსვრა, რომელიც სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით წლობით შენდებოდა, იაპონიის არმიის განადგურება ნათლად მოწმობენ სტალინურ მხედართმთავრულ გენიას.

ამხანაგი სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბჭოთა ზურგის მობილიზაციას, ომის მსვლელობაში ხელახლა აიარაღებდა წითელ არმიას, ახალი თანამედროვე საჭურვლით, ხელმძღვანელობდა წითელი არმიის რეზერვების მომზადებას. წითელი არმიისა და მისი ცალკე ფრონტების ყველა სტრატეგიული გეგმა მუშავდებოდა ამხანაგ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით. დიდი სამამულო ომის ფრონტების მთელ ოპერატიულ ხელმძღვანელობას ამხანაგი სტალინი ახორციელებდა.

მაგალითისათვის ავიღოთ კავკასიის დაცვა. როცა მტერმა შესძლო კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებთან გამოჭრილიყო, ამხანაგმა სტალინმა დროზე განჭვრიტა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მტრის შემოჭრის შესაძლო შედეგები.

მტერი ბაქოს დაემუქრა და წითელ არმიასა და ჩვენს ქვეყანას თანამედროვე ომის წარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალების—ნავთის ხელიდან გამოცლის საფრთხეს უქმნიდა.

გარდა ამისა, კავკასიაში გერმანელთა შემოტევის ჩაფუშვამ ჩაშალა გეგმები ზოგიერთი „ნეიტრალური“ ქვეყნისა, რომლებიც იმედს ამყარებდნენ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკურ დივერსიაზე.

გერმანელთა რჩეული ჯარების განადგურება კავკასიის მთის ძირებში განხორციელებულ იქნა ამხანაგ სტალინის გეგმით. მისი მითითებებით წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც კავკასიას იცავდნენ, უმოკლეს ხანში გარდაქმნილ და თავმოყრილ იქნენ გადამწყვეტ მიმართულებებზე. უღელტეხილები დაკეტილ იქნა. კავკავის მისადგომებთან გერმანელებმა პირველი სერიოზული დარტყმა განიცადეს. (ტაში).

ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი ხალხებისა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებად შევა ის გმირობა, რაც მათ ამიერკავკასიის მისადგომებზე მტრის განადგურების საქმეში გამოიჩინეს.

მძიმე პირობებში, როცა ამიერკავკასიის ფრონტი თითქმის მოწყვეტილი იყო ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღისტნისა და ოსეთის მშრომელები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი ძალუძდათ, ფრონტისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ბაგიროვმა, ჩარკვიანმა და არუთინოვმა, როგორც ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრებმა, გვიჩვენეს ბოლშევიკური უნარი მტრის უკუსაგდებად, რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდასაქმნელად და ფრონტისათვის დახმარების მოსაწყობად ამიერკავკასიის ხალხთა ძალების მობილიზაციის საქმეში.

(ტაში). დიდი მუშაობა გასწიეს ამხანაგებმა ბაქრაძემ, რომელიც 46-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო, ამხანაგმა დანიალოვმა, როგორც 44-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრმა, ამხანაგმა კულოვმა კავკავის გამაგრებულ რაიონში. (ტაში).

საშინელი საფრთხის წინაშე კავკასიის ხალხებმა გვიჩვენეს ძმური სოლიდარობა და ერთიანობა, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება.

* * *

ჩვენი გამარჯვების პირობები მოცემული იყო ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილ საბჭოთა წყობილებაში.

საბჭოთა მეომრები იმიტომ იბრძოდნენ ფრონტზე ასე გმირულად, საბჭოთა ზურგი ასე თავდადებით იმიტომ ეხმარებოდა ფრონტს, საბჭოთა მოქალაქეები იმიტომ არ იშურებდნენ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს ფრონტისადმი დახმარების საქმეში, რომ ფაშისტ დამპყრობლებთან ომში წყდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ბედ-იღბალი, ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელისათვის მშობლიური და ახლობელი ხელისუფლების ბედ-იღბალი.

ლენინი ამბობდა, რომ ომი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების უდიდესი გამოცდაა.

დიდ სამამულო ომში მთლიანად გამოჩნდა საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობა ჰიტლერული გერმანიის ეკონომიკის წინაშე. ომმა გვიჩვენა აგრეთვე საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის **ურყევი ძალა.**

დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. (ტაში). ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის თვითეული ხალხი ნათლად გრძნობდა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — სსრ კავშირის ხალხთა საერთო სამშობლოს — ბედ-იღბალთან განუყრელად არის დაკავშირებული თვითეული ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი. არაჩვეულებრივი მამაცობით იბრძოდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის კარიბჭესთან, სტალინგრადთან, კიევთან და მინსკთან ყაზახი, აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი ხალხების და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილები და ასეთივე მამაცობით იცავდნენ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხებისა და სხვა ხალხთა შვილები კავკასიონის ქედის უღელტეხილებს, არ უშვებდნენ მტერს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ ჩვენი გამარჯვების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა (მქუხარე ტაში) — უფროსმა ძმამ სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ ოჯახში. მან თავის მხრებზე გადაიტანა ომის განსაცდელის ძირითადი სიმძიმე. ფასდაუდებელია რუსი ხალხის წვლილი არა მარტო ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში, არამედ აგრეთვე ფაშისტური დამონების საფრთხისაგან მთელი ცივილიზებული კაცობრიობის ხსნის საქმეში.

საჭიროა გვახსოვდეს ის უდიდესი როლი, რაც ბრძნულმა სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ შეასრულა როგორც დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, ისე ომის პერიოდშიც. მას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ფაშისტურ გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში საბჭოთა კავშირი იზო-

ლირებული არ აღმოჩნდა, რომ უზრუნველყოფილი იყო სსრ კავშირის სამხედრო კავშირი დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან საშიში მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ლენინ-სტალინის პარტიამ. ბოლშევიკურმა პარტიამ თავისი ორგანიზატორული მუშაობით უზრუნველჰყო საბჭოთა წყობილებაში მოცემული ყველა უპირატესობის სრული გამოყენება, აგრეთვე ჩვენი ხალხის მთელი მორალური და შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია მტრის განადგურებლად.

ბოლშევიკურმა პარტიამ სწორედ იმიტომ შესძლო შეესრულებინა თავისი ამოცანა, რომ იგი მთელ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა თავისი ბელადის ბრძნული მითითებებით.

ჩვენი პარტიისათვის, სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის, ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელისათვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ყველაზე მძიმე განსაცდელთა პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხს სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი. (მქუხარე ტაში, ოვაცია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება).

* * *

ამხანაგებო!

დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა საბჭოთა ხალხს გამარჯვება. მაგრამ გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა სავსებით გამოისყიდის გაღებულ მსხვერპლს. განუზომლად გადიდდა საბჭოთა კავშირის მორალური გავლენა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა შორის, დიდად ამაღლდა მისი ავტორიტეტი მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის. ომის განსაცდელის პროცესში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა სახელმწიფო, კიდევ უფრო ძლიერი გახდა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა ხალხისა, რომელიც შეიძლება არის დარაზმული ბოლშევიკური პარტიის გარშემო, უფრო ურღვევი გახდა სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

ჩვენი გამარჯვების შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების უშიშროება როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. საბჭოთა ხალხის წინაშე გადაშლილია შემდგომი შემოქმედებითი შრომის და სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი აყვავების ფართო პერსპექტივები.

მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის მძიმე მემკვიდრეობა, რაც ომმა დაგვიტოვა და რაც ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული.

საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა განიცადა ფაშისტ ბარბაროსთა გამანადგურებელი შემოსევა. ომით დანგრეული რაიონების, ქალაქებისა და ოლქების აღდგენა, დანგრეული ქარხნების, რკინიგზების აღდგენა საბჭოთა ხალხისაგან მცირე ღონისძიებებს როდი მოითხოვს.

ჩვენს წინაშე სდგას არა მარტო ომით მოყენებული ჭრილობების მოშუშების, არამედ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარების ამოცანაც.

ჩვენი ქვეყნის მშრომელების მიერ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გადატანილი გაჭირვება და გაღებული მსხვერპლი ერთიანად უნდა ანაზღაურდეს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს საბჭოთა ადამიანებისათვის.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვივლია ომით წარმოშობილ სიძნელეთა ხანა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ჯერ კიდევ უხდებათ მნიშვნელოვან შეზღუდვათა გადატანა მატერიალური მომარაგების დარგში, მაგრამ ყოველ ჩვენგანს ესმის, რომ ეს აუცილებელია, რომ ადვილი როდია ისეთი გამანადგურებელი ომის შედეგების ლიკვიდაცია, როგორიც ჩვენმა ქვეყანამ ეს-ეს არის გადაიტანა.

ყველაზე მოკლე ვადაში ამ ძნელი ხანის გავლისათვის ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ჩვენი ამოცანაა კი არ შევასუსტოთ, არამედ გავადიდოთ შრომითი მეცადინეობა, კიდევ უფრო გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა შრომის დისციპლინა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ამიერიდან აღარ არის საჭირო საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო ეკონომიური ძლიერების განმტკიცება. ჩვენს წინაშე სდგას მოპოვებული გამარჯვების განმტკიცების ამოცანა.

არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ თუმცა ფაშისტური სახელმწიფოები განადგურებული არიან, მაგრამ ფაშიზმი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გაცამტვერებული და აღმოფხვრილი, რომ ფაშიზმისა და რეაქციის ბნელი ძალები კიდევ იმალებიან მრავალ ქვეყანაში.

არ უნდა დავივიწყოთ ის სიძნელეები, რომლებსაც საერთაშორისო ასპარეზზე ხვდება საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ შეუძლებელი გახადოს ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა.

ყოველმხრივ ხელს ვუწყობთ რა მშვიდობისა და უშიშროების დამყარების საქმეს, არ ვზოგავთ რა ძალებსა და საშუალებებს ამ დიადი საქმის წარმატებისათვის, ჩვენ ამავე დროს ვალდებული ვართ გამოვიჩინოთ საჭირო სიფხიზლე.

* * *

ამხანაგებო! ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, თქვენს წინაშე, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, დიდი ამოცანები დგანან. საქართველო უშუალოდ არ დაზარალებულა მტრის შემოსევისაგან, მაგრამ ომის შედეგები აქაც არის. რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ეს შედეგები და სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ წინ მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ—ახეთია დღეს საქართველოს ბოლშევიკებისა და ქართველი ხალხის მთავარი ამოცანა.

საქართველოს სწრაფად მზარდი მრეწველობა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სირთულე და მრავალმხრივობა დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს.

საქართველოში იქმნება მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისის რაიონში შენდება ერთერთი უდიდესი სამრეწველო საწარმო—მეტალურგიული ქარხანა, ხოლო ქუთაისში—დიდი საავტომობილო ქარხანა.

ამ საწარმოთა მნიშვნელობა რომ ცხადი იყოს, მოვიყვან რამდენიმე ციფრს: მეტალურგიულ ქარხანას ექნება: ორი საბრძმედე ღუმელი 430 ათა-

სი ტონა თუჯის საწარმოო სიმძლავრით წელიწადში, 500 ათასი ტონა კოქსის სიმძლავრის ორი საკოქსო ბატარეა, 500 ათასი ტონა ფოლადის საერთო სიმძლავრის 6 მარტენის ღუმელი, 384 ათასი ტონა მზა რთული სხვადასხვაგვარი ნაგლინის სიმძლავრის ექვსი საგლინავი დაზგა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა სრული სიმძლავრისას წელიწადში გამოუშვებს 30 ათას სამნახევარტონიან სატვირთო ავტომანქანას.

მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა წარმოშობს მთელ რიგ ახალ სამრეწველო საწარმოებს, ხოლო რაც მთავარია, მოითხოვს ქვანახშირის მოპოვებისა და ელექტროენერგიის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით უკვე სწარმოებს ტყვარჩელის, ტყიბულისა და ახალციხის შახტების მშენებლობის დიდი გაფართოება, გაჩაღებულია აგრეთვე ბინების მშენებლობა ქვანახშირის საწარმოთა მუშებისათვის, მიღებულია ღონისძიებანი მათი მომარაგების გასაუმჯობესებლად. ყოველივე ამან უნდა უზრუნველჰყოს საქართველოში ორი წლის მანძილზე (1946-1947 წლები) ქვანახშირის მოპოვების სამჯერ და უფრო მეტად გადიდება, ე. ი. სადღეღამისო საშუალო მოპოვება 2.100 ტონიდან 1945 წლის IV კვარტალში უნდა გადიდდეს 6.500 ტონამდე 1947 წლის დეკემბერში.

საქართველოში დიდი შესაძლებლობაა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სერიოზული გაფართოებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ძალებით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის და ღირსია იმისა, რომ მას დიდი ყურადღება ეთმობოდეს.

სერიოზული ამოცანები დგანან აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით ციტრუსებისა და ჩაის განვითარების დარგში.

ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგი სტალინი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებს. ეს ბევრ რამეს გვავალებს. სსრ კავშირში ჩვენ არსად არა გვაქვს ისეთი ფართო შესაძლებლობანი ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და ჩაის საუკეთესო ჯიშების გასაშენებლად, როგორც საქართველოში.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ცოტა მუშაობა როდია გაწეული ამ კულტურების დასანერგავად და განსავითარებლად, მაგრამ უკანასკნელ წლებში ომთან დაკავშირებულ სიძნელეთა გამო ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. ბევრ ადგილას ისინი მოითხოვენ რემონტს, ხოლო მათი ნაწილი სრულიად უნდა განახლდეს.

სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ჯიშების ფართობთა შემდგომი გადიდებისათვის, მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის. უახლოეს 2-3 წელში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ფორთოხლისა და ლიმონის ხეებმა შემდგომი ფართო განვითარება ჰპოვონ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებში, რომ ისინი ყოველ ეზოში ხარობდნენ. ეს არა მარტო ახალ მილიონობით ციტრუსოვანთა ნაყოფს მისცემს ჩვენს ქვეყანას, არამედ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების სერიოზული დამატებითი წყაროც იქნება. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. საქართველოში

უკვე შექმნილია სოფლის მეურნეობის მუშაკთა კადრები, რომლებმაც არა მარტო კარგად აითვისეს სუბტროპიკული კულტურების გაშენება, არამედ მტკიცედ შეიყვარეს ეს საქმე.

სულ სხვაგვარად არის კადრების საქმე მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობისათვის, რაც ახლა იქმნება საქართველოში, აგრეთვე ზრდადი ქვანახშირის მრეწველობისათვის. ძირითადად ისინი ახლად უნდა მოვამზადოთ. ამ ამოცანის გადაჭრა თქვენთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

საქართველო მდიდარია სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციით, საკმაოდ არის ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა სპეციალური სასწავლებლები. საჭიროა დროულად და სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ამ ამოცანების გადაჭრას.

დღეს ამხანაგ ჩარკვიანთან ერთად შემოვიარე ქალაქ თბილისის რაიონები. ამასთან დაკავშირებით, მე მსურს მოკლედ შევეხო ქალაქის მეურნეობას. (დარბაზში გამოცოცხლებაა).

ომის წლებში, გასაგები მიზეზებით, მუშაობა თბილისის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. ამან გამოიწვია ქალაქის მეურნეობის დონის გარკვეული დაწევა. ახლა არის შესაძლებლობა უშუალოდ შევუდგეთ ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა კარგ მდგომარეობაში ვიქონიოთ ის, რაც უკვე გვაქვს: ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობა, მოასფალტებული ქუჩები და მოედნები, მწვანე ნარგავები, ელექტრომომარაგება და წყალმომარაგება, ღვარსაშვები ნაგებობანი და განსაკუთრებით საბინაო ფონდი.

უნდა აღვადგინოთ ის, რაც უვარგისი გახდა ომის განმავლობაში, რათა შემდეგ გადავიდეთ ქალაქის მეურნეობის შემდგომს გაუმჯობესებაზე.

ყოველივე ეს მოითხოვს ქალაქის აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციების განმტკიცებას. ისინი უნდა აღიჭურვონ სათანადო მექანიზმებით. ამისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას არა მარტო ის, რაც ცენტრიდან მოდის, არამედ თბილისის სამრეწველო საწარმოთა შესაძლებლობანიც. მთავარია უზრუნველვყოთ ეს ორგანიზაციები მცოდნე და საქმის მოყვარული სპეციალისტებითა და კვალიფიციური მუშებით.

საქართველოს დედაქალაქის მჭურნეობა დიდი და რთული საქმეა და მას მუდამ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს.

რამდენიმე სიტყვა ქართველი ინტელიგენციის შესახებ. იგი ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი ინტელიგენცია, მთელ თავის ცოდნასა და ძალებს ახმარდა მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეს. საქართველოს მეცნიერებმა ცოტა მუშაობა როდი გასწიეს ომის წარმოებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პრობლემებზე. ქართველი მწერლები და პოეტები თავიანთი მგზნებარე პატრიოტული ნაწარმოებებით აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს გმირობისათვის, მათს წინაშე აცოცხლებდნენ ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიულ წარსულს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს — და ეს ეხება არა მარტო საბჭოთა საქართველოს მეცნიერებს, — რომ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები ჯერ კიდევ ელოდებიან გადაჭრას.

პოეტებს, მწერლებსა და მხატვრებს ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ დიდი ტილოები, რომლებიც ღირსეულად ასახავდნენ სამამულო ომის დიად ეპო-

პეიას. ჩვენს თეატრებს დღემდე არ შეუქმნიათ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც სცენაზე განასახიერებენ ჩვენი დიადი ეპოქის გმირებს.

ხალხი ნიჭიერი ქართველი ინტელიგენციისაგან მოელის თავის სამეცნიერო და ლიტერატურულ შემოქმედებაში, აგრეთვე ხელოვნების დარგის შემოქმედებაში სტალინური ეპოქის დიადი საქმეების ასახვას. (ტაში).

* * *

ორიოდე კვირის შემდეგ ქართველი ხალხი იდღესასწაულებს ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისი განთავისუფლების მეოთხედ საუკუნეს. თავის ეროვნულ დღესასწაულს ქართველი ხალხი ხვდება დიდი მიღწევებით როგორც მეურნეობის, ისე კულტურის დარგში. ამ დღესასწაულისათვის მზადება ბედნიერად დაემთხვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში თავისი საუკეთესო შვილების არჩევით, რომლებიც ღირსეულად წარმოადგენენ მის ინტერესებს, ქართველი ხალხი დიდი აღმავლობის ვითარებაში იდღესასწაულებს საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავს, მას ჩაატარებს არა მარტო ზეიმის ნიშნით, არამედ რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის მთელი თავისი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

* * *

ამხანაგებო! ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის ძლევამოსილად დამთავრებამ კიდევ უფრო დარაზმა საბჭოთა კავშირის ხალხები ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო. (ტაში).

ეჭვი არ არის, რომ მომავალი არჩევნები ცხადჰყოფენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის სრულ გამარჯვებას. ისინი ცხადჰყოფენ საბჭოთა ხალხის სრულ ერთიანობას საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისათვის მხარდაჭერაში, მის ურყევ ნებას მტკიცედ იაროს წინ სტალინური გზით.

მე დიდ პატივად მიმაჩნია ის ნდობა, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩემი წამოყენებით და დიდ მადლობას მოგახსენებთ. (მჭუხარე ტაში).

მთელი ჩემი წარსული მუშაობით ერთგულად ვემსახურებოდი პარტიასა და ხალხს, მუდამ უსაზღვროდ ერთგული ვიყავი დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინისა. (მჭუხარე ტაში). შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მომავალშიც არ დავზოგავ ძალებს სოციალისტური სამშობლოს სამსახურისათვის, ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულებისათვის. (მჭუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, დიდ მხედართმთავარს, ჩვენს მშობლიურ სტალინს!

(ყველანი ფეხზე დგებიან, იმართება ხანგრძლივი მჭუხარე ოვაცია. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „დიდება დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ბერიას!“. „გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!“).

კ. ჩარკვიანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავი

დღეს საბჭოთა საქართველო დღესასწაულობს თავის 25 წლისთავს. უდიდესი სიხარულით ეგებებიან საქართველოს მშრომელები თავის დიად ეროვნულ დღესასწაულს, რომლითაც მთავრდება ქართველი ხალხის ახალი ისტორიის მეოთხედი საუკუნე. გაცამტვერებული არიან ჩვენი დიდი სამშობლოს მოსისხლე მტრები. ქართველი ხალხის წინაშე გახსნილია ფართო გზა შემდგომი აყვავებისა მოძმე საბჭოთა ხალხების მშობლიურ ოჯახში, ხალხებისა, რომლებმაც ისტორიაში უმაგალითო ომში დაიცვეს სამშობლოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა.

ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სამამულო ომში საბჭოთა სახელმწიფოს ბედთან ერთად წყდებოდა მისი თავისუფალი ეროვნული არსებობის ბედი. ქართველი ხალხი მთელ თავის ძალებს ახმარდა მტერზე გამარჯვების მოპოვებას. ასიათასობით ქართველი მეომარი თავდადებულად იბრძოდა ყველა ფრონტზე. ზურგში დარჩენილი მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, ქალები, ახალგაზრდობა დაუღალავად მუშაობდნენ ფრონტისა და ჩვენი ქვეყნის საჭიროების უზრუნველყოფისათვის ყველა იმ ღონეთით, რისი შექმნაც კი საქართველოს შეუძლია.

ფაშისტური მონობისა და გაჟლეტისაგან თავის გადარჩენას ქართველი ხალხი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, უმაღლის დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს. ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს მშრომელთა მთელი ბრძოლა სოციალური და ეროვნული უუფლებობისაგან მათი განთავისუფლებისათვის. ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, ქართველი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება.

მძლავრ პატრიოტულ აღფრთოვანებაში, რამაც ომის წლებში მთელი ქართველი ხალხი მოიცვა, გამოიხატა შედეგები საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მრავალი წლის მუშაობისა, რომლებიც დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით მრავალი წლის განმავლობაში ზრდიდნენ საქართველოს მშრომელებს სამშობლოს, პარტიის, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

I

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მარტო აცხადებს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, არამედ ჰქმნის აგრეთვე პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებს თანასწორუფლებიანობის სრული განხორციელებისათვის. ეს თავის გამოხატულებას

პოულობს ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური ძლიერებისა და კულტურის განუხრელ ზრდაში.

ცხადია, რომ მეფის რუსეთის საერთო სამრეწველო ჩამორჩენის პირობებში მისი განაპირა მხარეები კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყვნენ. ცარიზმი და ბურჟუაზია დაინტერესებული იყვნენ ამ რაიონების კოლონიური ექსპლოატაციით და არათუ არ ზრუნავდნენ მათი სამრეწველო განვითარებისათვის, არამედ ყოველნაირად უშლიდნენ ხელს განაპირა მხარეების ეკონომიურ პროგრესს. ასეთი პოლიტიკის შედეგად რევოლუციამდელ საქართველოს არ გააჩნდა სერიოზული მრეწველობა, თუ ჭიათურის მარგანეცის ამოღებას არ ჩავთვლით.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა. 1913 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, საქართველოს მთელი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 45 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, ჩვენმა მრეწველობამ 1.209 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ეს ციფრები საკმაო თვალსაჩინოებით ახასიათებენ ინდუსტრიული განვითარების გზას, რომელიც საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განვლო.

მარტო მსხვილი მრეწველობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 1944 წელს 33-ჯერ გადიდდა 1928 წელთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთელი თანამედროვე მრეწველობა შესდგება თითქმის მხოლოდ იმ საწარმოთაგან, რომლებიც უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში აშენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა ომის დაწყების შემდეგ არ შეწყვეტილა. ომის წლებში მწყობრში ჩადგნენ ახალი საწარმოები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საჭურველითა და საომარი მასალით წითელი არმიის მომარაგების საქმეში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საწარმოო საშუალებათა წარმოებას. საქართველოს საწარმოები უშვებენ რთულ დაზგებსა და მოწყობილობას მრეწველობისათვის. ამან საშუალება მოგვცა ომის წლებში მოგვეგვარებინა საჭურველისა და საომარი მასალის ზოგიერთი სახის გამოშვება. 1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში, როდესაც გერმანელების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაკავების გამო, ამიერკავკასიის ფრონტის მომარაგება საჭურველითა და საომარი მასალით საბჭოთა კავშირის ცენტრალური ოლქებიდან გაძნელებული იყო, ჩვენი საწარმოები ჯარებს აწვდიდნენ ათიათასობით ავტომატს, ათასობით ნაღმსატყორცნს, დიდძალ ნაღმს, გრანატს და სხვა საომარ მასალას, ასობით საბრძოლო თვითმფრინავს. საქართველოს მუშებს შეუძლიათ სიამაყით გაიხსენონ, რომ მათ მიერ გამოშვებული საჭურველი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კავკასიონის კალთებზე მტრის განადგურების საქმეს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები იცნობენ და დიდად აფასებენ საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციას — სურნელოვან ქართულ ჩაის, მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს, საუცხოო ხილის კონსერვებს და წვენს, ჩინებული სუფრის ღვინოებს, კონიაკებს, მაღალხარისხოვან თამბაქოს.

მთელი ეს მრეწველობა შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. იგი სრული სიმძლავრით მუშაობდა ომიანობის მთელი წლების განმავლობაში.

ბევრმა კვების საწარმომ ომის წლებში მეტი პროდუქცია მოგვცა, ვიდრე ომამდე. მაგალითად, 1943 წელს 2.000 ტონით მეტი ჩაი იყო გამოშვებული, ვიდრე 1940 წელს. იგივე შეიძლება ითქვას მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაზე, რომელიც ყოველწლიურად იძლეოდა მილიონობით მეტრ აბრეშუმისა და შალის ქსოვილს, მილიონობით წყვილ ფეხსაცმელს და ბევრ სხვა საქონელს.

საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტურმა მრეწველობამ ღირსეულად გაუძლო ომიანობის დროის განსაცდელს. მას უპირატესი მდგომარეობა უკავია სახალხო მეურნეობაში. მაგრამ საჭიროა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება უფრო სწრაფად წავწიოთ წინ. საჭიროა შევქმნათ და განვავითაროთ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ბაზა გახდებიან მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისა. ამ მხრივ საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიული ქარხნის შექმნას, რომლის მშენებლობაც ამხანაგ სტალინის მითითებით ჯერ კიდევ 1944 წელს განახლდა.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 430 ათას ტონა თუჯს და 500 ათას ტონა ფოლადს. იგი გახდება ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი საწარმო. საქართველოს და ამიერკავკასიის მრეწველობისათვის საკუთარი მეტალურგიული ბაზის შექმნა უკვე რეალური საქმეა. ამიერკავკასიის რესპუბლიკები, რომლებსაც თავიანთი ლითონი ექნებათ, წარმატებით გადასჭრიან იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვიდან.

საქართველოს მეორე უდიდესი საწარმო იქნება ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. იგი წელიწადში გამოუშვებს 30 ათას სატვირთო ავტომანქანას. ამ ორი უდიდესი ქარხნის სექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ საქართველოს მრეწველობის ძირითად საშუალებათა ღირებულება ერთიორად გადიდდება.

საჭიროა ახალ საწარმოთა მშენებლობა დავამთავროთ დაწესებულ ვადებში, შევქმნათ საჭირო კვალიფიციური კადრები. ზოგი რამ უკვე გაკეთებულია. საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ საწარმოებში საწარმოო ცოდნას იძენს და იუმჯობესებს საქართველოს 5.000-მდე ახალგაზრდა მუშა, რომლებმაც ადგილები უნდა დაიკავონ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ახალ აგრეგატებთან. კადრების მომზადების საქმეში სერიოზულ დახმარებას გვიწევენ დონბასისა და ურალის პარტიული ორგანიზაციები. ამგვარადვე საჭიროა მომზადდეს სულ მცირე 7-8 ათასი კვალიფიციური მუშა ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის. ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის საავტომობილო მშენებლობის სახალხო კომისარიატი და მოსკოვისა და გორკის პარტიული ორგანიზაციები ხელს შეგვიწყობენ ავტომშენებელთა კადრების მომზადებაში ჩვენი ქვეყნის უდიდეს საავტომობილო ქარხნებში.

მეტალურგია, რომელსაც ვქმნით, ქვანახშირის დიდ მოთხოვნილებას წამოგვიყენებს. ამიტომ უნდა უზრუნველვყოთ ქვანახშირის მრეწველობის ისეთი განვითარება, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში ქვანახშირის მოპოვება გავადიდოთ სულ მცირე 10-12-ჯერ. ამ დარგში დაწყებული მშენებლობა მთელი გულმოდგინებით უნდა განვაგრძოთ. რესპუბლიკის ნავთის მრეწველობამ მიმდინარე ხუთწლედში უნდა აღმოაჩინოს და აითვისოს მდი-

დარი ნავთიანი ჰორიზონტები, რომლებიც, უდაოა, მოიპოვება ქართული მიწა-წყლის წიაღში.

დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის შემდგომ გაფართოებას. თუმცა ელექტროენერგიის გამომუშავება 1944 წელს 40-ჯერ გადიდდა 1913 წელთან შედარებით, მაგრამ იგი მაინც არ კმარა. საჭიროა უახლოეს დროში დავამთავროთ მშენებლობის პროცესში მყოფი ჰიდროსადგურების აგება და დავიწყოთ ახლების მშენებლობა, ვინაიდან ენერგეტიკული ბაზის გაფართოებაზე დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მთელი ზრდა.

ცალკე დგას ჩვენში ქიმიური მრეწველობის შექმნისა და განვითარების ამოცანა. საქართველოში ქიმიურ საწარმოთა მშენებლობისათვის ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ამავე დროს საქართველოს მარტო სოფლის მეურნეობა ქიმიური მრეწველობის პროდუქციის უდიდეს მოთხოვნილებას გვიყენებს. უსასუქოთ არ შეიძლება ისეთი კულტურების ინტენსიური გაშენება, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ვაზი, ხეხილი, ბოსტნეული, ხოლო სასუქებს საქართველო დღემდე არ ამზადებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საკავშირო მთავრობის დახმარებით საქართველოში ქიმიური მრეწველობის შექმნის ამოცანა აგრეთვე წარმატებით გადაიჭრება.

II

საქართველოს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ღირსეულად გაუძლო ომიანობის დროის განსაცდელს.

მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცთა ყველაზე უფრო შრომისუნარიანი ნაწილი ფრონტზე წავიდა, კოლმეურნეობანი წესიერად მუშაობდნენ. ნათესი ფართობები წლითიწლობით დიდდებოდა. 1943 წელს დათესილი იყო 110 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ნათესი ფართობები ამ დონეზე შენარჩუნებულ იქნა აგრეთვე 1944 წელს. ომიანობის წლებში მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი მნიშვნელოვნად გადიდდა. 1943 წელს საქართველოში მოყვანილ იქნა 220 ათასი ტონით, ხოლო 1944 წელს 116 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს.

განუხრელად ვითარდებოდა საკოლმეურნეო მეცხოველეობა. 1945 წლის 1 იანვრისათვის ცხვრის რაოდენობამ კოლმეურნეობებში 430 ათასი სულით გადააჭარბა 1940 წლის ციფრს, მსხვილფეხა რქიანი საქონლის ჯოგი 120 ათასი სულით გადიდდა. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ომიანობის წლებში ჩვენი კოლმეურნეობანი სახელმწიფოს აძლევდნენ გაცილებით მეტ ხორცს, ვიდრე ომამდე.

ქართველი ხალხის სიამაყეს წარმოადგენს მისი ციტრუსოვანთა და ჩაის მეურნეობა. შავი ზღვის სანაპიროზე რევოლუციამდე ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის გაშენებას ცალკეული მოყვარულნი ეწეოდნენ. სულ იყო 160 ჰექტარამდე ციტრუსოვანი კულტურები და 800 ჰექტარი ჩაი. პირველი მსოფლიო ომის დროს ამ ნარგავთა უმეტესობა დაუძლურდა და დაიღუპა. პრაქტიკულად საქართველოს ბოლშევიკებს ახალი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა მოუხდათ თითქმის ცარიელ ადგილზე.

საკავშირო მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ყურადღებითა და დახმარებით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხ. ბერიას მეთაურობით შესძლეს გადაეჭრათ ჩაის და ციტრუსოვანთა დიდი მეურნეობის შექმნის ამოცანა. 1940 წელს ჩაის პლანტაციებს ეკავა უკვე

50 ათასი ჰექტარი, ხოლო ციტრუსოვან კულტურებს—24 ათას ჰექტარზე მეტი. ამ დროისათვის ჩვენ უშუალოდ მივუახლოვდით სტალინური დავალების შესრულებას — ჩვენს სამშობლოში მოყვანილი ჩაით საბჭოთა კავშირის საჭიროების მთლიანად დაკმაყოფილების შესახებ.

ომიანობის წლებში პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა ძვირფას მრავალწლიან ნარგავთა შენარჩუნებას. ჩაის პლანტაციების ფართობი რამდენადმე კიღევაც გავადიდეთ. მთელი ომის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად იღებდა 60 ათას ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს.

ციტრუსები უფრო ნაზი კულტურაა, ვიდრე ჩაი. 1941-1942 წლის ზამთრის მკაცრმა ყინვებმა ძლიერ დააზიანა ციტრუსოვანთა ნარგავები. დაიღუპა რამდენიმე ათასი ჰექტარი პლანტაცია. შემდგომ წლებში მოხერხდა ამ ზიანის ნაწილობრივ გამოსწორება, და ამჟამად ციტრუსებს 18 ათას ჰექტარზე მეტი უჭირავს.

ძაგრამ ეს როდი კმარა. ჩვენ მოგვეპოვება პირობები იმისათვის, რომ სწრაფად წავწიოთ წინ ციტრუსოვანი კულტურების, განსაკუთრებით ლიმონისა და ფორთოხლის განვითარება. საჭიროა ამავე დროს ენერგიულად ვეწეოდეთ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, კერძოდ, მაღალმოსავლიანი და სიცივის გამძლე ჯიშების გამოყვანასთან დაკავშირებით.

ამას წინათ სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ გადაწყვეტილებაში მოცემულია სამუშაოთა კონკრეტული პროგრამა მომავალ ხუთწლედში ციტრუსოვანთა მეურნეობის გასაფართოებლად. საბჭოთა მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებს. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მთლიანად შეასრულონ ჩვენი მთავრობისა და ამხანაგ სტალინის დავალება, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფი საბჭოთა კავშირში იშვიათი როდი იყოს, რომ ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელისათვის.

უახლოეს წლებში ჩვენი კოლმეურნეობანი დიდ ყურადღებას დაუთმობენ ახალი ვენახების გაშენებას. ქართული სუფრის ღვინოები, რომლებიც თავიანთი ხარისხით განთქმულ ფრანგულ ღვინოებს არ ჩამოუვარდებიან, აგრეთვე გამოშვებული იქნება სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, ბევრად არის დამოკიდებული სარწყავი ქსელის განვითარებაზე. მდინარეთა სიუხვე და მათს სათავეებში დიდ წყალსაცავთა შექმნის შესაძლებლობა საშუალებას მოგვცემს მოვარწყოთ აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელი ბარი ნაწილი. ირიგაცია შეიძლება შეხამებულ იქნას ელექტროენერგიის მისაღებად სარწყავ ნაგებობათა გამოყენებასთან.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამგვარი ობიექტია ზემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც 40 ათასამდე ჰექტარ უნაყოფო მიწას გადააქცევს აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, მაღალ მოსავლიან ბამბის პლანტაციებად. სამგორის მაგისტრალურ არხზე აგებულ იქნება 36 ათასი კილოვა-

ტის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები. ეს მშენებლობა მიმდინარე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს.

III

ქართული კულტურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ხალხი უზრუნველჰყო ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობებით. ქართველი საბჭოთა მწერლები, კომპოზიტორები მაღალმხატვრულ ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებებს ჰქმნიან. ქართულმა თეატრებმა მოგვცეს ბევრი შესანიშნავი დადგმა. წარმატებით ვითარდება ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, არქიტექტურა. ჩნდებიან და იზრდებიან ხელოვნების ოსტატთა ახალგაზრდა კადრები.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებას ღრმა იდეურობა ახასიათებს, იგი შთაგონებულია დიდი საბჭოთა სამშობლოს, მშობელი ხალხის, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის სიყვარულით.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ქართველ მეცნიერებს, იშვიათი გამონაკლისით, შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავიანთი ცოდნა სამშობლოში გამოეყენებინათ. წინათ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები არ ყოფილა. ამჟამად საქართველოს აქვს საკუთარი მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში სამეცნიერო მუშაობის ნამდვილი ცენტრი გახდა და 40-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობას აერთიანებს. დიდი მეცნიერული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე საქართველოს 20 უმაღლეს სასწავლებელში. არ არის მეცნიერების ისეთი დარგი, რომელშიც ქართველი მეცნიერები არ მუშაობდნენ. ომის განმავლობაში მათ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი წითელი არმიისათვის დახმარების გასაწევად.

საქართველოში საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი მისი ახალი მძლავრი აღმავლობის საფეხური უნდა გახდეს. ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა მეცნიერების განვითარების დარგში დასახული ამოცანები ჩვენს წინაშე აყენებენ ახალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შექმნისა და არსებული ინსტიტუტების მუშაობის გაუმჯობესების პრობლემას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას. ჩვენ უნდა აღვზარდოთ მეცნიერთა—ქიმიკოსთა, ფიზიკოსთა, მეტალურგთა, მანქანების კონსტრუქტორთა ახალი კადრები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა სხვადასხვა სპეციალობის ათიათასობით ინჟინერი და ტექნიკოსი გამოუშვეს. მაგრამ ახლა ჩვენ ათასობით ახალი სპეციალისტი დაგვჭირდება. საჭიროა გავაძლიეროთ ტექნიკური ინტელიგენციის კადრების მომზადება, მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შესაძლებლობანი, ყველაზე უფრო ნიჭიერი ახალგაზრდობა ცოდნის ასამაღლებლად გავგზავნოთ მოსკოვს, ლენინგრადს და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

საქართველოში ყოველ 4.000 მცხოვრებზე მოდის ერთი საშუალო სკოლა

და ტექნიკუმი, ხოლო ყოველ 170 ათას მოსახლეზე—ერთი უმაღლესი სასწავლებელი. სახალხო განათლების ასეთი დონის არსებობისას ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ახალი კადრების მასობრივი მომზადებისა, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებისა და, მაშასადამე, მეცნიერების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ეს შესაძლებლობანი სავსებით იქნება გამოყენებული.

IV

ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას იგი უნდა უმადლოდეს ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, რომელმაც ურღვევი მეგობრობა დაამყარა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის.

ქართველი ხალხი განსაკუთრებით მადლიერია დიდი რუსი ხალხისა. ქართველი ხალხის მეგობრობას რუს ხალხთან, რამაც საუკეთესო განხორციელება საბჭოთა წყობილების პირობებში ჰპოვა, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მის ჩანასახებს ჩვენ ვპოულობთ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ეს მეგობრობა, მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის მხრივ წარმოუდგენელი ჩაგვრისა, წლითიწლობით მტკიცდებოდა.

ამ ისტორიული თანამეგობრობისა და რუსი ხალხის მძლავრი დახმარების მეოხებით ქართველი ხალხი გადარჩა მტაცებელ დამპყრობთა დაუსრულებელ შემოსევას.

მარტო ის გარემოება, რომ უკანასკნელი ასორმოცდაათი წლის მანძილზე საქართველო არ გამხდარა ასპარეზი დიდი საომარი მოქმედებისა, რომელსაც ნგრევა მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის და უბედურება მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობს, იმას თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხისათვის მძლავრ რუს ხალხთან ძმურ თანამეგობრობას.

ქართველი ხალხი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს ეგებება დიდი სასიხარულო მიღწევებით, რომლებმაც მიგვიყვანეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოო განმტკიცებამდე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების საფუძველზე.

მაგრამ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითვე ქართული მიწა-წყალი: არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმიშხანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართული საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსაგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენენ.

ქართველმა ხალხმა საკმაოდ მრავალი მსხვერპლი გაიღო საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის დასაცავად ძველი დროის ბარბაროსთაგან და XX საუკუნის ბარბაროსთაგან. მას უფლება აქვს იმედოვნებდეს, რომ მისი კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნება.

* * *

საქართველოს მშრომელნი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს ეგებებიან შემოქმედებითი შრომით ომის შედეგთა ლიკვიდაციისათვის. მთელი ქართველი ხალხი მჭიდროდ არის დარაზმული ბოლშევიკური პარტიის გარშემო და უსაზღვროდ ერთგულია თავისი საყვარელი მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისა. ქართველი ხალხი ახალი მძლავრი აღმავლობით მოახმარს მთელ თავის ძალებს ომისშემდგომი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეს, პროგრამისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე გადაშალა საბჭოთა ხალხის შორსმჭვრეტელმა ბელადმა დიდმა სტალინმა.

(„პრავდა“, 25 თებერვალი).

---

3. „ბოლშევიკი“ № 2.

ამხანაგ ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

ამხანაგებო! რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ და თქვენი სახით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას და მოგილოცავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს. **(ტაში).**

დიდი რუსი ხალხის სახელით ძმურ სალამს ვუძღვნი ქართველ ხალხს! **(ტაში).**

ამხანაგებო! ქართველი ხალხის ისტორია აღსავსეა გმირული ბრძოლით თავისი დამოუკიდებლობისა და ეროვნული განვითარებისათვის.

ქართველი ხალხი მუდამ მამაცურად და გმირულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ცოტა სახელოვანი ფურცელი როდი ჩასწერა ქართველმა ხალხმა ცარიზმის უღლის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ჩვენი ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

ჩვენი პარტიის ისტორიის დასაწყისიდანვე ქართველი ბოლშევიკები მის პირველ რიგებში იყვნენ და თვალსაჩინო როლი შეასრულეს ბოლშევიკური იდეების შემოქმედებითს განვითარებაში და მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

ქართველმა ხალხმა ცოტა თვალსაჩინო რევოლუციური მოღვაწე როდი მისცა ჩვენს პარტიას.

საქართველომ მისცა საბჭოთა ხალხს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი—ჩვენი საყვარელი ამხანაგი **სტალინი. (მჟუხარე ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ოცდახუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს საზიზღარი ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საქართველოში გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ.

ქართველი ხალხი, მისი მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია მთელ თავიანთ ენერგიას, შრომისმოყვარეობას და ნიჭს ახმარებენ თავიანთი სოციალისტური რესპუბლიკის აყვავების საქმეს, დიდი საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს რესპუბლიკამ შეჰქმნა უაღრესად განვითარებული მრეწველობა.

სამამულო ომის პერიოდში მრეწველობა წარმატებით ასრულებდა ფრონტის შეკვეთებს, უშვებდა საბრძოლო ტექნიკას და საომარ მასალას წითელი არმიისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ომის წლებში დაიწყო მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა, რომლის პროდუქცია თითქმის მთლიანად დააკმაყოფილებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილებას ლითონის მხრივ.

საქართველოს მარგანეცით და ფეროშენადნობებით სულ უფრო და უფრო მზარდი მოცულობით მარაგდება საბჭოთა კავშირის მრავალი სამრეწველო საწარმო.

საკოლმეურნეო წყობილებამ შეუქმნა მშრომელ გლეხობას შეძლებული ცხოვრება.

უდიდესია საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი მეხილეობა-მევენახეობის განვითარებაში, ციტრუსოვანი და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების გაშენებაში.

დიდია ქართველი ხალხის მიღწევები ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკა სკოლების ფართო ქსელით დაიფარა. ამჟამად საბჭოთა საქართველოში არსებობს ათასობით დაწყებითი და საშუალო სკოლა, ათობით უმაღლესი სასწავლებელი, თეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ათობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აქვს. საქართველოს მეცნიერებმა მოგვცეს მთელი რიგი ძვირფასი შრომები მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა საქართველო აყვავებულ მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იქცა.

საბჭოთა საქართველოს ეს წარმატებები და მიღწევები წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შედეგს.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები ამ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკურ პარტიას, ჩვენს საბჭოთა მთავრობას, ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს. (ტაში).**

ამხანაგებო! ქართველი ხალხი აღნიშნავს საბჭოთა საქართველოს სახელოვან ოცდახუთი წლისთავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე და იაპონელ იმპერიალისტებზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების ვითარებაში.

გერმანელთა შემოსევის წინააღმდეგ სამამულო ომის დიად ბრძოლებში გმირმა წითელმა არმიამ თავისი გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით, დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და დაეხმარა ევროპის ხალხებს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებაში.

მტერზე გამარჯვებისათვის წითელი არმიის მებრძოლები სიცოცხლეს არ იშურებდნენ, გმირულად და ვაჟკაცურად იცავდნენ ყოველ მტკაველ წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს.

გამარჯვებისათვის მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია

მთელ ძალასა და ცოდნას ახმარდნენ იმას, რომ უზრუნველეყოთ ფრონტი და ჩვენი ქვეყანა ყოველივე აუცილებლით.

გერმანელ ფაშისტთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ომში ქართველმა ხალხმა გვიჩვენა მის წინაშე მდგომი ამოცანების მაღალი შეგნება და დიდი წვლილი შეიტანა მტერზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მოპოვების საქმეში.

საქართველოს შვილებმა — წითელი არმიის მეომრებმა — სამშობლოსათვის ბრძოლაში გამოიჩინეს მამაცობა, გულადობა და გმირობა, იცავდნენ რა თავიანთი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები თავდადებულად მუშაობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა დახმარებოდნენ ფრონტს საზიზღარი მტრის რაც შეიძლება მალე განადგურებაში.

დიდება წითელი არმიის მეომრებს, საბჭოთა საქართველოს მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე! (ტაში).

საბჭოთა საქართველო ზეიმობს თავის იუბილეს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის დღეებში.

მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი ნებით კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიას, ერთსულოვნად და მხურვალედ უჭერს მხარს მის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას. (ტაში).

არჩევნების შედეგები ცხადჰყოფენ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალასა და ძლიერებას.

არჩევნების შედეგებში ასახულია საბჭოთა ხალხის ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი სიყვარული და ერთგულება თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.** (ტაში).

ამომრჩეველთა კრებაზე ამხანაგი **სტალინი** ისტორიული სიტყვით გამოვიდა და საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლის გრანდიოზული პროგრამა გადაუშალა ჩვენს ხალხს.

ყველა მშრომელნი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საყვარელი ბელადის სიტყვას, თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს პარტიის გეგმა.

სოციალისტური მეურნეობის განვითარების სტალინური პროგრამა შეესაბამება ხალხის ინტერესებს, აღაფრთოვანებს მილიონობით ადამიანს თავდადებული შრომისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვების მოსაპოვებლად ბრძოლისათვის.

ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასი უკვე შეუდგა საბჭოთა ინდუსტრიის განვითარების სტალინური პროგრამის განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები მეტალურგთა და მეფოლადეთა, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშაკთა, მანქანათმშენებელთა, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა შესანიშნავი საწარმოო მიღწევების შესახებ.

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები საყვარელი ბელადის სიტყვის პასუხად მთელ ძალებს ახმარენ საკოლმეურნეო მეურნეობის აღდგენას, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, რათა უკვე მიმდინარე წელს მისცენ ჩვენს ქვეყანას კვების მნიშვნელოვნად მეტი პროდუქტები მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის.

მთელ ხალხთან ერთად ახალ დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი საბჭოთა ინტელიგენციამ. ახლანდელი უმაღლესი ტექნიკისა და წარმოებაში მეცნიერების ფართოდ გამოყენების ჩვენს დროში ძალიან დიდია საბჭოთა ინტელიგენციის როლი.

ამხანაგმა სტალინმა რწმენა გამოსთქვა, რომ ჩვენი მეცნიერები შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს ხანში კიდეც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სტალინური გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება ხალხის მთელი ძალების უდიდესი დაძაბვა.

მაგრამ განა როდისმე შეუჩერებია სიძნელეებს ჩვენი გმირი მუშათა კლასი, ჩვენი შესანიშნავი კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი შრომისმოყვარე და ნიჭიერი საბჭოთა ინტელიგენცია?

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, ისინი დასძლევენ ყველაზე ძნელ ამოცანებს და ახალი გამარჯვებებით ასახელებენ ჩვენს სამშობლოს.

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის ოცდახუთი წლის განმავლობაში სამეურნეო და კულტურული განვითარების სახელოვანი გზა გაიარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის იუბილეს დღეს ვუსურვებ საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთ, მის მთავრობას და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომ განვითარებასა და აყვავებაში. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ქართველი ხალხი კვლავაც განამტკიცებს ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ძლიერებას. **(ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს და ურღვევ მეგობრობას! **(ტაში).**

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)—ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ **სტალინს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის მოხსენება

ამხანაგებო!

დღეს მთელი ქართველი ხალხი განსაკუთრებული სიხარულით დღესასწაულობს ნაციონალური და სოციალური ჩაგვრისაგან თავისი განთავისუფლების 25 წლისთავს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რომლებსაც დიდი რუსი ხალხი დაეხმარა სახელოვანი წითელი არმიის სახით, ბოლო მოუღეს გამყიდველი მენშევიკური მთავრობის სამი წლის ბატონობას და დაამყარეს საბჭოთა წყობილება.

ამ ღირსშესანიშნავი დღიდან გადაიშალა ქართველი ხალხის ახალი ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი. საქართველოს ახალი აღორძინების ამ უდიდეს დღესასწაულს წელს ჩვენ ვხვდებით ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა ხალხებს საშუალება მიეცათ კვლავ დაუბრუნდნენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, დასავლეთში გერმანიის ფაშიზმისა და აღმოსავლეთში აგრესიული იაპონიის სრული განადგურების შემდეგ, რაც ჩვენმა ვგმირმა წითელმა არმიამ განახორციელა ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით. **(ტაში).**

თავისი ზეიმის დღეს ქართველი ხალხი უსაზღვრო მადლობისა და სიყვარულის პირველი სიტყვებით მიმართავს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს გენიალურ ბელადს — საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხების მხსნელს დიდ **სტალინს. (ტაში).**

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის მრავალ ბრწყინვალე ფურცელს შეიცავს.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ახლანდელი ქართველების წინაპრებს—ხეთურ-იბერული ჯგუფის ხალხებს უდიდესი ტერიტორია ეჭირათ წინა აზიაში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათეულ საუკუნეებში ქართველთა წინაპრებმა საფუძველი ჩაუყარეს უძლიერეს სახელმწიფოებს — ურარტუს, კოლხიდასა და იბერიას.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ცალკეული სამთავროები და სამეფოები გაერთიანდნენ და შეჰქმნეს საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც ყველაზე მეტ აღმავლობას მიაღწია მე-12 საუკუნეში, როცა საქართველო მძლავრი სახელმწიფო გახდა და ფართო ტერიტორიას ფლობდა წინა აზიაში.

ქართველებს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ კარგად განვითარებული ეკონომიკა და მაღალი კულტურა. საკმარისია ითქვას, რომ ქართული ანბანი და დამწერლობა ქრისტიანობის ხანის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა.

ქართველმა ხალხმა, რომელიც განუწყვეტლივ ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა, მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში დაიცვა თავისი ფიზიკური არსებობა და საუკუნეებში გამოატარა თავისი ძველი ენა და თავისი ძველი კულტურა.

ბიზანტიელთა, რომაელთა, სპარსელთა, მონღოლთა, თურქთა აურაცხელმა ურდოებმა ვერ შესძლეს საქართველოს მოსპობა. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს, ნანგრევებიდან სდგებოდა და თავისი ტერიტორიიდან მიერეკებოდა პირსისხლიან დამპყრობლებს.

საუკუნეების განმავლობაში წარმოებულმა განუწყვეტელმა გამანადგურებელმა ომებმა თანდათანობით დაასუსტეს საქართველოს სახელმწიფო და კვლავ გამოიწვიეს მისი დაშლა ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებად და სამთავროებად.

სრული მტრული გარემოცვის პირობებში, როცა მოსახლეობის მხრივ საქართველო შედარებით მცირე ქვეყანა იყო, მას, გმირულ ღონისძიებათა მიუხედავად, მარტო არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია გაცილებით უფრო ძლიერი გარეშე მტრებისათვის, და ამიტომ ქართველი ხალხი შორეულ წარსულშივე ეძებდა თავის ისტორიულ გზაზე ჰეშმარიტ თანამოძმეს, რომელიც მას დახმარების ხელს გამოუწვდებდა. ჩვენი წინაპრების თვალი ძველთაგანვე მიპყრობილი იყო დიდი ერთმორწმუნე მეზობლის — რუსეთისაკენ, რომელიც კულტურულად ყველაზე უფრო ახლო იდგა საქართველოსთან და წარმოადგენდა ერთადერთ პროგრესულ ძალას, რომელსაც შეეძლო ეფექტური სამხედრო დახმარება გაეწია საქართველოსათვის გარეშე მტრების წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეები გამსჭვალული იყვნენ რუსებისადმი ურყევი ნდობით და საკმაოდ ბევრი იმუშავეს რუსეთთან კავშირის დასამყარებლად.

რუსეთთან ურთიერთობა საქართველომ ჯერ კიდევ პეტრე დიდის ეპოქაში დაამყარა. უფრო გვიან, როცა საქართველოს წინაშე მწვავედ დადგა კითხვა შაჰის ირანის ან სულთანის თურქეთის მიერ შთანთქმული ყოფილიყო თუ რუსეთის პროტექტორატი მიეღო, 1783 წელს საქართველოს მეფე ერეკლე მეორემ რუსეთის დედოფალ ეკატერინე მეორესთან დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველომ მიიღო რუსეთის პროტექტორატი საგარეო პოლიტიკაში და ამავე დროს შეინარჩუნა დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სპარსეთის შაჰმა მაშინ საქართველო, კერძოდ ქალაქი თბილისი, საშინლად აიკლო.

1801 წლის თებერვალში—სწორედ 145 წლის წინათ იმპერატორმა პავლემ საქართველო რუსეთის ტერიტორიის ნაწილად გამოაცხადა და, ამგვარად, მოსპო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა.

რუსეთთან შეერთების მომენტიდან გაჰქრა ქართველი ხალხის ფიზიკურად მოსპობის საფრთხე, მაგრამ საქართველოს მშრომელები რუსეთის ცარიზმისა და ქართველი თავადების ორმაგ ჩაგვრაში ჩავარდნენ. ქართველი თავადები, აზნაურები და მემამულეები რუსეთის ცარიზმის ერთგული მსა-

ხურნი იყვნენ. თავის მხრივ ცარიზმი, რომელიც თავადებს, აზნაურებს, მემამულეებს ეყრდნობოდა და მათ ყოველნაირად უწყობდა ხელს მასების ექსპლოატაციისა და გაყვლეფის საქმეში, ცდილობდა განემტკიცებინა თავისი ბატონობა საქართველოში.

როგორც ცნობილია, ცარიზმის პოლიტიკა მდგომარეობდა დამონებულ ეროვნებათა რუსიფიკაციასა, უმოწყალო ჩაგვრასა და ექსპლოატაციაში.

სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხზე“, რომელიც გაზეთ „პრავდის“ 1920 წლის 10 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა, — ამხანაგი **სტალინი** წერდა:

„ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა მასები. ცარიზმი განზრახ ასახლებდა განაპირა ქვეყნების საუკეთესო კუთხეებში კოლონიზატორულ ელემენტებს იმისათვის, რომ უფრო ცუდ რაიონებში განედევნა ადგილობრივი მკვიდრნი და გაეძლიერებინა ნაციონალური შუღლი. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუკმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ სიბნელეში ჰყოლოდა მასები. ცარიზმი სპობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ახშობდა განაპირა ქვეყნების ხალხის ყოველგვარ აქტივობას“.

ჩვეულებრივი კოლონიური ქვეყნის პირობებში ქართველები სასტიკად ექსპლოატირებული უუფლებო ხალხის ხვედრს განიცდიდნენ. საქართველოს მშრომელები სისტემატურად იბრძოდნენ ქართველ მემამულეთა მხრივ ექსპლოატაციისა და მეფის თვითმპყრობელობის მოხელეთა ძალადობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გლეხთა დიდი აჯანყებები ხდებოდა საქართველოს ყველა ძირითად რაიონში.

მეფის რუსეთის სატრაპები, ადგილობრივ თავადებთან და მემამულეებთან ერთად, ხვრეტდნენ, ახრჩობდნენ და კატორღაში გზავნიდნენ აჯანყებულ გლეხებს, აჯანყებულ სოფლებს ანადგურებდნენ, სწვავდნენ, ხოლო მათს ბაღებსა და ვენახებს სულერთიანად სჩეხავდნენ.

იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ცდილობდა ნაციონალური შუღლი გაეღვივებინა ამიერკავკასიის ხალხებს შორის, რუსეთისა და საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლები ერთმანეთს შორის ინტერნაციონალურ კავშირს ამყარებდნენ.

XIX საუკუნის დამლევისათვის, როცა **ლენინის** დიადი იდეები რუსეთის პროლეტარიატს ეუფლებოდა, საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო, მოწინავე წარმომადგენლებმა, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წითელი დროშა ააფრიალეს.

რევოლუციის გარიჟრაჟზე დიდმა **სტალინმა** საფუძვლები ჩაუყარა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელ ხალხს იერიში მიჰქონდა ცარიზმზე და თავისი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების — ქართველი თავადების, აზნაურების, მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდა.

1901 წელს ქალაქ თბილისის ქუჩებში ამხანაგ **სტალინის** უშუალო ხელ-

მძღვანელობით თბილისის პროლეტარიატმა კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას და მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყო.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველივე დღეებიდან განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ **სტალინის** მუშაობასთან და სახელთან". (ტაში). **ლ. პ. ბერია** — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 7).

განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოდნენ საქართველოს მშრომელი მასები თავისი განთავისუფლებისათვის: 1902—1905 წლებში თითქმის მთელ საქართველოს მოედო გლეხთა აჯანყებანი და მუშათა გაფიცვები.

რუსეთის მოწინავე პროლეტარიატი მხურვალედ მიესალმა მაშინ და დახმარებას უწევდა საქართველოს და კავკასიის მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 1905 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) III ყრილობამ აღნიშნა, რომ თვითმპყრობელური მთავრობა ჯარებსა და არტილერიას გზავნის გურიაში და აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უმოწყალო განადგურებას ამზადებს, რის გამო პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა მიეღოთ უაღრესად ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობების, რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებისათვის ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, ჯგუფური საუბრების გზით, ავრეთვე დროზე გაეწიათ კავკასიისათვის დახმარება მათს განკარგულებაში არსებული მთელი საშუალებებით.

მეფისდროინდელი მძიმე არალეგალობის წლებში, კლასობრივ მტრებთან და მათს დამჭაშებთან — მენშევიკებთან შეუპოვარ ბრძოლებში საქართველოს ბოლშევიკებს, რომელთაც აღაფრთოვანებდა და რაზმავდა ამხანაგი **სტალინი,** მაღლა ეჭირათ რევოლუციის წითელი დროშა და თავის გარშემო რაზმავდნენ საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ყველა რევოლუციურ ელემენტებს.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — ქართველმა მენშევიკებმა დასავლეთის იმპერიალისტთა დახმარებით შესძლეს ხელთ ეგდოთ ძალაუფლება და გადაექციათ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად.

მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა ამიერკავკასიაში შეჰქმნეს პლაცდარმი დასავლეთის ინტერვენტებისა და რუსეთის კონტრრევოლუციისათვის.

მენშევიკებმა არათუ განთავისუფლება არ მოუტანეს საქართველოს მშრომელ მასებს, არათუ რაიმე სამეურნეო და ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას ვერ მიაღწიეს, არამედ, პირიქით, საბოლოოდ მოშალეს ამ ქვეყნის იქნდაც უძლური სამეურნეო ცხოვრება.

უკვე 1920 წლის დამლევისათვის მენშევიკთა ხელმძღვანელები იძულებული იყვნენ თვითონვე ეღიარებინათ, რომ ეკონომიურად საქართველო მათ სრულ კატასტროფამდე მიეყვანეს.

მენშევიკთა გამყიდველურ პოლიტიკას მშრომელები უპასუხებდნენ განუწყვეტელი აჯანყებებით საქართველოს ყველა უმნიშვნელოვანეს რაიონში.

არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებში საქართველოს ბოლშევიკებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველი ხალხის გამცემლებს და მუდმივი აჯანყებებით შეარყიეს მენშევიკთა ხელისუფლება.

1921 წლის 16 თებერვალს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეჰქმნეს რევოლუციური კომიტეტი და საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

მენშევიკები ემზადებოდნენ იმისათვის, რომ სასტიკად ეძიათ შური აჯანყებულებზე. რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთის მთავრობას და **ლენინისა** და **სტალინის** მითითებით ამხანაგებმა **სერგო ორჯონიკიძემ** და **კიროვმა** წითელი არმიის ნაწილები დასძრეს აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად.

საქართველოს მშრომელთა და წითელი არმიის ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად, 1921 წლის 25 თებერვალს მენშევიკები საბოლოოდ იქნენ განდევნილნი.

ამ ისტორიული დღიდან დაიწყო ქართველი ხალხის ახალი აღორძინების პერიოდი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს მშრომელები სოციალისტური მშენებლობის ფართო გზას დაადგნენ.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების საფუძველზე, ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და ეროვნულ-კულტურული მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად დიდი **სტალინის** სისტემატური დახმარების შედეგად, საქართველო რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონიიდან, „რუსეთზე კიდევ უფრო გლეხური ქვეყნიდან“ **(ლენინი)** საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გადაიქცა განვითარებული მრეწველობის ქვეყნად, მოწინავე სოფლის მეურნეობისა და მაღალი კულტურის ქვეყნად.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კაპიტალური რემონტისა და ლიმიტგარეშე დანახარჯების სახსრებთან ერთად, 9 მილიარდ მანეთს აღემატება.

ახალი საწარმოების ფართო მშენებლობასთან და მრეწველობის სრულიად ახალი დარგების შექმნასთან ერთად, სავსებით რეკონსტრუირებულ იქნენ ძველი საწარმოები, რომლებიც მენშევიკების დროს უბადრუკ მდგომარეობაში იყვნენ.

განვლილი 25 წლის მანძილზე აშენებულია მსხვილი მრეწველობის 1.038 საწარმო. ამასთან მარტო უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში მსხვილი მრეწველობის საწარმოების ძირითადი საშუალებანი გაიზარდა 33-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო საერთო პროდუქციის ღირებულება — 15-ნახევარჯერ.

ქვანახშირის, მარგანეცის, მანჭანათმშენებლობისა და ნავთის მრეწველობის უდიდეს განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განვითარდა კვების, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა.

საქართველოს საფეიქრო, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების

საერთო პროდუქცია უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში გადიდდა 16-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო კვების მრეწველობის პროდუქცია—31-ჯერ.

საქართველოს მრეწველობის სწრაფ ზრდას შემდეგი მონაცემებიც მოწმობენ:

1927-1928 წლებთან შედარებით, ქვანახშირის მოპოვება 1945 წელს გაიზარდა შვიდნახევარჯერ და უფრო მეტად, მარგანეცის მოპოვება—თითქმის ერთიხუთად, ყაჩის გამომუშავება — ორნახევარჯერ, შალის ქსოვილების გამომუშავება—თითქმის 12-ჯერ, აბრეშუმისა და აბრეშუმნარევი ქსოვილებისა—69-ჯერ და უფრო მეტად, ფეხსაცმლის გამოშვება—11-ჯერ და უფრო მეტად; საკონსერვო მრეწველობის პროდუქციის გამოშვება—36-ჯერ, ჩაის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება—54-ჯერ. ნავთის მოპოვება 1945 წელს, 1932 წელთან შედარებით, 12-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს უდიდესმა ჰიდროენერგეტიკულმა რესურსებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰპოვეს დიდი გამოყენება.

1913 წელთან შედარებით, ელექტროსადგურების სიმძლავრე 1945 წელს გაიზარდა 23-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება თითქმის 39-ჯერ გადიდდა.

შენდება და უახლოეს წლებში ამუშავდება ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები—ხრამჰესი, სოხუმჰესი და ჩითახევჰესი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ რამდენადმე შევავსოთ ელექტროენერგიის ნაკლებობა.

წარმატებით ვითარდება რკინიგზის ტრანსპორტი. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აშენებულია რკინიგზის 600 კილომეტრამდე ნორმალური ლიანდაგი. მთავრდება კიდევ ერთი რკინიგზის მშენებლობა. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით შენდება ახალი რკინიგზები საქართველოს ნავთისა და ქვანახშირის საბადოებისაკენ — კაჩრეთი-მირზაანისა და კვეზანაკარმარისა.

დიდი მუშაობა ჩატარდა გზატკეცილებისა და გაუმჯობესებული გზების მშენებლობის დარგში.

1913 წელთან შედარებით, ფოსტა-ტელეგრაფის საწარმოთა რაოდენობა 1944 წელს ერთიშვიდად გადიდდა, ხოლო რადიოსატრანსლაციო კვანძების რაოდენობა ერთისამად და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა 1932 წელთან შედარებით.

საქართველოს გაზრდილი მუშათა კლასი წარმატებით ეუფლება საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი მრეწველობის რთულ ტექნიკას, ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებასა და მუშაობის სტახანოვურ მეთოდებს, განუხრელად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და თავისი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით და გადაჭარბებით ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს დავალებებს.

დიდი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში.

საბჭოთა მთავრობის და პირადად ამხანაგ **სტალინის** უდიდესი სისტემატური დახმარებით საქართველო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მეტად ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების ქვეყანა გახდა.

უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში საერთო ნათესი ფართობი 80 პროცენტით გაიზარდა, ამასთან მარტო უკანასკნელი 12 წლის მანძილზე მარცვ-

ლეული და პარკოსანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 22 პროცენტით გადიდდა.

1923 წელთან შედარებით, ტექნიკური კულტურების ფართობი 1945 წელს 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესები ერთიოროთხად და კიდევ უფრო მეტად გადიდდა.

ამხანაგ **სტალინის** პირდაპირი მითითებით და ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩატარდა მეტად ძვირფასი სუბტროპიკული და სპეციალური კულტურების—ციტრუსების, ჩაის, თამბაქოს, გერანის, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მეცადინეობით საქართველო საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული მეურნეობის მძლავრი ბაზა გახდა.

სერიოზული წარმატებები გვაქვს ამხანაგ **სტალინის** იმ დავალების შესრულების საქმეში, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ქართული ჩაით.

ჯერ კიდევ 1921 წელს ჩვენ ჩაის მხოლოდ 1.017 ჰექტარი პლანტაცია გვქონდა, ახლა კი 51.532 ჰექტარი გვაქვს. საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად იღებს ჩვენი ჩაის პლანტაციებიდან ათიათასობით ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს.

საქართველოს მრავალი ჩაის ფაბრიკა საბჭოთა კავშირს ამარაგებს მაღალხარისხოვანი ბაიხაოს ჩაით, რომელიც სრულიადაც არ ჩამოუვარდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთულ ჩაის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და პირადად ამხანაგი **სტალინი** განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩვენი ციტრუსოვანი მეურნეობისადმი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1932 წელს ციტრუსოვან კულტურებს საქართველოში ეჭირათ მხოლოდ 2.000 ჰექტარი, ახლა კი 18.000 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები გვაქვს.

მაგრამ ჩვენ ვერ შევასრულეთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება, რომლის მიხედვითაც ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 1944 წლის დამლევისათვის 40 ათას ჰექტარამდე უნდა აგვეყვანა.

ომიანობის წლებში ჩვენ იძულებული ვიყავით თითქმის სავსებით შეგვეწყვიტა ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენება და, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშახელის მწვავე ნაკლებობის გამო, მთელი ყურადღება არსებული ნარგავების შენარჩუნებისათვის მიგვეპყრო.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, 1941-1942 წლის ზამთარში, კატასტროფული ყინვების შედეგად, დაიღუპა ციტრუსოვანთა დიდძალი ნარგავი.

ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსების მდგომარეობაზე აგრეთვე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ ომიანობის დროს საკვებით შესწყდა მინერალური სასუქის შემოზიდვა.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 16 თებერვლის ახალი დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც შემუშავებულია ამხანაგ **სტალინის** პირადი მითითებით, ჩვენ მოვალენი ვართ 1950 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა კულტურების ფართობი ავიყვანოთ 29.000 ჰექტარამდე და ამასთან დიდი ყურადღება მი-

ვაქციოთ ფოთოხლისა და ლიმონის ფართოდ განვითარებას.

საქართველოს ბოლშევიკები ყოველივე ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ წარმატებით და ვადამდე შეასრულონ ამხანაგ **სტალინის** ეს სერიოზული დავალება. (ტაში).

ჩაისა და ციტრუსებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი მასშტაბებით ვითარდება საქართველოში სუბტროპიკული ნაყოფი — ხურმა, ფეიხოა, მუშმალა და სხვა.

წინათ საქართველოში ტუნგოს ნარგავები არ ყოფილა, ამჟამად ტუნგოს 13.000 ჰექტარზე მეტი პლანტაცია გვაქვს.

როგორც ცნობილია, საქართველოს საწარმოებში გამომუშავებულმა ტუნგოს ზეთმა სერიოზული როლი შეასრულა ომიანობის დროს იმ მხრივ, რომ უზრუნველგვეყო საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საწარმოთა მოთხოვნილება.

მარტო უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში ბამბუკის პლანტაციები თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. უახლოესი 5 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაშენოთ 3.000 ჰექტარზე მეტი ბამბუკის ახალი პლანტაციები.

ომიანობის წლებში ჩვენი ბამბუკის პლანტაციებიდან წითელი არმიის მეთხილამურენი დიდძალ სათხილამურე ჯოხებს იღებდნენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა დაფნის პლანტაციები. როგორც ცნობილია, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც კეთილშობილი დაფნის ფოთლით ამარაგებს საბჭოთა კავშირს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ისეთი ძვირფასი ხის ნარგავების განვითარებას, როგორიცაა ევკალიპტი. 28 მილიონამდე ძირი ევკალიპტი გაშენდა 1942 წლამდე. მაგრამ, ძლიერი ყინვების შედეგად, ავრეთვე სათანადო მოვლის უქონლობის გამო, ევკალიპტის უმეტესი ნაწილი დაიღუპა და ახლა ჩვენ 7 მილიონზე ცოტა მეტი ძირი ევკალიპტი გვაქვს.

ჩვენს წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — უახლოესი 5 წლის განმავლობაში ავიყვანოთ ევკალიპტის ხეების რაოდენობა 28 მილიონ ძირამდე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სერიოზულად განვითარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოფხვრა ფილოქსერისაგან ვენახების მოსპობის საფრთხე და უზრუნველჰყო მათი შემდგომი ზრდა.

1932 წელთან შედარებით, ვენახების ფართობი 1945 წელს ერთნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. მარტო უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში 24 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი გაშენდა.

საქართველო საბჭოთა კავშირს ამარაგებს მეღვინეობის სუკეთესო, მაღალხარისხოვანი პროდუქციით, კერძოდ, საბჭოთა შამპანურით.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გაშენებულია ხეხილის 11.000 ჰექტარამდე ახალი ბაღი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები საქართველოდან იღებენ ყველაზე მაღალხარისხოვან ხილს.

ერთგვარი შედეგები გვაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

1945 წელს საქართველოს მეაბრეშუმეებმა გეგმა შეასრულეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 25 ათას ცენტნერამდე კარგი ხარისხის პარკი.

ამხანაგ სტალინის მითითებით გაყვანილია მთელი რიგი ახალი დიდი სარწყავი არხები, რომელთა შედეგადაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სარწყავი მიწების ფართობი საქართველოში სამნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდა, შენდება ახალი დიდი სარწყავი არხები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ათასობით ჰექტარი ახალი მიწების მორწყვას.

ფართო ფრონტით განახლდა კოლხიდის დაბლობის ნაყოფიერი მიწების ამოშრობის სამუშაოები, რაც ომიანობის დროს შეწყვეტილი იყო.

მიმდინარე წელს კვლავ უნდა შევუდგეთ ზემო-სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობას, რაც ომთან დაკავშირებით შეჩერებული იყო. ამ სერიოზულ ნაგებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ბამბის სათესი ფართობების გადიდების საქმეში, აგრეთვე სამრეწველო მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის ქალაქ თბილისის მომიჯნავე რაიონებში.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად განხორციელების საფუძველზე, ჩვენ კარგ შედეგებს მივაღწიეთ ყოველგვარი სახის პირუტყვის სულადობის ზრდისა და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდების საქმეში.

1923 წელთან შედარებით, 1944 წელს პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა: ცხენისა—თითქმის 13 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—თითქმის 32 პროცენტით, ღორისა — 23 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—114 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობის საქმეში ყველა ამ წარმატებას ქართველმა ხალხმა მიაღწია საკოლმეურნეო წყობილების შექმნისა და განმტკიცების საფუძველზე.

საქართველოს კოლმეურნეობებმა, რომლებიც 455 ათასზე მეტ მეურნეობას აერთიანებენ, ღირსეულად გაუძლეს ომის მძიმე განსაცდელს და გააგრძობლეს ზრდასა და განმტკიცებას.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1944 წელს, 1932 წელთან შედარებით, გაიზარდა 29-ჯერ, ხოლო კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულება ამავე პერიოდში 15-ჯერ გადიდდა.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მილიონერ კოლმეურნეობათა რაოდენობა 20-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. გადიდდა კოლმეურნეობათა ნატურალური შემოსავალი, გაიზარდა შრომადღის ღირებულება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

თუ 1932 წელს ყოველმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საშუალოდ 72 შრომადღე გამოიმუშავა, 1944 წელს თვითეულმა კოლმეურნემ საშუალოდ გამოიმუშავა 145 შრომადღე. ათასობით კოლმეურნეს წლიურად 300—500 და მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

1928 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში იყო 37 საბჭოთა მეურნეობა, ახლა კი გვაქვს 75 საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი—13-ჯერ.

საქართველოს 1.500-მდე კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს 60 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. სატრაქტორო ბრიგადების 3.600-მდე ბრიგადირი, ტრაქტორისტი, კომბაინერი, შოფერი და მექანიკოსი მუშაობს ჩვენს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში ჩატარებული უდიდესი მუშაობა წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების და გლეხობისათვის საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის გამოხატულებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართველი ხალხის კულტურის — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება.

საქართველო დიდი ხანია გახდა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების რაოდენობა გადიდდა თითქმის ერთისამად, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა—ერთისამად და უფრო მეტად. ამჟამად საქართველოს დაწყებითს, არასრულ საშუალო, აგრეთვე საშუალო სკოლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 659 ათასზე მეტი მოსწავლე.

საბჭოთა ხელისუფლებამ ააშენა 2.000-მდე ახალი სასკოლო შენობა და საბავშვო ბაღების სახლები. საქართველოს დაწყებითს, არასრულ საშუალო, აგრეთვე საშუალო სკოლებსა და ტექნიკუმებში 41.570 პედაგოგი მუშაობს.

ცნობილია, რომ ცარიზმის დროს საქართველოში არც ერთი უმაღლესი სკოლა არ ყოფილა. მენშევიკების დროს კერძო ინიციატივით შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც თითქმის არავითარი მატერიალური უზრუნველყოფა არ გააჩნდა და უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაიშალა უმაღლეს სასწავლებელთა ფართო ქსელი. ამჟამად ჩვენ გვაქვს 20 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 22 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობს 2.800-მდე პროფესორი და მასწავლებელი. საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის განმავლობაში გამოუშვეს უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა სპეციალობის 36 ათასი ახალგაზრდა—ინჟინრები, ეკონომისტები, აგრონომები, ექიმები, იურისტები, ხელოვნების მუშაკები და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მოეწყო 95 სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება და რამდენიმე ათეული მუზეუმი.

სამამულო ომის მძიმე წლებშიც კი ხდებოდა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა გაფართოება.

ხუთი წლის წინათ საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოს მეცნიერებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს და მნიშვნელოვანი შრომებით გაამდიდრეს ჩვენი მეცნიერება.

საქართველოს მოსახლეობას მომსახურებას უწევს მასობრივი ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებების ფართო ქსელი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე საქართველოში გამოიცა რამდენიმე ათეული მილიონი წიგნი.

რამდენიმე მილიონ ცალად გამოვიდა ქართულ ენაზე **მარქსის, ენგელსის, ლენინისა** და **სტალინის** ნაწარმოებები.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მოაწყო კინომრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ აშენებულმა საქართველოს კინოფაბრიკამ 25 წლის განმავლობაში გამოუშვა 120 სრულმეტრაჟიანი მხატვრული საბჭოთა კინოფილმი, რომელთაგან ბევრმა საბჭოთა საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღო.

კვლავ იზრდებიან საქართველოს მწერალთა, პოეტთა, მხატვართა, მოქანდაკეთა და არქიტექტორთა კადრები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ახალი ნაწარმოებები შესძინეს საბჭოთა კულტურას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა სათანადო განვითარების საშუალება ცარიზმის დროს დევნილ და მეწშევიკების დროს საბოლოოდ გახრწნილ ქართულ თეატრს. ამჟამად მუშაობს 44 სახელმწიფო თეატრი, რომელთა შორის არიან ისეთი შესანიშნავი თეატრები, როგორც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის დრამატიული თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი და ჭუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრი.

მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოს თეატრებმა 900-ზე მეტი ახალი დადგმა განახორციელეს.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მზრუნველობით გამოზრდილი საქართველოს მრავალრიცხოვანი ნიჭიერი ინტელიგენცია მთელ თავის ცოდნასა და ძალას ახმარს ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეს.

წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის განმავლობაში საექიმო-სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი თითქმის 7-ჯერ გადიდდა, ხოლო საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 6-ჯერ და კიდევ უფრო მეტად. საქართველოს მშრომელებს მომსახურებას უწევს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მომზადებული 4,5 ათასზე მეტი ექიმი.

ჩვენი ბავშვებისათვის გაშლილია საბავშვო ბაგების, რძის პროდუქტების სამზარეულოებისა და ჩვილ ბავშვთა სახლების ფართო ქსელი.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად 300 მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავს საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველო განსაკუთრებით მდიდარია კლიმატური და მინერალური კურორტებით. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში კურორტებზე აშენდა მთელი რიგი შესანიშნავი სანატორიუმები, საბანაო შენობები და დასასვენებელი სახლები.

საქართველოს კურორტები, მათ შორის საკავშირო მნიშვნელობის ისეთი შესანიშნავი კურორტები, როგორიცაა წყალტუბო, აბასთუმანი, გაგრა, სოხუმი, მენჯი, ბორჯომი სამამულო ომის წლებში წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლებსა და ოფიცრებს ემსახურებოდნენ. ამჟამად კურორტები წესრიგზე მოგვყავს და უკვე მიმდინარე წლიდან საბჭოთა კავშირის ათიათასობით მშრომელს კვლავ ექნება საშუალება გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა ჩვენს კურორტებზე.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის დიდი ზრდა უდიდეს მოთხოვნებს უყენებს ჩვენს კომუნალურ-საბინაო მეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქალაქების კეთილმოწყობის დარგში.

ერთიხუთად გადიდდა იმ ქალაქების რაოდენობა, რომლებსაც წყალსადენები აქვთ, ერთიოთხად გაიზარდა წყალსადენის განმანაწილებელი ქსელის სიგრძე, 14-ჯერ გადიდდა ქალაქის მოსახლეობისათვის წყლის საშუალო-სადღეღამისო მიწოდება, ორნახევარჯერ გადიდდა საკანალიზაციო ქსელის სიგრძე, აშენდა მთელი რიგი ახალი აბანოები და რამდენიმე სასტუმრო, ერთიორად გადიდდა ტრამვაის ლიანდაგების სიგრძე და ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა ტრამვაის ვაგონების რაოდენობა.

აშენდა 200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი, გაყვანილია ახალი ქუჩები, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ძველი ქუჩები, მოასფალტებულია მთელი რიგი ქუჩები.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობაზე ასობით მილიონი მანეთი დაიხარჯა.

მიუხედევად ამისა, ჩვენ მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილებებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მხრივ.

ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ომიანობის დროს ქალაქთა კეთილმოწყობის სამუშაოები შეწყვეტილი ანდა შეკვეცილი იყო, ცხადია, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა ჩავატაროთ საქალაქო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

მშრომელთა კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას, მათი კეთილდღეობის ზრდას და ჩვენი ხალხისათვის საბჭოთა ხელისუფლების მუდმივ მზრუნველობას მოწმობენ კიდევ შემდეგი მაჩვენებლები:

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობაში 17%-ით გადიდდა, ამავე დროს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი ერთიოთხად და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი—ერთიხამად და უფრო მეტად.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივ კვებასთან ერთად უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში 8-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

1945 წელს საქართველოს ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 1.026 მილიონი მანეთი, ნაცვლად 68 მილიონი მანეთისა 1931 წელს.

მიმდინარე წელს საქართველოს ბიუჯეტის ხარჯები მარტო მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის, ე. ი. პენსიებისა და დახმარებისათვის, 94 მილიონ მანეთს აღემატება.

უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში მრავალშვილიან დედებს მიეცათ 288 მილიონ მანეთზე მეტი დახმარება.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების საფუძველზე, მტკიცდება ძმური თანამეგობრობა საქართველოს ხალხებს შორის.

იფურჩქნება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და ხელოვნება აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ამხანაგებო! საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართველი ხალხის

ახალი ეროვნული აღორძინება და გადააქცია საქართველო საბჭოთა კავშირის მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად.

სოციალიზმის მშენებლობის დარგში, ქართველი ხალხის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების აყვავების დარგში მიღწეულ მთელ გრანდიოზულ წარმატებებს ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხების მხსნელს დიდ **სტალინს. (მჭუხარე ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ 25 წლის მანძილზე მეურნეობის, კულტურის, ხელოვნებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დარგში მიღწეული წარმატებანი კიდევ უფრო დიადი იქნებოდა, ჩვენს ქვეყანაზე გერმანიის ფაშიზმის უეცარ თავდასხმას იძულებული რომ არ გავეხადეთ შეგვეწყვიტა მშვიდობიანი სამშენებლო მუშაობა, სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე მიგვეტანა და მტრის განადგურების საქმისათვის გამოგვეყენებინა მთელი ჩვენი ღონისძიებანი, ჩვენი შესაძლებლობანი და მატერიალური რესურსები.

ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

სასიკვდილო საფრთხის ჟამს, რაც თავს დასტრიალებდა საბჭოთა კავშირს, მთელი ქართველი ხალხი ერთსულოვნად აღსდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ქართველი ხალხის ასიათასობით მამაცი შვილი ომის პირველივე დღეებიდან წავიდა ფრონტზე და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების შვილებთან ერთად დიდი რუსი ხალხის მეთაურობით თავისი სისხლისა და სიცოცხლის ფასად იცავდა საბჭოთა სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას სამამულო ომის უზარმაზარ ფრონტზე შორეული მურმანსკიდან შავ ზღვამდე.

ქართველი ხალხის შვილები უსაზღვრო მამაცობით იბრძოდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის კარიბჭეებთან, სტალინგრადთან და იმიერპოლარეთში.

ქართველი ხალხის შვილთა სისხლით უხვად არის მორწყული ჩვენი საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა ბელორუსიის, საბჭოთა ყირიმის, ყუბანისა და ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიწა-წყალი.

უდიდესი ბედნიერება ხვდათ წილად დიდი რუსი ხალხის შვილს წითელარმიელ ეგოროვს და ქართველი ხალხის შვილს უფროს სერჟანტ ქანთარიას. ამ ორმა ვაჟკაცმა პირველად ააფრიალა გამარჯვების წითელი დროშა ბერლინში—რაიხსტაგის თავზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

პირისისხლიანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართულ მეომართა მრავალრიცხოვანი საგმირო საქმენი ბრწყინვალედ ადასტურებენ ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბოლშევიკური პარტიის საქმისა და დიდი **სტალინისადმი.**

სამამულო ომის დროს 110 ქართველ მებრძოლსა და ოფიცერს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, მათ შორის გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძეს, გენერალ-მაიორ ჯანჯღავას, გენერალ-მაიორ კობერიძეს, წყალჭვეშელ კაპიტან იოსელიანს, მაიორ გოცირიძეს, პოდპოლკოვნიკ ზუმბურიძეს, პოლკოვნიკ ლესელიძეს, უფროს ლეიტენანტ გაბრიაძეს, უმცროს ლეიტენანტ ჯინჭარაძეს, უფროს სერჟანტ გამცემლიძეს, სერჟანტ კანკავას, წითელარმიელ გოგიჩაიშვილს.

სამამულო ომის პერიოდში წითელ არმიის 40 ათასზე მეტი ქართველი მებრძოლი და ოფიცერი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი ათასობით ქართველი ოფიცერი წარმატებით ხელმძღვანელობდა წითელი არმიის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მოქმედებას.

იმ ასიათასობით ქართველთან ერთად, რომლებიც ფრონტზე იმყოფებოდნენ წითელი არმიის საერთო ნაწილებში, სამამულო ომის მსვლელობაში დიდი **სტალინის** მითითებით შედგენილ იქნა რამდენიმე ქართული დივიზია. ამ დივიზიებმა თავი ისახელეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში და უჭკნობი დიდებით შემოსეს თავისი საბრძოლო დროშები.

საბჭოთა ადამიანებს დიდხანს ეხსომებათ სახელოვანი საბრძოლო საქმეები ანაპის 414-ე წიფელდროშოვანი მსროლელი დივიზიისა, რომელიც უმთავრესად ქართველებისაგან შესდგებოდა. ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის ამ დივიზიამ რამდენჯერმე მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** მადლობა.

იმ დროს, როცა ქართველი ხალხის ასიათასობით შვილი სიცოცხლეს არ ზოგავდა და სისხლს ღვრიდა ფრონტზე ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, აქ, ზურგში საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენცია და ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას წითელი არმიისათვის ყოველმხრივი დახმარების უზრუნველყოფის საქმეს ახმარდნენ.

დიდი **სტალინის** მოწოდებით ჩვენ სწრაფად გარდავქმენით მთელი ჩვენი მუშაობა და მეურნეობის ყველა დარგი საომარ ყაიდაზე ფრონტისათვის მაქსიმალური დახმარების გასაწევად. საქართველოს მუშები თავისი გმირული შრომით ხელს უწყობდნენ წითელი არმიის გამარჯვებას. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნილი საქართველოს სამრეწველო საწარმოებში წითელ არმიას ამარაგებდნენ დიდძალი საბრძოლო მანქანებით, საჭურველითა და საომარი მასალით.

საქართველოს საწარმოებში და ქართველი მუშების ხელით დამზადებული ასიათასობით ავტომატი, ათიათასობით ნაღმსატყორცნი, დიდძალი სხვადასხვა ყუმბარები, ნაღმები და გრანატები მონაწილეობდნენ პირისისხლიანი მტრის განადგურებაში.

ქართველი მუშების ხელით ამოღებულმა მილიონობით ტონა მარგანეცმა და ათიათასობით ტონა ფეროშენადნობმა, რაც საქართველოდან გაიგზავნა საბჭოთა კავშირის სამხედრო საწარმოებში, მონაწილეობა მიიღო იმ ზარბაზნების, ყუმბარების, ტანკებისა და თვითმფრინავების დამზადებაში, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ანადგურებდნენ.

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები წითელ არმიას აწვდიდნენ დიდძალ ტანსაცმელს და საინტენდანტო ქონებას.

საქართველოს კვების მრეწველობა წითელ არმიას და ქალაქების მოსახლეობას კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტებით ამარაგებდა.

ომიანობის დროის სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ომიანობის მთელი დროის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებებს.

ჩვენმა საკოლმეურნეო სოფელმა ღირსეულად გაუძლო ომის მძიმე განსაცდელს. მიუხედავად იმისა, რომ, წითელ არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობებში მუშახელი ნაკლები გახდა, სამშობლოს მხურვალე სიყვარული დაეხმარა საქართველოს კოლმეურნეებს ომიანობის დროის მთელი სიძნელეების წარმატებით გადალახვაში. დაუღალავად მუშაობდნენ ჩვენი კოლმეურნეები იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ წითელი არმიის მომარაგება კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობისა ნედლეულით.

ომიანობის წლებში საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მილიონ ფუთამდე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული.

გარდა ამისა, 1944 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა დახმარების სახით გაუგზავნეს განთავისუფლებული რაიონების მოძმე კოლმეურნეებს 26 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

საბჭოთა მთავრობამ, ამხანაგმა **სტალინმა** მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაობას ომიანობის წლებში. ომიანობის რთულ პირობებში სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დაცალების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის 500-ზე მეტი მუშაკი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ომიანობის წლებში დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს მედიცინის მუშაკებმა. ჩვენმა სამედიცინო დაწესებულებებმა ომის პერიოდში მომსახურება გაუწიეს წითელი არმიის ასიათასობით დაჭრილ მებრძოლსა და მეთაურს. წითელი არმიის ათიათასობით დაჭრილი მებრძოლნი და მეთაურნი მოთავსებული იყვნენ და გამოჯანსაღდნენ საქართველოს კურორტებზე.

საქართველოდან ფრონტზე გაიგზავნა ათასობით ექიმი და სხვა სამედიცინო მუშაკი. 500-მდე ექიმი გაიგზავნა განთავისუფლებულ რაიონებში სამუშაოდ.

ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი საქართველოს ინტელიგენცია მთელ თავის ცოდნას და ძალას მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეს ახმარდა. საქართველოს მეცნიერებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეთაურობით შეიმუშავეს მთელი რიგი სერიოზული სამეცნიერო თემები, რომლებიც დაკავშირებულია ომის წარმოებასთან.

ჩვენი მწერლები და პოეტები თავისი პატრიოტული ნაწარმოებებით საგმირო საქმეებისათვის ალაფრთოვანებდნენ წითელი არმიის მებრძოლებს, რომლების წინაშეც აღადგენდნენ ქართველი ხალხის გმირულ ისტორიულ წარსულს.

საქართველოს მხატვრებმა, მოქანდაკეებმა და კომპოზიტორებმა ომიანობის წლებში მთელი რიგი კარგი ნაწარმოებები შეჰქმნეს.

1942 წლის ზაფხულისა და შემოდგომის მძიმე დღეებში, როცა მტერი უშუალოდ მოადგა კავკასიონის ქედის უღელტეხილებს და შავ ღრუბლად ჩამოწვა ჩვენს ქვეყანას, საქართველოს ათიათასობით კოლმეურნე თავდაცვითს ნაგებობებს აშენებდა, ათასობით მათგანი კი წითელ არმიას მიჰყვებოდა, მთიანი ადგილმდებარეობის მძიმე პირობებში თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა და საკუთარი ზურგით აწვდიდა საომარ მასალასა და კვების პროდუქტებს წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც უღელტეხილებზე იბრძოდნენ.

ქართველი ხალხის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლად შევა ის გმირობა, რაც მან კავკასიონის მთის კალთებთან მტრის განადგურების საქმეში გამოიჩინა.

საქართველოს მშრომელებმა ნებაყოფლობით მისცეს საბჭოთა სახელმწიფოს ომიანობის წლებში სესხებისა და თავდაცვის სხვადასხვა ფონდების სახით 3 მილიარდი 173 მილიონი მანეთი.

ახლა, როცა ოთხი წლის მძიმე ომი უკან მოვიტოვეთ, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ სასიკვდილო საფრთხის დროს, რაც თავს დასტრიალებდა საბჭოთა სახელმწიფოს, ამხ. **ბერიას** მიერ სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა ხალხმა ბოლომდე და ღირსეულად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი ბოლშევიკური პარტიის წინაშე, დიდი **სტალინის** წინაშე. **(მქუხარე ტაში).**

გუშინ საბჭოთა ხალხმა იდღესასწაულა ჩვენი გმირი წითელი არმიის არსებობის სახელოვანი 28 წლისთავი.

ლენინისა და **სტალინის** მიერ შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლის წლებში შექმნილი წითელი არმია თავის დიად ამოცანათა სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან თავი გამოიჩინა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების ერთგულმა და საიმედო დამცველმა.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში წითელმა არმიამ სავსებით გაამართლა ჩვენი ხალხის ნდობა და ღირსეულად შეასრულა თავისი ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

დიდი **სტალინის** წინამძღოლობით, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა გერმანიის არმია, რომელიც, როგორც ცნობილია, თავზარსა სცემდა ევროპის სახელმწიფოთა არმიებს, და საჭადრაკო ომიდან ისტორიულ გამარჯვებათა დიდებით მოსილი გამოვიდა.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი წითელი არმია, სამართლიანად ამაყობს მისით, მისი ისტორიული გამარჯვებებით გერმანელ ფაშისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე.

ჩვენი ქვეყნის ხალხები სამუდამოდ შეინახავენ იმ გმირთა წმიდა ხსოვნას, რომელნიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლებში.

უსაზღვროა ქართველი ხალხის სიყვარული წითელი არმიისადმი. ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს არა მარტო ის, რომ წითელი არმია დაეხმარა საქართველოს მუშებსა და გლეხებს მენშევიკური სიბილწისაგან განთავისუფლებასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, არამედ ისიც, რომ 1942 წლის მძიმე დღეებში, როცა გამხეცებული მტერი ზედ მოადგა საქართველოს საზღვრებს, წითელმა არმიამ თავისი მკერდით გადაუღობა გზა მოწინააღმდეგეს და მთებში წარმოებული ომის უზომოდ მძიმე პირობებში დაამარცხა და უკუაქცია გერმანელ ფაშისტთა ურდოები.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს წითელი არმიის გმირულ საქმეებს, რომელმაც ქართველები იხსნა ფაშისტური შემოსევის საშინელებისა და ჰიტლერელთა მიერ ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან.

მშვიდობიანი დროის ახალ პირობებში, როცა წითელი არმია მოწოდებულია ფხიზლად დაიცვას საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა და მტრისათვის მიუვალი გახადოს ჩვენი სამშობლოს საზღვრები,

წითელი არმიის საჭიროებისათვის მუდმივი მზრუნველობა და ყურადღება ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანაა, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ომის საკმაოდ ბევრი პროვოკატორი დარჩა.

ამასთან ჩვენ მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში ის, რომ ჩვენი რესპუბლიკა საზღვარზე მდებარეობს, და ამ ფაქტიდან გამომდინარე დამატებითი მოვალეობანი ჩვენი შეიარაღებული ძალების მიმართ.

დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბედთან განუყრელად არის დაკავშირებული თვითეული ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ამიტომ იყო, რომ ასე უსაზღვრო მამაცობით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები სამამულო ომის ფრონტებზე.

მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პირისხლიან მტერზე ჩვენი ხახელოვანი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა, უწინარეს ყოვლისა, დიდმა რუსმა ხალხმა, რომელიც არის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ არა მარტო იმას, რომ დიდმა რუსმა ხალხმა თავის დევგმირულ მხრებზე გადაიტანა სამამულო ომის ძირითადი სიმძიმე, არამედ იმასაც, რომ რუსმა ხალხმა პირველმა ააფრიალა პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური დროშა, მრავალრიცხოვან მტრებთან სასტიკ ბრძოლაში დაიცვა საბჭოთა ხელისუფლება და დახმარება გაუწია ყოფილი მეფის რუსეთის ყველა მცირე ერს ცარიზმის, მემამულეების, თავად-აზნაურებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლების საქმეში.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, ივი 160 წელზე მეტია, რაც დიდ რუს ხალხთან ხელიხელ ჩაკიდებული მიდის.

ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობა რუს ხალხთან წარსულშიც არაერთხელ განმტკიცებულა სისხლით, რაც რუსებმა და ქართველებმა ერთად დაღვარეს საერთო მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში.

ახლა ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ბრძოლების ქარცეცხლში და მსოფლიოს ვერავითარი შავბნელი ძალა ვერ მოსპობს მას.

ქართველი ხალხი უდიდესი სიხარულით აღნიშნავს, რომ დღევანდელ ჩვენს ზეიმში მონაწილეობას იღებენ დიდი რუსი ხალხის მიერ წარმოგზავნილნი ლენინ-სტალინის გვარდიის ძველი ბოლშევიკის, დიდი სტალინის თანამებრძოლის ამხ. შვერნიკის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

თვალს რომ გადავავლებთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე განვლილ სახელოვან გზას, ჩვენ ერთხელ კიდევ მაღლობით ვიგონებთ და ვაფასებთ იმ უდიდეს ორგანიზატორულ, პოლიტიკურ და აღმზრდელობითს მუშაობას, რაც ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიამ** გასწია საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი მუშაობის მრავალი წლის მანძილზე. **(ტაში).**

სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდი მუშაობა სწარმოებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ პერიოდში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი წარმატებანი მიღწეულ იქნა 1931 წლის შემდეგ, როდესაც დიდმა **სტალინმა** ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუყენა თავისი საიმედო თანამებრძოლი ამხ. **ბერია.** (ტაში).

ამხ. **ბერიას** მიერ ჩატარებული უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა ღირსშესანიშნავ ისტორიულ ნიშანსვეტს წარმოადგენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ამხ. **ბერიამ** ამიერკავკასიაში გამოამჟღავნა და მოსპო ფაშისტური ოხრანკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურის ბუდე. მან ამიერკავკასიის ხალხებს ჩაუნერგა სამშობლოს მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

მან სტალინის დროშით დარაზმა ამიერკავკასიის ხალხები.

ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით საქართველო გახდა მძლავრი ინდუსტრიის, აყვავებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა, რომელმაც მტკიცე ადგილი დაიკავა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

თავისი ნაშრომით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ამხ. **ბერიამ** პირველმა გადაგვიშალა იმ მზღვნებარე ბრძოლის ფურცლები, რომელსაც დიდი **სტალინი** ეწეოდა რევოლუციის გარიჟრაჟზე ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის.

ამხ. **ბერიამ** აღზარდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა მრავალრიცხოვანი დიდად ნიჭიერი კადრები, ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის კადრები, რომლებიც ამჟამად წინ სწევენ ქართველი ხალხის მეურნეობის ყველა დარგს, კულტურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას.

ამხ. **ბერიამ** აღზარდა ქართველი მებრძოლების, ოფიცრებისა და გენერლების კადრები, რომლებმაც ბრძოლის ველებზე მამაცობა, სიმტკიცე და ურყეობა გამოიჩინეს.

მრისხანე დღეებში, როცა გამხეცებული მტერი კავკასიონის მთებზე მოისწრაფოდა და ცდილობდა ხელთ ეგდო საქართველო, დიდი **სტალინის** დავალებით ამხ. **ბერია** სათავეში ჩაუდგა კავკასიის დაცვის საქმეს. მან მჭიდროდ გააერთიანა ფრონტისა და ზურგის ღონისძიებანი და უზრუნველჰყო კავკასიაში გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმის ბრწყინვალედ განხორციელება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ყველა მიღწევა—მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების აყვავება და ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება განუყრელად არის დაკავშირებული ამხ. **ბერიას** სახელთან და მუშაობასთან.

ამიტომ არის, რომ ყოველი ქართველი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლობის გრძნობით ატარებს თავის გულში ამხ. **ბერიას** სახელს. (ტაში).

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. **ბერია** დატვირთულია დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობით, იგი მაინც პოულობს დროს და სისტემატურ დახმარებას გვიწევს თავისი ხელმძღვანელი მითითებებითა და რჩევა-დარიგებით, რომლებსაც ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორც თქვენ უკვე იცით, ამ ცოტა ხნის წინათ, სსრ კავშირის უმაღ-

ლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, ამხ. **ბერია** პირადად ჩამოვიდა საქართველოში, გაეცნო ჩვენს მდგომარეობას და თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, აგრეთვე ხელმძღვანელ მუშაკებთან პირადი საუბრის დროს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დავალებანი მოგვცა.

ამხ. **ბერიამ** მთავარ ამოცანად დაგვისახა—რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ომის შედეგები და სწრაფი ნაბიჯით გავწიოთ წინ მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ. მან მოითხოვა ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ამხ. **ბერიამ** სერიოზული ამოცანები დაგვისახა სოფლის მეურნეობის დარგშიც, განსაკუთრებით სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში.

მან ჩვენი ყურადღება მიაქცია ქალაქების, კერძოდ ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის ხაზით სამუშაოთა გაძლიერების საჭიროებას.

მან უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს და საქართველოს მთელ საბჭოთა ინტელიგენციას.

ჩვენ მოვალენი ვართ უმოკლეს ვადაში შევასრულოთ ამხ. **ბერიას** ყველა მითითება და ჩვენ ამას გავაკეთებთ. (**ტაში**).

დასავლეთში გერმანელი ფაშისტებისა და აღმოსავლეთში აგრესიული იაპონიის წინააღმდეგ მძიმე ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა.

გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფო წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა ეკონომიკამ, გაიმარჯვა ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ, გაიმარჯვა დიდი **სტალინის** მხედართმთავრულმა გენიამ (**ტაში**).

მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრებიხ შემდეგ ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობაზე გადავიდა და მის წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები დაისახა.

როგორც ვიცით, ჩვენი ომისშემდგომი ამოცანები მოცემულია ახალ ხუთწლიან გეგმაში, რომლის შესახებ ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა **სტალინმა** სთქვა: „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და, შემდეგ, გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობით“.

ამხანაგმა **სტალინმა** მოითხოვა, რომ ჩვენ ამ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანდათანობითი შემცირებით.

ამხანაგმა **სტალინმა** საბჭოთა ხალხებს უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის დაუსახა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა—„მოაწყონ საბალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვედიდებინა ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად, ომამდელ დონესთან შედარებით“.

საბჭოთა ხალხი მთელი თავისი მგზნებარე ენერგიით ერსულოვნად შეუდგება ამხანაგ **სტალინის** მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამ დიადი ისტორიული ამოცანების შესრულებას, ვინაიდან საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა ძალა და მნიშვნელობა აქვს სტალინურ ხუთწლედებს.

როგორც ვიცით, საქართველო უშუალოდ არ დაზარალებულა მტრის შემოსევისაგან, მაგრამ ომის შედეგები ჩვენშიც არის. ჩვენ უახლოეს დროში უნდა მოვახდინოთ ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია და სწრაფი ნაბიჯით გავწიოთ წინ ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ.

უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ ვადამდე შესრულება ჩვენი ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში ახალ სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის ფართოდ გაშლას.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ სამუშაოზე, რაც ჩვენ უახლოეს წლებში უნდა შევასრულოთ, მოვიყვან ზოგიერთ ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის პროექტიდან, რომელიც წინასწარ მოწონებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ:

საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის განისაზღვრება 4.200 მილიონი მანეთით. ამ ხუთწლედში ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვანახშირის 11 შახტი, მეტალურგიული ქარხანა, რომელიც წელიწადში მოგვცემს 430 ათას ტონა თუჯს, 500 ათას ტონა ფოლადს, 500 ათას ტონა კოქსს და 384 ათას ტონა სხვადასხვა ნაგლინს; ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 30 ათას სამტონანახევრიან სატვირთო ავტომანქანას; უნდა დავამთავროთ ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხნის, პლასტმასის ქარხნის მშენებლობა; უნდა ავაშენოთ გორში საფეიქრო კომბინატი, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 30 მილიონ მეტრამდე ბამბის ქსოვილს, და მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოები. უნდა დავამთავროთ ხრამჰესის, სოხუმჰესის, ჩითახევჰესის მშენებლობა; უნდა დავიწყოთ და დავამთავროთ ტყიბულისა და შაორის ჰიდროელსადგურების მშენებლობა.

ჩვენი ელექტროსადგურების სიმძლავრე ამ ხუთწლედში 270 ათასი კილოვატით გაიზრდება.

უნდა გავაორკეცოთ ჩვენი მაუდის ფაბრიკების სიმძლავრე და განვაჩორციელოთ სამგორის სისტემისა და მთელი რიგი სხვა სარწყავი არხების მშენებლობა. ფართოდ უნდა გავშალოთ სკოლების, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და დაწესებულებების, თეატრების, კინოების და განსაკუთრებით საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის.

ჩვენი ადგილობრივი და კოოპერატიული მრეწველობა იმდენად უნდა გაფართოვდეს, რომ 1950 წელს გამოიმუშაოს 400 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1945 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 1950 წელს უნდა გაიდიდეს ერთიოთხად, ნავთის ამოღება — ერთისამად და უფრო მეტად, მარგანეცის მოპოვება — ორნახევარჯერ და უფრო მეტად, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების გამომუშავება — ერთიორად, ფეხსაცმლის გამოშვება — ერთიოთხად და მცენარეული ზეთის გამომუშავება — ოთხნახევარჯერ.

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საერთო პროდუქცია 1950 წელს, 1945 წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს 117 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—59 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—73 პროცენტით, სხფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—80 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა — 48 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—70 პროცენტით. სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოსი—161 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა—53 პროცენტით და სარეწაო კოოპერაციისა—40 პროცენტით.

სოფლის მეურნეობაში, სწორი თესლბრუნვების შემოღების დამთავრების გარდა, მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მოსავლიანობა, 1945 წლის დონესთან შედარებით, უნდა გავადიდოთ 56 პროცენტით.

მრავალწლიანი კულტურების—ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ხეხილის ბაღების, ტუნგოს ნარგავებისა და სხვათა არსებული პლანტაციების რეჟონტთან, წესრიგში მოყვანასთან და მათი მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, მომავალ ხუთწლედში უნდა გავაშენოთ ჩაის 6.000 ჰექტარამდე ახალი პლანტაცია, 11 ათასი ჰექტარი ციტრუსები, 15 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები, 13 ათასი ჰექტარი ვენახი და 4.000 ჰექტარზე მეტი ტუნგო.

ამ ხუთწლედში ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გავადიდოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 15 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—33 პროცენტით, ღორისა—46 პროცენტით და ცხენისა—42 პროცენტით.

როგორც ხედავთ, ჩვენ გრანდიოზული სამუშაოები უნდა შევასრულოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ჩემს მიერ მოყვანილი ცნობები ამოღებულია ხუთწლიანი გეგმის პროექტიდან, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა განიხილავს. ციფრები შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ მხრივ, მაგრამ, როგორც ვიცით, 1946 წელი წარმოადგენს ომისშემდგომი ხუთწლედის პირველ წელს და, მაშასადამე, ეს გეგმა პრაქტიკულად უკვე მოქმედებს და ჩვენ ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შევასრულოთ 1946 წლის გეგმა. ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება.

ამავე დროს ჩვენი მუშაობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. ადგილობრივი მრეწველობა არადამაკმაყოფილებლად მუშაობს და ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გეგმას.

ჩამორჩენილი არიან ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი საწარმოებიც, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობისა და ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოები.

ჯერ კიდევ კარგად არ არის დაყენებული გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და თვითღირებულების საქმე.

ცალკეულ მნიშვნელოვან ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

მთელი ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ლიკვიდირებული. გადაჭრით უნდა გამოვიყენოთ ზოგიერთი ჩვენი მუშაკი თვითდამშვიდე-

ბის მდგომარეობიდან და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ დაწესებული გეგმები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც სრულდებოდეს.

ჩვენს მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარება.

ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე როდია. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დრო უახლოეს დღეებში დადგება, ჩვენი ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობანი კი ჯერ კიდევ არ გამოსულან საზამთრო ჰოდუნების მდგომარეობიდან და ზოზინით იწყებენ მუშაობას.

ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ მრავალწლიანი ნარგავების — ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს, ვენახის, ხეხილის ნარგავების საზამთრო-საგაზაფხულო დამუშავება.

უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშათა მძლავრი გასვლა საგაზაფხულო თესვისათვის მიწების მოსახნავად და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად.

ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ და კიდეც უნდა ჩავატაროთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, რათა უზრუნველვყოთ მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უაღრესად უხვი მოსავალი. ამისათვის ჩვენ მოგვეპოვება ყოველგვარი პირობები, მით უმეტეს, რომ წითელი არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდძალი მუშახელი დაბრუნდა.

ამხანაგებო! 1946 წლის 10 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში თავისი საყოველთაო მონაწილეობით და კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის-ცემით მთელმა ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი დარაზმულობა **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, თავისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება დიდი **სტალინისადმი,** თავისი დაუცხრომელი სურვილი იმუშაოს და იბრძოლოს **სტალინის** დროშით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

საბჭოთა ხალხის ეს განსაკუთრებული აქტივობა, დარაზმულობა და ერთსულოვნობა წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ წარმატებით იქნება განხორციელებული საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აყვავების გრანდიოზული პროგრამა, რომელიც მოცემულია ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ სიტყვაში.

ამხანაგებო! მოკლე ისტორიული გზის მანძილზე, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხმა მთელ რიგ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია.

1917 წელს **ლენინისა** და **სტალინის** მეთაურობით, რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, შეჰქმნა საბჭოთა ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

სამოქალაქო ომის წლებში, როცა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საბჭოთა სახელმწიფო მრავალრიცხოვანი მტრებით იყო გარშემორტყ-

მული, საბჭოთა ხალხმა, აუტანელ მძიმე პირობებში, **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურა შინაგანი კონტრრევოლუციისა და 14 სახელმწიფოს ინტერვენტთა მრავალრიცხოვანი ურდოები, რომლებიც მაშინ ჩვენს ქვეყანას აწვებოდნენ.

სტალინის წინამძღოლობით ჩვენ ჯერ წარმატებით აღვადგინეთ სამოქალაქო ომით დანგრეული მეურნეობა და შემდეგ უმაგალითო მოკლე ხნის განმავლობაში უზრუნველვყავით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ხალხის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ჯერ არნახული განვითარება, და სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ამხანაგმა **სტალინმა** შეჰქმნა და გამოაწრთო ჩვენი მძლავრი წითელი არმია და უზრუნველჰყო საბჭოთა სახელმწიფოს მზადყოფნა აქტიური თავდაცვისათვის.

დიდი **სტალინის** წინამძღოლობით საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო სამამულო ომის ყველაზე მძიმე განსაცდელს.

ამხანაგ **სტალინის** მხედართმთავრულმა გენიამ უზრუნველჰყო ჩვენი ისტორიული გამარჯვება დასავლეთში ფაშისტურ გერმანიაზე და აღმოსავლეთში იაპონელ იმპერიალისტებზე.

სტალინის გენიამ იხსნა საბჭოთა სახელმწიფო მოსპობისაგან და საბჭოთა ხალხები — გაჟლეტისა და დამონებისაგან.

დიდი **სტალინის** წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით ჩვენი ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი გამარჯვებულნი გამოვლენ ჩვენი გრანდიოზული ომისშემდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვების საქმეშიც. **(ტაში).**

ამხანაგ **ბერიას** მიერ აღზრდილნი, საქართველოს ბოლშევიკები, თავისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, და მთელი ქართველი ხალხი მზად არიან შეასრულონ ამხანაგ **სტალინის** ყველა დავალება. **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერ საბჭოთა სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს — დიდი **სტალინის** თანამებრძოლს — ამხანაგ **ბერიას! (მჭუხარე ტაში).**

დიდება დიდ სტალინს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან).

მ. დელგა

საუკუნის მეოთხედი

უდიდესი აღმავლობისა და სიხარულის ვითარებაში აღნიშნა ქართველმა ხალხმა თავისი დიდი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა საქართველოს სახელოვანი 25 წლისთავი. ქართველ ხალხს, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ხალხია მსოფლიოში, თავისი დიდი და საგულისხმო ისტორია აქვს.

ისტორიული ცნობებისა და მატერიალურ-სულიერი კულტურის ძეგლების საფუძველზე უცილობლად დამტკიცებულია, რომ ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ ჩვენს ერამდე, ქართველებს ჰქონდათ თავისი სახელმწიფო და დაუფლებული იყვნენ განვითარებული მიწათმოქმედების ხელოვნებას და საერთოდ ხელოსნობას. ამას მოწმობენ აგრეთვე განთქმული ანტიკური მეცნიერები ჰეროდოტე და სტრაბონი, და უფრო გვიანი დროის ისტორიკოსები და მოგზაურები, რომელთაც აღწერეს ძველი ქართული სახელმწიფოები იბერია და კოლხეთი.

პირველი საუკუნის დასაწყისს ჩვენს ერამდე სტრაბონი სწერდა ქართველების შესახებ, რომ „... ეს მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ხშირი მოსახლეობა ჰყავდეს. და მართლაც, იბერია მშვენივრადაა დასახლებული მეტწილად ქალაქებითა და დაბებით, ისე რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად აშენებული ბინები და საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები".

შემთხვევით კი არ შეუქმნიათ ბერძნებს მითი არგონავტების კოლხეთში ლაშქრობისა იაზონის მეთაურობით ოქროს საწმისისათვის.

უცხოელ დამპყრობთა ურდოები, რომლებიც ჩვენში მოდიოდნენ საყაჩაღოდ, ჩვენს სამშობლოში ხვდებოდნენ არა მარტო ქართველი ხალხის წინააღმდეგობას, არამედ მაღალ კულტურასა და განვითარებულ მეურნეობას.

ქართული დამწერლობა წარმოიშვა ჯერ კიდევ ქრისტიანობის ერამდე. ჩვენი ათასწლეულის დასაწყისს ქართველებმა დააარსეს სამი აკადემია: გელათის, იყალთოს და გრემისა. ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი იყო განთქმული შანგანის აკადემიის მიერ აღზრდილი და მისი აქტიური მოღვაწე. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ კლასიკურ ეპოქაში ქართველები კითხულობდნენ ჰომეროსის ოდისეას და ილიადას თარგმანებს. იმ ხანაში კულტურული დაწესებულებები ქართველებს ჰქონდათ არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მძლავრი ბიზანტიის სამფლობელოშიც.

„ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთ-ერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში. იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს

კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში. ვგონებ, ჩვენს ქვეყანაში არცერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. ჩემში პირადად ყოველთვის აღტაცებას იწვევდნენ ქართული სიძველის ძეგლები, ქართული ხელოვნება, ქართული ლიტერატურა“ (მ. კალინინი).

როგორც ოქროს ხანაში, ისე შემდეგ საუკუნეებშიც ჩვენი მხარე ბრწყინავს გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა, მთავარსარდალთა, მწერალთა და ხალხოგადო მოამაგეთა სახელებით. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში საქართველოში აღმოჩნდნენ გამჭრიახი გონების სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც საჭიროდ სცნეს რუსეთთან კავშირისა და მეგობრობის დამყარების აუცილებლობა. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენს პოლიტიკურ ისტორიაში. მაშინდელ ისტორიულ პირობებში რუსეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ პროგრესულ ძალას, რომელსაც შეეძლო დახმარებოდა საქართველოს.

საბჭოთა საქართველოს ღირსშესანიშნავი იუბილეს დღეებში ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი, მძიმე განსაცდელით აღსავსე ისტორიის მანძილზე არ დაემორჩილა არცერთ ძლიერ დამპყრობელს, ღირსეულად და სახელოვნად გაენელო თავისი განვითარების გზა და არც ერთხელ არ დასცა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წმინდა დროშა.

რუსეთის ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ხალხთა მასების რევოლუციურ მოძრაობაში, მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლიდან მუშათა კლასისა და გლეხობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველმა ხალხმა შეიტანა უდიდესი წვლილი, გამოჰყო რა თავის წრიდან გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწეები. ქართველი ხალხი, დიდ რუს ხალხთან ერთად, 1905 წ. რევოლუციის ორგანიზატორთა და მებრძოლთა პირველ რიგებში იყო. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ მოგვცა ვ. ი. ლენინის გენიალური თანამებრძოლი და მისი საქმის განმგრძობი დიდი სტალინი.

რეაქციის შავ ძალებთან ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა ლენინთან ერთად ორგანიზებულად დარაზმა და გამოზარდა ჩვენი ბოლშევიკური პარტია და მიიყვანა იგი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა დააარსა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. ლენინის დროშით, სტალინის წინამძოლობით, საბჭოთა ხალხმა ააგო შეურყეველი სოციალისტური საზოგადოება. ლენინის დროშით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძოლობით, საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში მიაღწია მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას—გაანადგურა დასავლეთით ჰიტლერული გერმანია და აღმოსავლეთით იაპონელი იმპერიალისტები.

„ჩვენი პარტიისათვის, სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის, ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელისათვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ყველაზე მძიმე განსაცდელთა პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხს სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი“ (ლ. ბერია).

ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებები მთლიანად გამომჟღავნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისას. სოციალისტური საზოგადოების ძლევამოსილი მშენებლობის წლებში დადგა კულტურული და ეკონომიური განვითარების დარგში ნამდვილი აყვავების ხანა.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულია მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა. სტალინური ხუთწლედების პერიოდში შექმნილი და ათვისებულია დიზგათმშენებლობის, მანქანათმშენებლობის, კვების პროდუქტებისა და სხვა სახის მრეწველობა. დიდათ განვითარდა საფეიქრო, ნაეთსახდელი, ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობა.

საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწაპოვარია ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა. განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად საქართველოში არსდება მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა. ამჟამად ჩქარი ტემპებით შენდება მეტალურგიული და საავტომობილო ქარხნები. ეს ორი უდიდესი სამრეწველო წარმოება კიდევ უფრო გაადიდებს საქართველოს ინდუსტრიულ ძლიერებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე, დიდი ლენინის და დიდი სტალინის პირადი მითითებით, დაწყებული იყო უდიდესი მუშაობა ელექტროსადგურების ასაგებად. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ელექტროსადგური იყო საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშო. აშენებულია რიონის ჰიდროელსადგური, ტყვარჩელის თბოელექტროსადგური და მრავალი სხვა. ამჟამად საქართველოს აქვს მძლავრი ენერგეტიკული მეურნეობა. მსხვილი ჰიდროელსადგურები, რომლებიც შენდება მდინარეებსა ხრამსა, ძუმისტაწაა და სხვ., მოწოდებული არიან უზრუნველჰყონ საქართველოს მზარდი მრეწველობის მოთხოვნილებანი.

რევოლუციამდე ნახშირის დამუშავება მეტად სუსტად იყო დაყენებული საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირის დამუშავება ტყიბულში დაიწყო ასი წლის წინათ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გადიდებული და გაფართოვებულია ნახშირის მოპოვება, კერძოდ ტყიბულის ქვანახშირის ძველ მაღაროებში. მთლიანად განახლებულია ტყვარჩელის ნახშირის რაიონი. საქართველოს ნახშირის მაღაროების გაფართოების მიზნით ამჟამად მიმდინარე დიდმა მუშაობამ 1947 წლის ბოლოს ნახშირის მოპოების საშუალო დღიური რაოდენობა სამჯერ უნდა გაადიდოს. თებერვლის დასაწყისს ტყვარჩელში მოქმედ წარმოებათა რიგებში ჩადგა ახალი მაღარო № 2, რომელიც ნახშირის მოპოებას გააორკეცებს.

საქართველოში არის მსოფლიოში ცნობილი ჭიათურის მარგანეცის საბადოები, რომლებიც მუშავდება 1879 წლიდან. მიუხედავად ჭიათურის მარგანეცის ინტენსიური ექსპლოატაციისა კაპიტალისტ-მეწარმეების მიერ რევოლუციამდე და მეოცეების დროს, მარგანეცის მოპოება მცირე იყო და თითქმის არამექანიზებულად ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მარგანეცის მოპოების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და შეაიარაღა მაღაროები სამთომადნო მექანიზმებით. რეკონსტრუქციის პერიოდში მექანიზებულია დატვირთვა, აშენებულია დიდი გამამდიდრებელი ქარხანა, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ქალაქი.

სერიოზული მუშაობა არის ჩატარებული მირზაანის, პატარა შირაქის და სუფსის რაიონებში ნავთის აღმოჩენის, მოპოებისა და გადამუშავების დარგში. მაგრამ ნავთის მრეწველობა საქართველოში ჯერ კიდევ ნორჩი დარგია. პარტია და მთავრობა სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მის შემდ-

გომ განვითარებას. საქართველოს ნავთის მუშაკების ღირსების საქმეა მიაღწიონ მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ახალ წარმატებებს.

მარგანეცის, ნახშირისა და ნავთის გარდა, საქართველოში მოიპოვება იშვიათი და ძვირფასი ლითონები; აგრეთვე სამრეწველო მასშტაბით მოიპოვება ბარიტი, გუმბრინი, მარმარილო, გრანიტი, ტუფი და მრავალი სხვა სამშენებლო მასალა, რითაც მდიდარია ჩვენი მიწის წიაღი.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს ინდუსტრიამ ბრწყინვალედ დაიჭირა სიმწიფის გამოცდა: ის განუწყვეტლივ აძლევდა ფრონტს და ქვეყანას ცემენტს, ნახშირს, ნავთს, მარგანეცს, ფეროშენადნობს, საბრძოლო მანქანებს, იარაღებს, საომარ მასალას, არმიის ტანსაცმელს და კვების პროდუქტებს.

საბჭოთა საქართველოს არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაფართოებულია რკინიგზების ქსელი და განხორციელებულია ახალი შარაგზების მშენებლობა; მათ შორის არის მშვენიერი მაგისტრალი თბილისი-გორი. თბილის-სამტრედიის რკინიგზის ხაზი ელექტროფიცირებულია და მძლავრი საბჭოთა ელექტრომავლები ეწევიან სურამის უღელტეხილზე მატარებლის შემადგენლობას.

ამჟამად ინტენსიურად ვითარდება სამოქალაქო საჰაერო ფლოტი, რომელიც ომის პერიოდში მუშაობდა ფრონტის საჭიროებისათვის.

ვითარდებიან აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებანი: ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩატარებულია დიდი მუშაობა ქალაქთა მშენებლობისა და კეთილმოწყობის დარგში, განსაკუთრებით თბილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, გორსა, ფოთსა და სტალინირში.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია კოლოსალური მუშაობა თბილისის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის.

ძველი თბილისი შეიმკო მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობებით, რომლებიც აგებულია არა მარტო ქალაქის ცენტრში, არამედ ადრინდელ მივარდნილ გარეუბნებშიც.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა, აღმართული რუსთაველის პროსპექტზე, თავისი მონუმენტალობით და კლასიკური სტილით წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთ შედევრს.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველო აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში დიდი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგშიც. საქართველოს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ფართო მასშტაბით დანერგა და წარმატებით განავითარა ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, გერანი და სხვა, რომლებიც წინათ საწარმოო მასშტაბით განვითარებული არ იყო.

ცარიზმისა და მენშევიკების დროს საქართველოში იყო ჩაის პლანტაციები არა უმეტეს 900 ჰექტარისა, ეხლა კი ჩვენ გვაქვს 80.000 ჰექტარზე

მეტი ჩაის პლანტაციები, რომლებიც კარგ აღმოსავლურ ხალიჩებივითაა გადაშლილი დასავლეთ საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის მინდვრებზე. პლანტაციებიდან შემოსული ჩაის ფოთოლი მუშავდება 35 ჩაის ფაბრიკაში. სურნელოვანი ქართული ჩაი დიდად ფასდება საბჭოთა კავშირში. მილიონობით ოქროსფერ ციტრუსების ნაყოფს: ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს ვაწვდით ჩვენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ციტრუსების პლანტაციებს საქართველოში უჭირავს 18.000 ჰექტარი.

გაითვალისწინა რა ციტრუსოვანთა დიდი მნიშვნელობა, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამასწინათ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. 1950 წლის დასასრულს ჩვენმა საბჭოთა და კოლექტიურმა მეურნეობებმა ციტრუსოვანი კულტურების ფართობი უნდა აიყვანონ 29.000 ჰექტარამდე.

ამ გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია 1946-1950 წლებში გაშენდეს ციტრუსოვან კულტურათა ახალი პლანტაციები 11.000 ჰექტარის რაოდენობით. არსებულ ციტრუსოვანთა სანერგეების მოვლა ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს და ახალი პლანტაციების გაშენება უნდა მოხდეს აგრონომიული მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ამ გადაწყვეტილებით პარტიამ და მთავრობამ ჩვენი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისათვის, ციტრუსების დარგში მომუშავე ყველა პირთათვის, განსაკუთრებით კი აგროტექნიკური პერსონალისათვის ოშვიათი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარებისათვის. ეხლა საქმე ჩვენზეა, და ეს საპატიო ამოცანა, რადაც უნდა დაჯდეს, უნდა შეასრულონ ჩვენი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის გამოცდილმა კადრებმა.

ათასობით ჰექტარ ფართობზე მიღებულ ტუნგოს მოსავლიდან მზადდება ტექნიკური ზეთები და მნიშვნელოვანი ლაქები, რომლებიც გამოიყენება უმთავრესად საავიაციო მრეწველობის საჭიროებისათვის. გერანისა და სხვა ეთეროვანი ზეთები, რომლებიც მზადდება ჩვენში, უძვირფასესი ნედლეულია სსრ კავშირის საპარფიუმერიო მრეწველობისათვის.

მთელს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც განთქმულია საქართველოს თამბაქო, განსაკუთრებით აფხაზეთში მოყვანილი თამბაქო, რომელიც განირჩევა თავისი მაღალი ხარისხით. დიდი მუშაობაა ჩატარებული მევენახეობისა და მეხილეობის დარგში კახეთში, ქართლსა და იმერეთში. მევენახეობა და მეხილეობა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეს უძველესი დარგები, წლიდან წლამდე ვითარდებიან. კახეთისა და იმერეთის განთქმული ღვინოები სამართლიანად ითვლება სსრ კავშირის საუკეთესო ღვინოებად.

გაფართოებულია მარცვლეული და სახნავი კულტურების ფართობები. მნიშვნელოვანი მასშტაბით ტარდება სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოები.

იზრდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭაზმულობა, თუმც ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ადგილმდებარეობის რელიეფისა და კულტურების სპეციფიკური ხასიათის გამო, ჯერ კიდევ ჩამორჩება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდა იმ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, რომლებიც ამჟამად მზადდება სსრ კავშირში და გამოიყენება უმთავრესად ვაკე ადგილებზე მარცვლოვანი და სახნავი კულტურების დასამუშავებლად,

საქართველოსათვის საჭიროა დამზადდეს სპეციალური მცირე გაბარიტის მანქანები, რომლებიც მომარჯვებული იქნებიან ფერდობებზე და მწკრივებს შორის სამუშაოდ. საჭიროა მექანიზაციის მეტად ფართო მასშტაბით განხორციელება ამ დარგში, ისე როგორც სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში.

ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოში განხორციელებულია პარტიის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კოლმეურნეებმა პატიოსნად შეასრულეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე; ისინი განუწყვეტლივ აწვდიდნენ ფრონტს სოფლის მეურნეობის ნაწარმს, რადგან როგორც მთელ საბჭოთა გლეხობას, საქართველოს კოლმეურნეებსაც გერმანელთა წინააღმდეგ ომი მიაჩნდათ თავიანთ ღვიძლ საქმედ, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ ომად.

საქართველო, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზებზე მდებარეობს, კაცობრიობის ერთ-ერთი კულტურული და უძველესი კერაა. თავისი მაღალი კულტურით, უთვალავი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და სილამაზით, თავისი ხალხის ნიჭიერებითა და განსაცვიფრებელი ეროვნული კოლორიტით საქართველო მუდამ იპყრობდა მსოფლიო მეცნიერთა, კულტურულ და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღებას, რომლებსაც მასთან მუდმივი სულიერი კავშირი ჰქონდათ.

რუსეთის ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელიც ტარდებოდა საქართველოში მეფის მოხელეების, სატრაპების, მემამულეებისა და კაპიტალისტების მეშვეობით, ვერ შესძლო ქართველი და რუსი ხალხების კულტურული კავშირისა და ინტერესების გათიშვა, რადგან ეს ორი ხალხი საუკუნეობით ელტვოდა ერთიმეორეს. საქართველოში ჩამოდიოდნენ, ცხოვრობდნენ და ჰქმნიდნენ გენიალური რუსი მწერლები და პოეტები—გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი, მაქსიმ გორკი. საქართველოში დაიბადა და გაიზარდა ნიჭიერი რუსი პოეტი, რევოლუციის ტრიბუნი, ვლადიმერ მაიაკოვსკი. თბილისი ინახულა გენიალურმა რუსმა კომპოზიტორმა პეტრე ჩაიკოვსკიმ.

თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა აზერბაიჯანის დიდი მწერალი მირზა ფატალი ახუნდოვი. ქართულ ნიადაგზე აღიზარდა განთქმული სომეხი აშუღი პოეტი საიათ-ნოვა. მაგრამ კულტურული მშენებლობის აყვავების საქმეში დიდ წარმატებებს ქართველმა ხალხმა მიაღწია მხოლოდ განვლილ მეოთხედ საუკუნეში, ნაციონალური და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების შემდეგ.

ფართოდ განვითარებულ სასკოლო ქსელში ჩაბმულია ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი. თუ საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში გვქონდა მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ამჟამად ჩვენ გვაქვს 22 უმაღლესი სასწავლებელი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტით სათავეში; ეს სასწავლებლები ამზადებენ კვალიფიციურ კადრებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე სწავლობს 20.000 სტუდენტზე მეტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა მრავალრიცხოვანი კადრები ნიჭიერი საბჭოთა

ინტელიგენციისა, აღზარდა ათასობით სპეციალისტი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ როგორც საქართველოში, ისე რსფსრ-ში, უკრაინაში, შუა აზიაში და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში.

საქართველოში სწარმოებს ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მათემატიკის, ფიზიოლოგიის, მედიცინის, ისტორიის, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის დარგებში.

1941 წლის დასაწყისს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის აყვავების მკაფიო მაჩვენებელი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — მუსხელიშვილი, ჯანაშია, ბერიტაშვილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები არიან.

დიდი წარმატებებია მიღწეული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დარგში. საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობენ ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები. საუკეთესო ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები ითარგმნება რუსულ ენაზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე.

დიდად განვითარებულია სათეატრო და მუსიკალური ხელოვნება, ხალხური შემოქმედება, კინემატოგრაფია. განსაცვიფრებელი ქართული მელოდიები ფართოდ არის გავრცელებული მთელს ქვეყანაზე.

ჩვენი შემოქმედი კადრების დიდი მხატვრული ნიჭის ბრწყინვალე მაგალითია კომპოზიტორ მშველიძის ახალი ოპერა „ამბავი ტარიელისა“.

საქართველო მდიდარია სამედიცინო კადრებით და დაწესებულებებით. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი თავისი ორი სექტორით—ქართულით და რუსულით — ერთ-ერთი დიდი სამედიცინო უმაღლესი სასწავლებელია სსრ კავშირში. მთელს რესპუბლიკაში განვითარებულია ფართო ქსელი სამედიცინო სასწავლებლებისა, რომლებიც ამზადებენ საშუალო კვალიფიკაციის კადრებს. ცნობილია თბილისის ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტები, აგრეთვე ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც იძლევა ბევრ ახალ სამკურნალო პრეპარატს. შეუდარებლად გაიზარდა ქსელი სამკურნალო დაწესებულებებისა, სადაც მოსახლეობა იღებს სამედიცინო დახმარებას. დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა საქართველოს კურორტების ზრდა, სადაც მშრომელები ღებულობენ საჭირო მკურნალობას და ისვენებენ. შექმნილია ახალი კურორტები—წყალტუბო, საირმე, მენჯი, შოვი, ჯავა, ბახმარო, რომლებიც განლაგებული არიან რესპუბლიკის თვალწარმტაც ადგილებში.

გაფართოებულია საქართველოს სახელგანთქმული ძველი კურორტების —ბორჯომის და აბასთუმანის მუშაობა. აფხაზეთისა და აჭარის მშვენიერი კლიმატური კურორტები განთქმულია მთელს საბჭოთა კავშირში. ომამდე საქართველოს ყველა უმთავრეს საკურორტო რაიონებში საკავშირო სახალხო კომისარიატების, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ იქნა დასასვენებელი სახლებისა და სამკურნალო დაწესებულებათა დიდი მშენებლობა. ამჟამად წყალტუბოში — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ბალნეოლოგიურ კურორტზე გაშლილია დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების დიდი მშენებლობა.

ომის მრისხანე განსაცდელი შემოწმება იყო არა მარტო თვითეული

ადამიანის თვისებებისა, არამედ მთელი ხალხისაც. როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, ქართველმა ხალხმაც გაგზავნა თავისი რჩეული შვილები ფრონტზე სამშობლოს დასაცავად, ლენინ-სტალინის დიდი საქმის გამარჯვებისათვის.

ქართველი ხალხის შვილებმა, დიდი სტალინის გამოჩენილი თანამებრძოლის ამხანაგ ბერიას მიერ საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და მტრისადმი სიძულვილის სულისკვეთებით აღზრდილებმა, სამამულო ომში უდიდესი გმირობა გამოიჩინეს; ისინი თავგანწირვით იცავდნენ ჩვენს საბჭოთა სამშობლოს ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების გამხეცებული ბანდებისაგან.

დაუვიწყარ ისტორიულ დღეებში, როდესაც სწყდებოდა კავკასიის ხალხთა ბედი, დიდი სტალინის გეგმით ამხანაგმა ბერიამ მოაწყო კავკასიის საბელოვანი დაცვა. ბრწყინვალე ფურცლებად შევიდა კავკასიის ხალხთა და წითელი არმიის ისტორიაში ის გმირობა, რომელიც მათ გამოიჩინეს სახელოვანი სარდლის მარშალ ბერიას ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის მისადგომებთან მტრის განადგურების საქმეში.

კავკასიის დაცვაში ქართველებმა, კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, გააკეცეს თავისი წინაპრების საბრძოლო ძალა და გამოამჟღავნეს უმაგალითო გმირობა და მამაცობა. აქ, კავკასიის თოვლიან მწვერვალებთან, სამშობლოსათვის ბრძოლაში მამაცურად დაეცა კაპიტანი ბუხაიძე და ათასი სხვა გმირი, რომელთა შესახებაც ხალხი თხზავს სიმღერებს.

მთელი საბჭოთა ხალხისათვის ცნობილია განთქმული სახელები გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძისა, გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძისა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ნანეიშვილისა, გენერალ-მაიორ ჯანჯღავასი, გენერალ-მაიორ თავართქილაძისა, პოლკოვნიკ არშბასი, პოდპოლკოვნიკ ზუმბულიძისა, მამაცი მეზღვაურის საბჭოთა კავშირის გმირის იაროსლავ იოსელიანისა და სხვა მრავალთა.

საგმირო საქმეებით გამოირჩეოდა პარტიზანული პოლკის უშიშარი მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე.

საუკუნეებში იცოცხლებს დიდება რუსი ჯარისკაცის მიხეილ ეგოროვის და ქართველი მებრძოლის მელიტონ ქანთარიასი, რომლებმაც გადამწყვეტი შეტევის დროს ლენინურ-სტალინური გამარჯვების დროშა ააფრიალეს ფაშისტების შავ რაიხსტაგზე ბერლინში. ეს დიდი ღვაწლი სიმბოლოა რუსი და ქართველი ხალხის ტრადიციული საბრძოლო მეგობრობისა, რომელთა სახელოვანი შვილები წინათაც ერთად იბრძოდნენ რუსეთის ღირსებისათვის სენ-გოტარდის მწვერვალზე და ბოროდინოსთან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავი საქ. სს რესპუბლიკამ იზეიმა მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებთან—აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან ერთად, რომლებიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

ქართველი ხალხი და მასთან აფხაზეთის მშრომელები თავისი ეკონომიკისა და კულტურის აყვავების საქმეში დიდად დავალებული არიან იმ უდიდესი დახმარებით, რომელსაც გამუდმებით გვიწევს ჩვენი საყვარელი მეგობარი და აღმზრდელი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, იმ ყოველდღიური

ხელმძღვანელობით, რომელსაც გვიწევს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქ. სსრ სახკომსაბჭო.

ქართველმა ხალხმა თავისი თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა იმიტომაც, რომ იგი ცხოვრობს საბჭოთა კავშირის ხალხების ძლიერ, ძმურ ოჯახში. ხალხთა ურღვევმა სტალინურმა მეგობრობამ, გამოწრთობილმა მტერთან ბრძოლაში, გადაარჩინა ჩვენი საბჭოთა სამშობლო ფაშისტურ ყაჩალთა მიერ დაპყრობას.

და ამიტომაც, თავისი სახელოვანი იუბილეს დღეს ქართველი ხალხი გამოხატავს თავის მადლობას დიდი რუსი ხალხისადმი, ხალხთა სტალინური მეგობრობის მედროშისადმი, რომელმაც თავისი გოლიათური მხრებით გადაიტანა სამამულო ომის ძირითადი სიმძიმე.

სწორედ ამიტომ საბჭოთა საქართველოს 25 წლის ზეიმი გადაიქცა სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის თვალსაჩინო დემონსტრაციად. თბილისში, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რათა ქართველ ხალხთან ერთად ზეიმით აღენიშნათ საბჭოთა საქართველოს დღესასწაული; ჩამოვიდა დიდი რუსი ხალხის დელეგაცია ამხანაგ სტალინის თანამებრძოლის ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკის მეთაურობით, რომელიც მხურვალედ მიესალმა ქართველ ხალხს მისი სახელოვანი იუბილეს დღეს. აქ იყვნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვის, გმირული ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ესტონეთის, თურქმენეთის მშრომელთა და სხვ. დელეგაციები.

ჩვენი კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ერთად შეადუღა საბჭოთა სახელმწიფოს მრავალეროვანი ყველა ხალხი.

როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, ისე ქართველი ხალხიც თავის მიღწევებს უმადლის დიდ ბელადს, გენერალისიმუსს სტალინს, რომლის გენიალური ხელმძღვანელობითაც საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაშიც და საბჭოთა ქვეყნის შეურიგებელი მტრების განადგურების საქმეშიც.

ჩვენს პირველ აზრს ჩვენ მივაპყრობთ ჩვენი გამარჯვებების დიად ორგანიზატორს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალს, გენერალისიმუსს სტალინს, ვის სახელსაც უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით ვატარებთ ჩვენს გულში.

ქართველი ხალხისა და მთელი საბჭოთა კავშირის წინაშე დიდი ისტორიული დამსახურება მიუძღვის საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომლის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველო გადაიქცა სანიმუშო, მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად.

1946 წლის 5 თებერვალს ქ. თბილისში წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში ამხ. ბერიამ დასახა საბრძოლო პროგრამა საბჭოთა საქართველოს ახალი აყვავებისათვის.

ამხ. ბერიამ სთქვა:

„ამხანაგებო! ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, თქვენს წინაშე, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, დიდი ამოცანები დგას. საქართველო უშუალოდ არ დაზარალებულა მტრის შემოსევისაგან, მაგრამ ომის შედეგები აქაც არის. რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ეს შედეგები და სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ წინ მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ — ასეთია დღეს საქართველოს ბოლშევიკებისა და ქართველი ხალხის მთავარი ამოცანა".

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი, აღზრდილი ამხ. ბერიას მიერ სახელოვან ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე, ღირსეულად შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ქართველმა ხალხმა, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს—1946 წლის 10 თებერვალს ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი უსაზღვროდ ერთგულია დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა და სურს კვლავ შეურყეველად იაროს წინ სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ იმ გეგმის მიხედვით, რომელიც თავის ისტორიულ სიტყვაში დასახა საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

თ. კუნჭულია

ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის

ციტრუსოვანი კულტურების — ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის გაშენებას საქართველოში რევოლუციამდე ცალკეული მოყვარულნი ეწეოდნენ. მაშინ ციტრუსოვან კულტურებს 160 ჰექტარი ეჭირა.

ამ შესანიშნავი კულტურების განვითარებას სერიოზული ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა, განსაკუთრებით კი 1931 წლიდან.

საქართველოს ბოლშევიკებმა, განუხრელად ანხორციელებდნენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად დიდი **სტალინის** მითითებებს, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლესძე **ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით სწორად განსაზღვრეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეზი და ჰავისა და ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებით დიდი წარმატებანი მოიპოვეს. საქართველო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ქვეყანა გახდა. საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირში ერთადერთ მხარედ, რომელიც სამრეწველო ოდენობით ამზადებს ისეთ აუცილებელ პროდუქციას, როგორიც არის ჩაი, ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, მაღალხარისხოვანი თამბაქო, კეთილშობილი დაფნა და სხვა.

კოლმეურნეების, მთელი ქართველი ხალხის სიამაყეს წარმოადგენს მისი თვალწარმტაცი ციტრუსოვანი ბაღნარები. ახლა საქართველოში 18.000 ჰექტარი ციტრუსოვანი პლანტაციებია. შექმნილია ციტრუსების სანერგე მეურნეობა. მოწყობილია აგრეთვე ციტრუსების საბჭოთა მეურნეობანი. საქართველოს 300 მსხვილი კოლმეურნეობა და 22 საბჭოთა მეურნეობა მისდევს ციტრუსების მოყვანას. დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველო ყოველწლიურად აძლევდა ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს 400 მილიონზე მეტ ცალ ფორთოხალს, ლიმონსა და მანდარინს.

ციტრუსოვან კულტურათა მძლავრი მეურნეობის შესაქმნელად უდიდესი მუშაობა არის გაწეული. შერჩეულია ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის ძირითადი ჯიშები, რომელნიც ჩვენში საუკეთესოდ ხარობენ. შექმნილია მეცნიერება საბჭოთა სუბტროპიკებზე, რომელიც რევოლუციამდელ საქართველოში არ ყოფილა. ანასეულის სამეცნიერო-საკვლევი საკავშირო ინსტიტუტის, სოხუმის სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერული ძალები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ამ მნიშვნელოვანი დარგის წინ წასაწევად.

შემუშავებულია ციტრუსოვან კულტურათა სანერგეებისა და ნარგავების მოვლის აგრონომიული მითითებანი.

ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები დაეუფლნენ ციტრუსების აგროტექნიკას. კარგი მოვლისა და შრომის სწორად მოწყობის საფუძველზე ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობანი, რომელნიც საშუალოდ თვითეულ მსხმოიარე ხისაგან 500-600 ცალ ციტრუსოვან ნაყოფს იღებენ, ხოლო ცალკეული ხისაგან სარეკორდო მოსავალს—2.500—2.700 ცალ ნაყოფს.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი ამ ძვირფასი კულტურის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისათვის. ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი—ეს საუცხოო ხილია. მათ დიდი კვებითი ღირებულება აქვთ. ცნობილია აგრეთვე, რომ ლიმონს უდიდესი გამოყენება აქვს მედიცინაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ციტრუსოვან კულტურებს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე 1936 წლის 25 აგვისტოს ამხანაგი ლ. პ. ბერია ამბობდა: „ისევე, როგორც ჩაის კულტურა, ციტრუსოვანი ნარგავები, ერთი მხრივ, საკსებით აუცილებელია საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის, რომელნიც გიგანტური ნაბიჯებით მიემართებიან შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების მხრივ მას კოლოსალური ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საქართველოს კოლმეურნეთათვის, რომელნიც მისდევენ ციტრუსების გაშენებას“.

ციტრუსოვანი კულტურები კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი ა. მიქოიანი ამბობდა: „ქართველმა კომუნისტებმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მეთაურობით საუცხოო მუშაობა ჩაატარეს დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე ახლა ცალკეული კუთხეები კალიფორნიაზე უკეთესია, და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გვექნება ჩვენი საბჭოთა კალიფორნია, ამერიკულზე უკეთესი“.

დიაღ, ჩვენ გვაქვს საბჭოთა კალიფორნია, ამერიკულზე უკეთესი.

საკავშირო მთავრობა, პირადად ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა სუბტროპიკებისადმი სტალინური მზრუნველობის მკაფიო დოკუმენტია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1946 წლის 16 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება წარმოადგენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საქართველოს ბოლშევიკების და მთელი ქართველი ხალხის მუშაობის საბრძოლო პროგრამას სუბტროპიკული მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

საკავშირო მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს 1950 წლის დამლევისათვის საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ფართობის აყვანას 29.000 ჰექტარამდე; მათ შორის ფორთოხლის ნარგავებისა—4,6 ათას ჰექტარამდე, ლიმონის ნარგავებისა—8,2 ათას ჰექტარამდე, მანდარინის ნარგავებისა—16,2 ათას ჰექტარამდე.

ამ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად 1946-1950 წლებში ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციები უნდა გაშენდეს 11.000 ჰექტარი, მათ შორის: ფორთოხლისა—3 ათასი ჰექტარი, ლიმონისა—3 ათასი ჰექტარი, მანდარინისა—5 ათასი ჰექტარი.

ამოცანა ის არის, რომ ბოლშევიკურად შევასრულოთ ყველა ის ღონისძიებანი, რაც საკავშირო მთავრობის დადგენილებაში არის მოცემული. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ნიადაგის კარგად შერჩევას, მის მაღალხარისხოვნად მომზადებას და დავიცვათ დარგვის საუკეთესო ვადები. საჭიროა, რომ ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისათვის ნაკვეთების მომზადება სწარმოებდეს 1-2 წლით ადრე პლანტაციების გაშენებამდე. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს აკრძალული აქვთ ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავებისათვის გამოყოფილ მიწებზე გააშენონ რომელიმე სხვა მრავალწლიანი კულტურები.

მეტ ყურადღებას მოითხოვს დარგვის აგროტექნიკის დაცვა. ცნობილია, რომ ციტრუსები უფრო ნაზი კულტურაა. ისინი თავისი ბიოლოგიური თვისებებით მკვეთრად განსხვავდებიან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან.

ახალ ნაკვეთებზე უნდა გავაშენოთ მხოლოდდამხოლოდ საუკეთესო ჯიშის ციტრუსოვანი კულტურები, რომლებიც შემოწმებულია საწარმოო გამოცდილებით. სახელდობრ, ფორთოხალი — ვაშინგტონ-ნაველი, კოროლიოკი, გამლინი, პერვენეცი და საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები, ლიმონი — ახალი ქართული, ვილა-ფრანკა, ლისბონი, მეიერი.

ამჟამად ფართო ასპარეზი ეძლევა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახალ საფეხურზე აყვანას, სასელექციო მუშაობის განვითარებას ციტრუსოვანი კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში.

მიმდინარე წელს საქართველოში მოეწყობა ციტრუსოვანთა ჯიშიანი ნერგების გამოსაყვანი ოთხი ახალი სახელმწიფო სანერგე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ითვალისწინებს მთელ რიგ წამახალისებელ ღონისძიებებს სელექციური მუშაობის გაუმჯობესებისა და სიცივისგამძლე ჯიშების გამოყვანისათვის. დადგენილებაში აღნიშნულია: „შემოღებულ იქნას, დაწყებული 1946 წლიდან, ყოველწლიური პრემირება სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომლებიც მუშაობას ეწევიან სუბტროპიკული კულტურების სელექციის დარგში, და სელექციონერებისა 1940 წლის შემდეგ გამოყვანილი და წარმოებაში გასამრავლებლად მიღებული ახალი ჯიშებისათვის". გარდა ამისა, ორიგინატორ სელექციონერებს ყინვისგამძლე მაღალხარისხოვანი ჯიშების გამოყვანისათვის მიეცემათ ერთდროული პრემია: ფორთოხლისა და ლიმონის გამოყვანილი ახალი ჯიშისათვის 100 ათას მანეთამდე, მანდარინისა და სხვა სუბტროპიკული ხეხილის კულტურების ახალი ჯიშის გამოყვანისათვის 50 ათას მანეთამდე.

საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ ციტრუსოვანი კულტურების საუკეთესო ფორმების მასობრივ შერჩევას, რომლებიც განირჩევიან ყინვისგამძლეობით, მაღალი მოსავლიანობით, ადრე დამწიფებითა და საუკეთესო გემოთი. ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩავაბათ მცდელი კოლმეურნეები, მებაღე მუშები და აგრონომები.

„ჩვენ მოგვეპოვება პირობები იმისათვის,—სწერდა ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი „პრავდაში" მოთავსებულ თავის სტატიაში „საბჭოთა საქართვე-

ლოს XXV წლისთავი", — რომ სწრაფად წავწიოთ წინ ციტრუსოვანი კულტურების, განსაკუთრებით ლიმონისა და ფორთოხლის განვითარება. საჭიროა ამავე დროს ენერგიულად ვეწეოდეთ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, კერძოდ, მაღალმოსავლიანი და სიცივის გამძლე ჯიშების გამოყვანასთან დაკავშირებით".

დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია კოლმეურნეებისათვის მარცვლეულის მიყიდვა. დაწესებულია, რომ ფორთოხლისა და ლიმონის ხეების დასარგავად ნიადაგის მომზადების გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის კოლმეურნეობები იღებენ სასურსათო მარცვლეულს 1.000 კილოგრამის რაოდენობით ერთი ჰექტარისათვის, ხოლო ფორთოხლისა და ლიმონის ხეების დარგვისა და მომდინარე მოვლისათვის კოლმეურნეობები, კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ამ კულტურებს საკარმიდამო ნაკვეთებზე გააშენებენ, ყოველწლიურად იღებენ მარცვლეულს 2 კილოგრამის რაოდენობით თვითეული დარგული და გახარებული ხისათვის 5 წლის ასაკამდე. ტრიფოლიატის თესლის ჩამბარებლებს მიეყიდებათ მარცვლეული ტრიფოლიატის თითო კილოგრამ თესლში 3 კილოგრამი მარცვლეულის ანგარიშით. დაწესებულია, დაწყებული 1946 წლიდან, ციტრუსოვანთა ნაყოფის კონტრაქტაციით ჩამბარებლებისათვის მარცვლეულის მიყიდვა შემდეგი ანგარიშით: 1 ტონა მანდარინში—250 კილოგრამი მარცვლეული, ყოველ ათას ცალ ლიმონსა და ფორთოხალში—100 კილოგრამი მარცვლეული. ეს უდიდესი სტიმული კიდევ უფრო დააინტერესებს ჩვენს კოლმეურნეებს, რომ ფართოდ მოჰკიდონ ხელი ციტრუსების გაშენებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მზრუნველობას საბჭოთა სუბტროპიკების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისადმი. საუკეთესო მუშაობისათვის მათ მიეცემათ პრემიები.

მუშაობის საუცხოო პირობები აქვთ შექმნილი საბჭოთა მეურნეობების ცოლ-შვილიან მუშებსა და სპეციალისტებს. მათ მუდმივი სარგებლობისათვის გამოეყოფათ საკარმიდამო ნაკვეთები.

ცოლშვილიან მუშებსა და სპეციალისტებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაგებად გაეწევათ საჭირო დახმარება კრედიტით, სამშენებლო მასალითა და ტრანსპორტით.

სუბტროპიკული კულტურების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის დაწესებულია 70 პერსონალური განაკვეთი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ეწყობა ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების გამოსაცდელი სახელმწიფო კომისია. წელს საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მოეწყობა ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო საცდელი 10 ნაკვეთი.

1946 წელს საქართველოში აგებული იქნება 100 გრუნტის ფარდული ციტრუსოვანთა ნერგების ზამთარში დასაცავად, შეკეთდება მთელი არსებული სადგურისპირა საწყობები მინერალური სასუქისათვის და დამატებით აიგება 15 ახალი საწყობი.

ყველაფერი ეს ნათელი დემონსტრაციაა იმისა, თუ რა სერიოზული ყურადღება ექცევა ჩვენში ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებას.

დიდი სტალინის თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს თავის სიტყვაში ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აყვავების საბრძოლო პროგრამა დაგვისახა. ამხანაგმა ბერიამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე, კერძოდ კი ციტრუსებისა და ჩაის განვითარების დარგში. ამხანაგმა ბერიამ სთქვა: „ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგი სტალინი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებს. ეს ბევრ რამეს გვავალებს. სსრ კავშირში ჩვენ არსად არა გვაქვს ისეთი ფართო შესაძლებლობანი ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და ჩაის საუკეთესო ჯიშების გასაშენებლად, როგორც საქართველოში".

საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების მიერ ცოტა მუშაობა როდი არის გაწეული ამ კულტურების ფართოდ დასანერგავად, მაგრამ უკანასკნელ წლებში ომით გამოწვეულ სიძნელეებთან დაკავშირებით ციტრუსოვანი ნარგავები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ.

მთავარი ამოცანაა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ციტრუსების პლანტაციების მოვლა, მოვიყვანოთ ბარაქიანი მოსავალი და, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია გვასწავლის, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ციტრუსის თვითეულ ნარგავს. საჭიროა მეტად ვიზრუნოთ ციტრუსების გასაშენებლად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. „სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ჯიშების ფართობთა შემდგომი გადიდებისათვის, მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის. უახლოეს 2-3 წელში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ფორთოხლისა და ლიმონის ხეებმა შემდგომი ფართო განვითარება ჰპოვონ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებში, რომ ისინი ყოველ ეზოში ხარობდნენ. ეს არა მარტო ახალ მილიონობით ციტრუსოვანთა ნაყოფს მისცემს ჩვენს ქვეყანას, არამედ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების სერიოზული დამატებითი წყაროც იქნება. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. საქართველოში უკვე შექმნილია სოფლის მეურნეობის მუშაკთა კადრები, რომლებმაც არა მარტო კარგად აითვისეს სუბტროპიკული კულტურების გაშენება, არამედ მტკიცედ შეიყვარეს ეს საქმე" (ლ. პ. ბერია).

საქართველოს კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას. მთავრობის დადგენილება მათ განიხილეს, როგორც საბრძოლო პროგრამა საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი აყვავებისათვის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა იკისრეს კონკრეტული საქმიანი ვალდებულებანი, რომელნიც მიმართულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების, ამხანაგ ბერიას სტალინურ მითითებათა სწრაფად და საუკეთესოდ შესრულებისაკენ.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის და სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში კარგად უვლიან ციტრუსების ნარგავებს. აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვით ახორციელებენ ისეთ სამუშაოებს, როგორიც არის ციტრუსების ნარგავების შემობარვა, წყალსაწრეტი არხების გაწმენდა, ზეთოვანი ემულსიით მცენარეების წამლობა. პლანტაციებში შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქი. მახარაძის

რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ, რომელსაც დემობილიზებული გრ. მოქია ხელმძღვანელობს, ციტრუსების გასაშენებლად ვადაზე ადრე მოამზადა ნიადაგი, პლანტაციებში გაიტანა 50 ტონა ნაკელი და მზად არის ციტრუსების გაშენების 1946 წლის დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები პელაგია ქათამაძე, ვერა ტუღუში, დიომიდე თოიძე ციტრუსების დარგში სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმას ერთიორად და ხშირად ერთისამად ასრულებენ. ამავე რაიონის სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში უდიდესი აღმავლობით განიხილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1946 წლის 16 თებერვლის დადგენილება და სტახანოვურად მუშაობენ ციტრუსების ხუთწლიანი გეგმის სახელოვნად შესრულებისათვის.

დიდ მუშაობას ეწევიან ბათუმის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ციტრუსების განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. განსაკუთრებით კარგად უვლიან ციტრუსებს კალინინის, კაგანოვიჩის, ანდრეევის, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობები და ლიმონ-მანდარინის ტრესტის კახაბრის საბჭოთა მეურნეობა. შარშან აქ ციტრუსოვანთა ნაყოფის მაღალი მოსავალი მოიყვანეს.

ბათუმის რაიონის მშრომელებმა იკისრეს მაღალხარისხოვნად დაამთავრონ 2.311.000 ძირი ციტრუსოვანთა ნარგავის შემობარვა, პლანტაციებში დროულად შეიტანონ მინერალური და ორგანული სასუქები, კარგად და დროულად ჩაატარონ ზეთოვანი ემულსიით წამლობა, პლანტაციების რემონტისათვის დარგონ 4 ათასი ძირი ლიმონი, 3 ათასი ძირი ფორთოხალი და 5 ათასი ძირი მანდარინი, მოახდინონ 120 ათასი ძირი ტრიფოლიატის პიკირება და 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე ოთხჯერ გათოხნონ ნარგავები.

ციტრუსების საუცხოო მოვლით მთელს ქობულეთის რაიონში განთქმულია ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ციტრუსების შემდგომ განვითარებას დიდი პერსპექტივები აქვს. მზრუნველობით უვლიან ციტრუსებს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, განსაკუთრებით კი იმ ბრიგადაში, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ბრიგადირი ამხ. ოსმან დავითაძე ხელმძღვანელობს. ქობულეთის რაიონში შეუნელებელი ყურადღება ექცევა ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლას კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეც.

სოხუმის რაიონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის „ეშერის"—კოლექტივმა ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხა საკავშირო მთავრობის დადგენილებას, ერთიორად გააძლიერა სამუშაოს ტემპები.

რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ ზემომოყვანილი მაგალითებიდან? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ჩვენ გვყავს ციტრუსების მოვლისა და მაღალი მოსავლის მიღების ოსტატები. საჭიროა მოწინავეთა ეს მდიდარი გამოცდილება ყველას კუთვნილება გავხადოთ. მაგრამ ეს თავისთავად არ გაკეთდება. აუცილებელია აღგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სუბტროპიკული რაიონების გაზეთებმა მოაწყონ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა და

გავრცელება. საჭიროა რაიონულმა გაზეთებმა თანმიმდევრულად გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე, თუ როგორ, რა ხერხებითა და ღონისძიებათა გატარებით აღწევენ წარჩინებული ადამიანები უხვი მოსავლის მოყვანას.

ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სუბტროპიკულ რაიონებში მომუშავე სპეციალისტებს. აგრონომი ციტრუსების უხვი მოსავლისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ფიგურაა. სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოვალეობაა არა მარტო თვითონ იყვნენ მოწინავეთა რიგებში, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, არამედ სისტემატურად დაეხმარონ კოლმეურნეებს მოწინავე აგროტექნიკის დანერგვაში, სტახანოველთა გამოცდილების გავრცელებაში. ეს საკმაოდ შეუწყობს ხელს ახალ წარმატებათა მოპოვებას.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ დიდი სტალინის მიერ ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვას.

ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვა შეიცავს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდის გრანდიოზულ პროგრამას. ხალხთა საყვარელმა ბელადმა გენიალური სიცხადითა და მკაფიობით დასახა ჩვენი სოციალისტური საშუამავლოს ახალი აყვავების პერსპექტივები, გვიჩვენა ამ დიად დასახულთა განხორციელების სწორი გზა. ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი განვითარების სტალინური პროგრამა დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს ჩვენს სოფლის მეურნეობას. ჩვენი კოლმეურნე გლეხობა ისწრაფვის კიდევ უფრო აამაღლოს სოციალისტური მიწათმოქმედების დონე, კიდევ უფრო მეტი პური, ციტრუსოვანთა ნაყოფი და სხვა პროდუქტი მისცეს საბჭოთა სახელმწიფოს.

ის დიადი ამოცანები, რომელნიც ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს დაუსახა თავის ისტორიულ სიტყვაში, ნათლად არის გამოსახული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმაში მოცემულია გაშლილი პროგრამა სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომი აღმავლობისა.

მთავრობისა და პარტიის დადგენილებაში მთელი რიგი სერიოზული ამოცანებია მოცემული ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების გაშენების, მოვლისა და მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების გაშენების დარგში ძირითად ამოცანად სთვლიან ჩაის პლანტაციებში სიმეჩხრის აღმოფხვრას და ჩაის, ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნარგავების აღდგენას, აგრეთვე ამ კულტურების მოვლის გაუმჯობესებას და მათი მოსავლიანობის გადიდებას“.

დიდი სტალინის სიტყვით, ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებებით აღფრთოვანებული საკოლმეურნეო სოფელი ახალი ძალით აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს უხვი მოსავლის მოსაყვანად.

კოლმეურნეთა პატრიოტულ თაოსნობას მკაფიოდ მოწმობს წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა. წითელწყაროელი კოლმეურნეები გამოვიდნენ რა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად, მოუწოდეს საქართველოს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებსა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წელს მაღალი მოსავლისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

წითელწყაროელთა კეთილშობილურმა თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. აღფრთოვანებით შეხვდნენ მიმართვას საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მშრომელებიც. მათ მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი იკისრეს სუბტროპიკული მეურნეობის დარგში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დასახული სერიოზული გეგმის განხორციელება სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეების, სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან დიდ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

აღმოვფხვრათ სიმეჩხრე, დავიცვათ ციტრუსის თვითეული ნარგავი, გამოვავლინოთ ახალი ჯიშები, განსაკუთრებით ფორთოხლისა და ლიმონისა, საუკეთესოდ მოვუაროთ ციტრუსებს, დროულად და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ ახალი პლანტაციების გაშენების გეგმები და განუწყვეტლივ ვზარდოთ ციტრუსების ნაყოფის მოსავალი,—აი რა არის სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ღირსების საქმე.

რა არის საჭირო ამ ამოცანების შესასრულებლად?

საჭიროა სანიმუშოდ ჩავატაროთ ციტრუსოვანთა საგაზაფხულო სამუშაოები. მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვით ასრულებდეს სხვადასხვა სახის სამუშაოებს, არ დავუშვათ სამუშაოთა გაჭიანურება. ვადები და ხარისხი სწყვეტენ უხვი მოსავლის ბედს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით კი ციტრუსოვანთა მეურნეობაში.

აუცილებელია ციტრუსოვანთა სამუშაოების მთელი კომპლექსის შესრულება. ერთ-ერთი სახის სამუშაოსადმი ყურადღების შენელება უარყოფითს გავლენას ახდენს ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობაზე. ამიტომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთელი ძალით უნდა მოჰკიდონ ხელი ყველა სახის სამუშაოთა მოკლე ვადებში შესრულებას.

საჭიროა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საფუძვლიანად გავაცნოთ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, ვუამბოთ იმ შესანიშნავ პირობებზე, რაც დაწესებულია ციტრუსების განვითარებისათვის. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტ-

რი უნდა გადავიტანოთ ციტრუსოვანთა ბაღნარებში! იქ, სადაც სწყდება მოვლა-პატრონობისა და უხვი მოსავლის ბედი.

ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გულმოდგინედ უნდა მოუაროს ნერგებს. ცნობილია, რომ მტკიცე სანერგე მეურნეობის გარეშე შეუძლებელია ახალი დავალების შესრულება. ნერგების გამოყვანისა და მოვლისათვის საუკეთესო კადრები გვყავს. საჭიროა კიდევ უფრო ვამრავლოთ მოწინავეთა რიგები, განვითარების ახალ საფეხურზე ავიყვანოთ სანერგე მეურნეობა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებას. საჭიროა საკოლმეურნეო ბრიგადებისა და რგოლების დროულად შევსება. კოლმეურნეობაში ძალები ისე უნდა გავანაწილოთ, რომ გამოცდილი, ციტრუსების საქმის მოყვარული კოლმეურნეები შევიყვანოთ სპეციალურ ბრიგადებში. განუხრელად უნდა განვახორციელოთ კანონი კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

საჭიროა ციტრუსების გაშენების დავალებას იცნობდეს ყველა ბრიგადა, რგოლი, ყველა კოლმეურნე. ეს კიდევ უფრო დააინტერესებს კოლმეურნეებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნარგავებისა და ნერგების მოვლის გაუმჯობესებისათვის.

აუცილებელია აგრეთვე დაწესებულ ვადებში, ორგანიზებულად მოვაწყოთ ციტრუსების ავადმყოფობასთან და მავნებლებთან ბრძოლა როგორც პლანტაციებში, ისე სანერგეებში. აგრონომ-ენტომოლოგებმა ამ საქმეში განსაკუთრებული დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს. აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ არც ერთი ძირი ნარგავი და ნერგი არ დაზიანდეს მავნებლებისაგან. ეს არის არა მარტო კოლმეურნეთა, არამედ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ღირსების საქმე.

შემდეგ საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, ბრიგადებში და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის. უნდა უზრუნველვყოთ შეჯიბრებაში ყველა კოლმეურნეობის, ბრიგადისა და საბჭოთა მეურნეობის ჩაბმა. ნუ დავივიწყებთ, რომ სოციალისტური შეჯიბრების ძალა მის მასობრივობაშია. ამასთან ერთად მთავარია ის, რომ შევამოწმოთ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. შემოწმების მიზანი ის არის, რომ დროულად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, წავახალისოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი და მივაღწიოთ საერთო აღმავლობას. დიდი სტალინი გვასწავლის: „სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ზოგი ცუდად მუშაობს, ზოგი კარგად, ზოგი უკეთესად,—**დაეწიე უკეთესებს** და მიაღწიე **საერთო აღმავლობას**".

და, ბოლოს, საჭიროა, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში კოლმეურნე მასების პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას, რომ კოლმეურნე მასების ინიციატივა და ენერგია წარმართონ მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებაში უდიდეს როლს შეასრულებს ტექნიკური კულტურების კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაცია ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებში. ტექნიკური კულტურების კომისარიატი ჩამოყალიბებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით.

ამ ღონისძიების უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი უზრუნველყოფს სუბტროპიკული მეურნეობებისადმი ადგილებზე ხელმძღვანელობის საგრძნობლად გაუმჯობესებას და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ამ ნიშვნელოვანი დარგის შემდგომ განვითარებას.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით და ვადამდე შეასრულებენ საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი აყვავების სტალინურ გეგმას. საბჭოთა კავშირის მშრომელთა სუფრას სულ ახლო ხანში საბჭოთა საქართველო მისცემს მილიარდობით ცალ ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის ნაყოფს.

ამის საწინდარია ჩვენი კოლმეურნე გლეხობის საბჭოთა პატრიოტიზმი, ერთგულება და უსაზღვრო სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი, ხალხთა ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის, ჩვენი მშობლიური სტალინისადმი.

სარედაქციო კოლეგია:
გ. ალავიძე
ქ. გარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ძუთელია
ჯ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ხ. ჯელიძე
ს. ჯანაშია

რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. ტელ. № 3-73-05.

ტირაჟი 8.000. უე 00782. ანაწყ. ზომა 7×12=56.000.
სასტ. ფორმ. რაოდ. 5. საავტ. ფორმა 7. გამომც. № 33. შეკვ. № 483.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის, 28

ფასი 3 მან.

ბ 838
1946

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 2 Февраль 1946 г.